აგრონომი

მცენარეთა დაცვის საშუალებები

კატალოგი

2023-2024





აკურა



ზესტაფონი



რუისპირი



ბოლნისი



გეგუთი



ნიკეა

ჩვენი მისია

თანამედროვე მიდგომების, მსოფლიოში აპრობირებული პრეპარატებისა და პროფესიონალი აგრო სპეციალისტების რეკომენდაციებით, დავეხმაროთ მეურნეს უხვი და ხარისხიანი მოსავლის მიღებაში.

კომპანიის ღირებულებები

კომპანიის ღირებულებებია: სოფლის მეურნეობის დარგის განვითარება, ფერმერთათვის ინოვაციური ცოდნისა და ტექნოლოგიების გაზიარება და გრძელვადიანი, ეფექტიანი ურთიერთობების ჩამოყალიბება უწყვეტი წარმატებისთვის.

კომპანიის უპირატესობები

მცენარეთა დაცვის საშუალებების ფართო ასორტიმენტი და მომსახურების ცენტრების მოხერხებული განლაგება ჩვენს მომხმარებლებს საშუალებას აძლევს უწყვეტი კონტაქტი იქონიონ პროფესიონალ აგრო კონსულტანტებთან და მათი საჭიროებების მიხედვით, ზუსტად განსაზღვრონ ეფექტური პრეპარატების გამოყენების მოცულობა. მაღალი ხარისხის პროდუქციითა და ბაზარზე კონკურენტული საფასო უპირატესობით, კომპანია ,,აგრონომი“ სოფლის მეურნეობის დარგში ინოვატორი კომპანიის სახელითაა ცნობილი.

პროდუქციის კატალოგი





სარჩევი

ინსექტიციდი

ალფა ლაიფი	6
აცე	10
ბი პრიდი	14
ბაიტი	18
ეიბისი სუპერი	20
ვენტო	24
კორნილოფოსი	26
კლიპი	30
ლოკ 5	34
მალაფოსი	36
მალათიონი	42
მისტი	44
მედალ გოლდი	46
მილლონა	50
ოლეულუქი	52
საჰები	54
სტარ 20	58
ტენჩანტ პლიუსი	60
ულტრატოქსი	64
ჰირო	66

ფუნგიციდი

აკბატი	70
ბორდოტანი	72
ინდაზოლი	76
ინდოფილი	78
კორზაქვინი	80
კუპროტანი	82
ლაიფსული	86
მეტკოპერი	88
მოქსიმატი	90
მუსტანგი	92
ნიუ რაიდ	94
პენტოსი	98
პლანეტა	100
პრევექსი	102
პრივატი	104
პროპკონაზოლი	106
პროტექტი	110
რუბინი	114
რიდომილ გოლდი	116
სთენდბაი	118
სპარტაკუსი	120
სტაგერი მ-45	124
ტებუჯი	126
ტივოლი	128
შაბიამანი ტან გოსტაში	130
ციპრო პლუსი	132
ციმაქსი	134

ჰერბიციდი

ბენტაგონი	138
დრაგო	140
ვიდ ქილერი	144
ვისტა	146
იაგუარი	148
კლინერ ექსტრა	150
კლინერი	154
კურმუზინი	156
მედსი	158
მენსურონ ექსტრა	160
მენსურონი	162
მეტსი	164
პაროქსიფენი	166
პრიმო	168
რიბასო	170
სანფოსატი	172
ფოისონი	176

მინერალური სასუქი

აგრო გიბი	180
ამინოლუქ V-17	182
ამინოლუქ 24	184
ამონიუმის სულფატი	186
ბლექ მამბა	188
ბლექ ფორსი	190
გრინტერა	192
დიამოფოსკა NPK (10-26-26)	193
კრისტაფიდ Calcio	196
კალიუმის ქლორიდი	198
მისტრალი	199
მონბანდი MAP (12-61-0)	200
მონბანდი NOP (13.5-0-46)	202
მრ.ბორი	204
მრ.ნიტრე	206
მრ. ტორი	208
ნიტროამოფოსკა NPK 16-16-16	210
რემიქსი	212
რემიქსი 2	213
უნიქეი დესპერო	216
უნიქეი ბიოჰუმატ	216
უნიქეი დესპერო	217
ქეიტერა მაგნიუმის სულფატი	217
ჩელან სოლი (10-5-35)	218
ჩელან სოლი (11-4-42)	220

როდენტიციდი

თუთიის ფოსფიდი	224

მიმწებებლი

მრ.ეფიქსი	228

ფუმიგანტი

მგფოსი	232

გამოყენების სქემები 237

#დაიცავით უსაფრთხოების ნორმები



+



+



=

დაცულობას!



ჩრჩილა
აგრონომისგან

“პესტიციდის შეძენისას შეამოწმე ტარა, რომელშიც პრეპარატია მოთავსებული; ჭურჭელი ჰერმეტულად დახურული უნდა იყოს და სახურავს დაუზიანებელი დამცავი რგოლი გააჩნდეს; პესტიციდის ტარაზე მიკრული უნდა იყოს ეტიკეტი ქართულ ენაზე, რომელშიც მითითებულია პრეპარატის დასახელება, მოქმედი ნივთიერება და კონცენტრაცია, გამოყენების რეკომენდაციები, პრეპარატის შენახვის პირობები და ვარგისიანობის ვადა, მწარმოებელი ქვეყანა და სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი”

დაიმახსოვრე!

- რეზინის ხელთათმანის, ჩექმის, სათვალის, რესპირატორის გარეშე მუშაობა აკრძალულია;
- დაუშვებელია შუადღისას ქიმიური წამლობის ჩატარება - წამლობა უნდა ჩატარდეს დილის,ან საღამოს საათებში;
- დაუშვებელია პესტიციდების ტარის საყოფაცხოვრებო მიზნებისთვის გამოყენება;
- პესტიციდების ტარა უნდა დაიხვრიტოს და ღრმად ჩაიფლას, სპეციალიზებულ ამოცემენტებულ ორმოში.
- ქაღალდის და მუყაოს შესაფუთი მასალა უნდა დაიწვას. არ შეისუნთქოთ წვისას გამოყოფილი ბოლი! ის საზიანოა ჯანმრთელობისთვის;
- აკრძალულია ქიმიურ პრეპარატებთან შიშველი ხელებით მუშაობა და დაბინძურებული ხელით სიგარეტის მოწევა, ან საკვების/სასმლის მიღება;



100 გ/ლ
C22H19Cl2NO3

ალფა ლაიფი



მოქმედი ნივთიერება:
ალფა - ციპერმეტრინი 100 გ/ლ

პრეპარატული ფორმა: ემულსია კონცენტრატი

შეფუთვა: 1ლ

მწარმოებელი: Agro Life Science Corporation, ინდოეთი

ალფა ლაიფი მაღალი ხარისხის კონტაქტურ-ნაწლავური მოქმედების, მაღალეფექტური ინსექტიციდია, რომელსაც გააჩნია მოქმედების ფართო სპექტრი. პრეპარატი უკონკურენტოა მწუწნი და მღრღნელი მავნებლების წინააღმდეგ საბრძოლველად.

მოქმედების მექანიზმი:

ალფა ლაიფი პირდაპირ მოქმედებს მწერის ცენტრალურ და პერიფერიულ ნერვულ სისტემაზე და არღვევს უჯრედის მემბრანას. პრეპარატი ეფექტურია მწერების განვითარების ყველა სტადიაზე, მავნე მწერების აბსოლუტური უმრავლესობის წინააღმდეგ. ალფა ლაიფი არის ყველაზე ეფექტური სწრაფი მოქმედების სინთეზური პირეტროიდული ინსექტიციდი მავნებლების გასანადგურებლად. პრეპარატს აქვს სწრაფი დესტრუქციული ეფექტი მავნებლებზე, მათ შორის არასასურველ ამინდობრივ პირობებშიც. ის მოქმედებს მავნებლებზე, რომლებიც უშუალო კონტაქტში არიან პრეპარატთან ასევე, იმ მცენარეებით კვებისას, რომლებიც დამუშავებულია ინსექტიციდით. მავნებლები ნერვული სისტემის დამბლის შედეგად იღუპებიან.

გამოყენების უპირატესობები:

- მდგრადია ნალექების მიმართ (არ ჩამოირეცხება);
- ეკონომიური ხარჯვის ნორმა;
- პრეპარატი ეფექტურად მოქმედებს მაღალ ტემპერატურაზეც;
- ეფექტურია მწერების განვითარების ყველა სტადიაში;
- მავნე მწერების აბსოლუტური უმრავლესობის წინააღმდეგ გამოიყენება;
- არაფიტოტოქსიკურია რეკომენდებული დოზებით გამოყენებისას;
- თავსებადია ინსექტოაკარიციდებთან, ფუნგიციდებთან და წყალში ხსნად მინერალურ სასუქებთან, რომლებსაც არ ახასიათებს ტუტე რეაქცია;
- ხელს უწყობს მოსავლის რაოდენობის ზრდას და ხარისხის გაუმჯობესებას;
- აქვს ხანგრძლივი დაცვითი ეფექტი მავნებლებზე;
- პრეპარატის დაცვითი ეფექტი 14 დღე გრძელდება, რაც დამოკიდებულია ამინდსა და მავნებლის გავრცელებაზე;

კულტურა	მავნებელი	გამოყენების ხერხი და დრო	ხარჯვის ნორმა ლ/ჰა	დღეები
ვაზი	ფოთლიხვევიები *(Sparganothis pilleriana Schiff.)*	შესხურება ვეგეტაციის პერიოდში (ბუტონიზაციის ფაზაში)	0.25-0.35	30(1-2)
ვაშლი	ვაშლის ნაყოფჭამია *(Carpocapsa pomonella l.)*	შესხურება ვეგეტაციის პერიოდში (ბუტონიზაციის ფაზაში)	0.2 -0.3	50(1-2)
მსხალი, ატამი	ბუგრები, ატმის დიდი ბუგრი *(Pterochlorides persicae Holodk.)*, ბურტყლა ბუგრი *(Eriosoma lanigerumHausm.)*	შესხურება ვეგეტაციის პერიოდში (ბუტონიზაციის ფაზაში)	0.3- 0.4	25(3)
ხორბალი, ქერი	ჭიჭინობელები, თრიფსები, მავნე კუსებურა *(Eurygaster integriceps Put.)*, ჭია-წურბელა, რწყილები *(Philotreta atra f., Ph. undulata Kutch., Ph.nigripes)*	შესხურება ვეგეტაციის პერიოდში (ბუტონიზაციის ფაზაში)	-	15 (2)
სიმინდი	სიმინდის ფარვანა *(Pyrausta nubilalis Hb)*, ბამბის ხვატარი *(Choridea obsoleta F.)*	შესხურება ვეგეტაციის პერიოდში (ბუტონიზაციის ფაზაში)	0.15 -0.32	20(2)
კარტოფილი	კოლორადოს ხოჭო *(Leptinotarsa decemlineata Say.)*	შესხურება ვეგეტაციის პერიოდში (ბუტონიზაციის ფაზაში)	0.07-0.12	20(2)
კიტრი, პომიდორი	მღრღნელები, ხვატარები-შემოდგომის ნათესების ხვატარი *(Scotia segetum Schiff.)*	შესხურება ვეგეტაციის პერიოდში (ბუტონიზაციის ფაზაში)	0.12- 0.16	3(2)
საზამთრო, ნესვი	მღრღნელები, ხვატარები-შემოდგომის ნათესების ხვატარი *(Scotia segetum Schiff.)*	შესხურება ვეგეტაციის პერიოდში (ბუტონიზაციის ფაზაში)	0.32	20

რაფსი	რაფსის ყვავილჭამია, რწყილები, ყვავილის მტვრის ხოჭო (*Entomosceliss adonidi s Pall)*,რწყილი *(Eurydema oleracea)*	შესხურება ვეგეტაციის პერიოდში (ბუტონიზაციის ფაზაში)	0.1-0.15	30(2)
იონჯა (სათესლე ნათესები)	იონჯას ფოთლის ცხვირგრძელა *(Sphalidium maxillosum L.)*,იონჯის ბაღლინჯო *(Adelphocoris l ineolatus)*, იონჯის ბუგრი *(Aphisfabae scop)*	შესხურება ვეგეტაციის პერიოდში (ბუტონიზაციის ფაზაში)	0.15- 0.2	40(1)

პრეპარატის გამოყენების რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია კერძო მეურნეობაში გამოსაყენებლად;
- ინსექტიციდით მკურნალობა უნდა მოხდეს მავნებლის გამოჩენისთანავე;
- რეზისტენტობის რისკის შესამცირებლად, პრეპარატის გამოყენება უნდა მოხდეს რეკომენდებული დოზებითა და სხვა ქიმიური კლასის ნაერთების ინსექტიციდებთან მონაცვლეობით;
- პრეპარატით მცენარე მუშავდება შესხურების გზით;
- სავალდებულოა სამუშაო ხსნარით მცენარისა და ღეროს დამუშავება სრულად, ერთგვაროვანი დაფარვით;
- მოქმედების ეფექტის გასაზრდელად მცენარე უნდა შეიწამლოს დილით, ან საღამოს;
- შესხურებამდე აუცილებელია დოზების სწორად გამოთვლა;
- სამუშაო ხსნარი უნდა მომზადდეს უშუალოდ გამოყენების წინ, რათა პრეპარატმა არ დაკარგოს ეფექტურობა მავნებლის წინააღმდეგ;
- მცენარის დამუშავება უნდა მოხდეს 2 - ჯერ (სეზონზე). დამუშავებებს შორის ინტერვალი დამოკიდებულია მავნებლის პოპულაციაზე;



PARIJAT

200 გ/კგ

C10H11ClN4

აცე



მოქმედი ნივთიერება:
აცეტამიპრიდი 200 გ / კგ

პრეპარატული ფორმა: სველებადი ფხვნილი

შეფუთვა: 1კგ

მწარმოებელი: Parijat Industries,ინდოეთი

აცეტამიპრიდი ახალი თაობის სისტემური მოქმედების ინსექტიციდია, რომელსაც სხვა ინსექტიციდებისგან განსხვავებით გააჩნია მოქმედების უნიკალური მექანიზმი. პრეპარატი გამოყენება შემდეგი კულტურების დასაცავად: კარტოფილი, პომიდორი, კიტრი, ხორბალი.

პრეპარატის მოქმედების მექანიზმი:

აცეტამიპრიდი ხასიათდება კარგი სისტემური და ტრანსლამინარული მოქმედებით, რის გამოც ის შეიწოვება მცენარის მიერ და ვრცელდება მის ყველა ნაწილზე, ამიტომ პრეპარატის გამოყენების ეფექტი ვლინდება მცენარის დაუმუშავებელ ნაწილებზეც. მავნებლები იღუპებიან წამალთან უშუალო კონტაქტის, ასევე დამუშავებული მცენარეებით კვების დროს. პრეპარატის ინსექტიციდური მოქმედება ვლინდება მისი ზემოქმედებით მწერების ნერვულ სისტემაზე, გადაჭარბებული ნერვული აგზნება იწვევს მავნებლის დამბლას, რის გამოც ის საბოლოოდ იღუპება. მწერების სახეობიდან გამომდინარე, პრეპარატს აქვს ტოქსიკური მოქმედება მავნებლების განვითარების სხვადასხვა სტადიაზე: კვერცხებზე, ლარვებზე და ზრდასრულ მავნებლებზე.

პრეპარატის გამოყენების უპირატესობები:

- გააჩნია სისტემურ-კონტაქტური მოქმედების თვისება, იგი კარგად გადაადგილდება მცენარეში;
- მოქმედების ახალი მექანიზმის გამო რეზისტენტობა (შეგუება) არ დაფიქსირებულა;
- გააჩნია კარგი თერმოსტაბილურობა;
- დაცვითი პერიოდი 14 – 21 დღე;
- დაბალტოქსიკურია თბილსისხლიანების მიმართ;
- თავსებადია მრავალ პესტიციდთან (გარდა ძლიერი ტუტეებისა);
- ეფექტურია როგორც მაღალ, ასევე დაბალ ტემპერატურაზე;
- სხვა პესტიციდებთან კომბინაციაში არ კარგავს ეფექტურობას;
- პრეპარატის გამოყენების შედეგი შესამჩნევია წამლობიდან ერთი საათის განმავლობაში;

კუტკალია აზიური
(Locusta migratoriaL.)



მავნე კუსებურა
(Eurygaster integriceps Put.)



ბაღჩის ბუგრი
(Aphis gossipi Glov.)



პურის ბზუალა
(Zabrus tenebriodes elongates Men.)



კულტურა	მავნებელი	ხარჯვის ნორმა ლ/ჰა	ლოდინის პერიოდი.დღე
პომიდორი, კიტრი (ღია გრუნტი)	ბაღჩის ბუგრი (Aphis gossypii Glow.), ბამბის ხვატარი (Heliothis obsoleta),ფრთათეთრა (Trialeurodes vaporariorum West)	0.2-0.25	20(1)
პომიდორი, კიტრი (დახურული გრუნტი)		0.15-0.2	1(1)
ხორბალი	ბაღლინჯო, მავნე კუსებურა (Eurygaster integriceps Put.)	0.05-0.075	28(1)
ხორბალი	პურის ბზუალა(Zabrus tenebriodes elongates Men.)	0.15-0.175	-1
კარტოფილი	კოლორადოს ხოჭო (Leptinotarsa decemlineata Say.)	0.025-0.03	28(1)
კარტოფილი	კარტოფილის ჭიამაია (Phthrimaea operculella Zell.)	0.1-0.08	28(1)
საძოვრები, კალიებით დასახლებული მიწის ნაკვეთები, ველური მცენარეულობა	კალიები, კუტკალია აზიური ანუ გადამფრენი კალია (Locusta migratoriaL.), იტალიური კალია ანუ პრუსი (Calliptanusitalicus L.), ამიერკავკასიის იტალიური კალია (Caliptanus tenuicercis T.rb.), უდაბნოს იტალიური კალია (Calliptanus barbarous cephalotes F.W.), მაროკოული კალია (Dociostraurus marcoccanusThnb.), ეგვიპტური კალია (Anacridium aegyptium L.)	0.06-0.08	28(1)

პრეპარატის გამოყენების რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილია დამუშავების დაწყება მაშინ, როდესაც მავნებლების რაოდენობა გადააჭარბებს მავნებლობის ეკონომიკურ ზღვარს (გავრცელების მასშტაბებიდან და მავნებლის სახეობიდან გამომდინარე);
- პრეპარატი უნდა გადაანაწილოთ მცენარის ფოთლის ზედაპირზე თანაბრად, კარგად მორგებული აღჭურვილობით;
- სამუშაო ხსნარის მოცულობა უნდა იყოს საკმარისი იმისათვის, რომ მთლიანად დაფაროს კულტურის მთელი ფოთლის ზედაპირი;
- პრეპარატი გამოიყენება შესხურებით ვეგეტაციის პერიოდში (ყვავილობის დაწყებამდე, დასაწყისში, ყვავილობის დროს და ბოლოს);
- გამოიყენეთ სუფთა წყალი უცხო მინარევების გარეშე;
- ტემპერატურის ცვალებადობა და შენახვის ხანგრძლივობა უარყოფითად არ მოქმედებს პროდუქტზე;
- მკვდარი მწერები შეინიშნება მეორე დღეს, ფოთლის ქვედა ნაწილზე მიწაზე;
- მომზადებული ხსნარი უნდა გამოიყენოთ ერთი დღის ვადაში (შემდგომ პრეპარატი კარგავს ეფექტურობას);



600გ/ლ
C9H10ClN5O2

ბი პრიდი



მოქმედი ნივთიერება: იმიდაკლოპრიდი 600 გ/ლ

პრეპარატული ფორმა: სუსპენზია კონცენტრატი

შეფუთვა: 1ლ

მწარმოებელი: Shandong Binnong Technology. ჩინეთი

ბი პრიდი სისტემურ კონტაქტური მოქმედების ინსექტიციდია. იგი აქტიურად გამოიყენება მარცვლოვანი კულტურებისთვის, კარტოფილის ტუბერების, მზესუმზირისა და სიმინდისათვის.

ბი პრიდის მოქმედი ნივთიერება იმიდაკლოპრიდი, მიეკუთვნება ქლორნიკოტინილების ჯგუფს. პრეპარატის მოხვედრა მავნებლის ორგანიზმში (კოლორადოს ხოჭო, მავთულა ჭიები, მარცვლეულის ბუზები და ა.შ) ბლოკავს ნერვულ იმპულსებს. იმიდაკლოპრიდი მავნებლის ორგანიზმში საჭმლის მომნელებელი სისტემის მეშვეობით ხვდება. პრეპარატი ხანგრძლივი ეფექტის წყალობით იცავს სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნერგებს, პარაზიტული მწერებისგან.

მცენარეებში ნარჩენი რაოდენობის დინამიკის შესწავლამ აჩვენა, რომ იმიდაკლოპრიდი, ძირითადად, ფოთლებში აღწევს სისხლძარღვთა სისტემის მეშვეობით და პრაქტიკულად არ შედის ნაყოფში, რაც მიუთითებს პრეპარატის გამოყენების უსაფრთხოებას წვეთოვანი მორწყვის დროს;

პრეპარატის უპირატესობები:

- ბი პრიდით დამუშავებული სათესლე მასალა სრულად დაცულია ფოთლოვანი და ნიადაგური მავნებლებისაგან;
- ეფექტურია როგორც მწუწნი, ასევე მღრღნელი მავნებლების წინააღმდეგ;
- გამოიყენება მარცვლოვანი კულტურებისთვის, კარტოფილის ტუბერების, მზესუმზირისა და სიმინდისთვის;
- დაცვითი ეფექტი ნარჩუნდება 14-28 დღე;



სათესლე მასალის დამუშავება

კულტურა	მავნებელი	გამოყენების (ლ/1ტ თესლზე) ნორმა	მეთოდი, პერიოდი გამოყენების
საშემოდგომო ხორბალი, ქერი, შვრია, ჭვავი	ბუგრები (Aphis), რწყილები (Philot reta atra f, PH. Undulata Kutch., PH. Nigripes), ჭიჭინობლები (Oulema melapus), პურის ბზუალა (Zabrus tenebriodes elongates Men.), მწუწნი და მღრღნელი მწერები	0.6	სათესლე მასალის შეწამლვა
კარტოფილი	მავთულა ჭიები, კოლორადოს ხოჭო (Leptinotrasa decemlineata Say.),ტუბერის ჩრჩილი (Phthorimaea), მაისის ხოჭო (Melolontha), ბუგრები	0.4	ტუბერების შეწამლვა
კარტოფილი	მავთულა ჭიები, კოლორადოს ხოჭო (Leptinotrasa decemlineata Say.),ტუბერის ჩრჩილი (Phthorimaea), მაისის ხოჭო (Melolontha), ბუგრები	0.6	ბაზოს ფსკერის დანერგვა წინა დამუშავება







შესხურების გზით დამუშავება:

კულტურა	მავნებელი	გამოყენების ნორმა (ლ/1ტ თესლზე)
ვაზი	ყურძნის ჭია (Lobesia Botrana Schiff)	0.07-0.1
ვაშლი	ვაშლის ნაყოფჭამია (Carpocapsa pomoella L,) ვაშლის ბუგრი (Aphis pomi Deg.), კალიფორნიის ფარიანა (Diaspidiorus (Quadraspidiotus) pernicisus Comst.), მენაღმე ჩრჩილი (Phyllonorycter spp.)	0.07-0.1
ატამი	ბუგრები, ვაშლის ბუგრი (Aphis pomi), აღმოსავლური ნაყოფჭამია (Carpocapsa pomonella L)	0.04-0.05
პომიდორი, კიტრი	ბამბის ხვატი (Hilicoverpa armigera), ბაღჩის ბუგრი (Aphis gossipi Glov.)	0.04-0.05
კარტოფილი	კოლორადოს ხოჭო (Leptinotrasa decemlineata)	0.04-0.05
საზამთრო/ნესვი	ბუგრები	0.04-0.05
ხორბალი	პურის ბზუალა (Zabrus tenebriodes elongates Men.)	0.1
სიმინდი	სიმინდის ხოჭო (Agriotes spp.)	0.1
ვარდი	ვარდის ბუგრი (Macrosiphum rosae L,), ჭრელი ჭიჭინობელა (Eupteryx atropunctata Goeze.) კოკრიჭამია ცხვირგრძელა (Athonomus pomorum L,)	0.025-0.05

პრეპარატის მოქმედების მექანიზმი:

პრეპარატის მოხვედრა მავნებლის ორგანიზმში (კოლორადოს ხოჭო, მავთულა ჭიები, მარცვლეულის ბუზები და ა.შ) ბლოკავს ნერვულ იმპულსებს. იმიდაკლოპრიდი მავნებლის ორგანიზმში საჭმლის მომნელებელი სისტემის მეშვეობით ხვდება. პრეპარატი ხანგრძლივი ეფექტის წყალობით იცავს სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნერგებს, პარაზიტული მწერებისგან.

პრეპარატული თვისებები:

- მცენარეებში ნარჩენი რაოდენობის დინამიკის შესწავლამ აჩვენა, რომ იმიდაკლოპრიდი, ძირითადად, ფოთლებში აღწევს სისხლძარღვთა სისტემის მეშვეობით და პრაქტიკულად არ შედის ნაყოფში, რაც მიუთითებს პრეპარატის გამოყენების უსაფრთხოებაზე წვეთოვანი მორწყვის დროს;
- მავნებლის ტრაქტში მოხვედრისას, 120 წუთის შემდეგ იწყებს მოქმედებას (არღვევს ნერვულ იმპულსებს) და 24 საათის განმავლობაში მავნებელი იღუპება;
- კარგად მუშაობს თითქმის ყველა ფუნგიციდთან, ზრდის სტიმულატორთან და მიკროსასუქთან, რომლებიც არ შეიცავენ ძლიერ ტუტე ნაერთებს;

პრეპარატის გამოყენების რეკომენდაციები:

- პესტიციდების არასწორმა გამოყენებამ ადამიანის ორგანიზმსა და გარემოს შეიძლება საფრთხე შეუქმნას, ამიტომ უსაფრთხოების ნორმების მკაცრი დაცვა აუცილებელია;
- პესტიციდის შეძენისას გაითვალისწინეთ მისი ხარჯვის საჰექტრო ნორმა და წამლობის ჯერადობა;
- თავდაპირველად, სპეციალისტის მიერ, უნდა შეფასდეს მიწის ნაკვეთის მდგომარეობა და ის მავნე ორგანიზმები, რომლებიც მცენარეებს აზიანებენ;
- პესტიციდი მოამზადეთ, სათესლე მასალის თესვის წინ;
- შეწამვლა განსხვავდება კულტურების მიხედვით. ქერში, შვრიაში და ჭვავში 0.6 – 0.8/ 1ტ თესლის დასამუშავებლად 15ლ წყალში იხსნება. ეფექტურად ებრძვის ბუგრებს, რწყილებს, მწუწნ და მღრღნელ ჭიებს. კარტოფილის შესაწამლად საჭიროა 1 ტონა თესლზე 600-800 გრამი ბი პრიდი გავხსნათ 10- 15 ლიტრ წყალში;



© Giorgi Ninoshvili

AGRO LIFE SCIENCE CORPORATION

ბაიტი

100 გ/ლ

$C_{23}H_{22}ClF_3O_2$

ბაიტი



მოქმედი ნივთიერება:
ბიფენტრინი 100 გ/ლ

პრეპარატული ფორმა: ემულსია კონცენტრატი

შეფუთვა: 1ლ

მწარმოებელი: Agro Life Science Corporation
ინდოეთი

ბაიტი უნიკალური ინსექტო აკარიციდია, რომელიც ეფექტურად უმკლავდება აზიურ ფაროსანას, ვაშლის ნაყოფჭამიებს, ტკიპებს, ბაღჩის ბუგრს, პომიდორის ჟანგა ტკიპას და სხვა არაერთ ფართო სპექტრის მავნებელს. გამოიყენება ვაზის, ვაშლის, ატმის, თხილის, ციტრუსის, ბოსტნეული კულტურებისთვის, ხორბლისა და სიმინდისთვის.

ბაიტი კონტაქტურ-ნაწლავური მოქმედების პრეპარატია. ვერტირებადი მცენარის დამუშავებისას ის დიდხანს რჩება ზედაპირზე თუნდაც ტენიან ამინდობრივ პირობებში და დიდხანს ინარჩუნებს ინსექტიციდურ აქტივობას.

პრეპარატის უპირატესობები:

- ბაიტს გააჩნია მაღალი დაცვითი ეფექტი ბაღის და დახურული გრუნტის პრობლემური მავნებლების წინააღმდეგ; ბაიტი ასრულებს მთავარ როლს ვაშლის მავნებლებისგან ქიმიურად დაცვის სისტემაში;
- განსაკუთრებული ეფექტი აქვს ტკიპებთან ბრძოლისას;
- ბაიტი დაბალი ტოქსიკურობით გამოირჩევა;
- პრეპარატის გამოყენება მიზანშეწონილია სათბურებში;
- ბაიტი თავსებადია სხვა პესტიციდებთან;
- ნალექების მიმართ მედეგია;
- პრეპარატი მოქმედებს სწრაფად და ეფექტურად, რაც მოსავლის საბაზრე სახის შენარჩუნების გარანტიას იძლევა;
- ბაიტი ეფექტურია მავნებლების ყველა სტადიაზე გამოსაყენებლად;
- არ საჭიროებს დამატებითი დამხმარე საშუალებების გამოყენებას;
- სამიზნე მწერებთან შეხების მაქსიმალური პოტენციალი გააჩნია;



კულტურა	მავნებელი	ხარჯვის ნორმა ლ/პა	ლოდინის პერიოდი.დღე
ვაზი	აზიური ფაროსანა *(Halyomorpha halys)*, ყურძნის ჭია *(Lobesia botrana)*, ტკიპები, ვაზის ნარინჯისფერი ტკიპა *(Brevipalpus jevisi)*, ვაზის გალებიანი ტკიპა *(Eriophyes vitis).*	0.2-0.6	30(2)
ვაშლი	აზიური ფაროსანა *(Halyomorpha halys)*, ვაშლის ნაყოფჭამია *(Lepidosaphes ulmi)*, ტკიპები *(Acarina).*	0.3-0.6	30(4)
ატამი	აზიური ფაროსანა *(Halyomorpha halys)*, ატმის ცრუფარიანა *(Parthenolecanium persicae)*, აღმოსავლური ნაყოფჭამია *(Grapholitha molesta).*	0.3-0.6	30(2)
თხილი	აზიური ფაროსანა *(Halyomorpha halys)*, თხილის ცხვირგრძელა *(Curculio nucum)*,თხილის ნაყოფჭამია *(Carpocapsa)*, აღმოსავლური ნაყოფჭამია *(Grapholitha molesta).*	0.3-0.6	30(4)
ციტრუსი	აზიური ფაროსანა *(Halyomorpha halys)*, ტკიპები *(Acarina)*, ფარიანები, ცრუფარიანები ციტრუსოვანთა ღინღლიანი ბალიშა ცრუფარიანა *(Chloropulvinaria aurantii)*, ავსტრალიაური ღარებიანი ცრუფარიანა *(Iceria purchasi)*, ციტრუსოვანთა ცვილისებრი ცრუფარიანა *(Pseudococcus gahani)*, ციტრუსოვანთა ცვილისებრი ცრუფარიანა *(Ceroplastes sinrnsis)*, რბილცრუგარიანა *(Coccus hesperidum).*	0.6	30(4)
პომიდორი, კიტრი	აზიური ფაროსანა *(Halyomorpha halys)*, ბუგრები, ბაღჩის ბუგრი *(Aphis gossypii)*,აბლაბუდიანი ტკიპა *(Tetranychus urticae)*, პომიდორის ჟანგა ტკიპა *(Aculus lycopersici).*	0.4-0.6	20(1)
კომბოსტო	აზიური ფაროსანა *(Halyomorpha halys)*, ბუგრები, ბაღჩის ბუგრი *(Aphis gossypii)*, აბლაბუდიანი ტკიპა *(Pieris brassicae, Pieris rapae).*	0.2-0.6	30(2)
ხორბალი	აზიური ფაროსანა *(Halyomorpha halys)*, მავნე კუსებურა *(Eurygaster intergriceps Put.)*, ჭიაწურბელა *(Lema melanopus L.).*	0.1-0.6	20(1)
სიმინდი	აზიური ფაროსანა *(Halyomorpha halys)*, ბამბის ხვატირა *(Choridea obsoleta)*, სიმინდის ფარვანა *(Pyrausta nubilalis).*	0.3-0.6	20(1)

AGRO LIFE SCIENCE CORPORATION

50 გ/ლ

C48H72O14 (B1a)

ეიბისი სუპერი



მოქმედი ნივთიერება: აბამექტინი 50 გ/ლ ეკ

პრეპარატული ფორმა: წყალში დისპერსირებადი გრანულები

შეფუთვა: 0.25 კგ

მწარმოებელი: Agro Life Science Corporation, ინდოეთი

გამოყენების ფართო სპექტრის მქონე ინსექტო-აკარიციდი ეიბისი სუპერი თავსებადია (ფიზიოლოგიურად ტუტე მოქმედების პესტიციდების გარდა) მცენარეთა დაცვის ნებისმიერ საშუალებასთან. პრეპარატი კულტურათა ფართო სპექტრის დასაცავად გამოიყენება, მათ შორის: ვაზის, ციტრუსის, შავი მოცხარის, ვაშლის, მსხლის და ა.შ

პრეპარატის მოქმედების მექანიზმი:

აბამექტინი არის ბიოლოგიური პესტიციდების (ანტიბიოტიკური პრეპარატები) აქტიური ნივთიერება, რომელიც გამოიყენება სოფლის მეურნეობაში მავნე მწერებისა და ტკიპების წინააღმდეგ საბრძოლველად. აბამექტინი სწრაფად აღწევს მცენარის ფოთლებში შესხურებისას. გამოყენებიდან 2 საათის შემდეგ პრეპარატი მთლიანად ნაწილდება მცენარის ქსოვილში. ხოლო მავნებლები წყვეტენ აქტივობას ერთ დღეში, ხოლო სრული განადგურება ხდება 2-3 დღეში (ნერვული იმპულსების დათრგუნვისა და დამბლის შედეგად).

პრეპარატი აქტიურად გამოიყენება სოფლის მეურნეობაში ყურძნის (ყურძნის თექის ტკიპები), სათბურის კიტრის (ობობის ტკიპა, თამბაქო და სათბურის თრიფსი), წიწაკის, ბადრიჯნის, პომიდვრის (ობობის ტკიპა), ვაშლის (ტკიპები, ვაშლის მწოვარი) მავნებლების წინააღმდეგ. პრეპარატის ნარჩენები, რომლებიც არ შეიღწევა ფოთლებში, რამდენიმე საათის შემდეგ ხდება არატოქსიკური. საშიშია თბილსისხლიანებისათვის (ფუტკრები). ის მიეკუთვნება ავერმექტინებს, რომლებსაც აქვთ მოქმედების ნეიროტოქსინის მექანიზმი. თუ ფოთოლზე დარჩა რომელიმე ტკიპა/მწერი, ის კარგავს მოქმედების უნარს. მიუხედავად იმისა, არის თუ არა მავნებლის გავრცელების მაღალი საშიშროება, ეიბისი სუპერის გამოყენებისას რეზისტენტობა (შეგუება) გამორიცხულია.

პრეპარატის გამოყენების უპირატესობები:

- ანადგურებს მავნებლებს ფოთლის როგორც ქვედა, ასევე ზედა ნაწილებზე;
- შეწამვლიდან სამ დღეში შესაძლებელია მოსავლის აღება;
- დაცვითი ხანგრძლივობა (3 კვირამდე);
- რამდენიმე საათში აღწევს ქსოვილის შიგნით და წარმოქმნის რეზერვუარს, სადაც აკუმულირდება
- (გროვდება) მოქმედი ნივთიერება;
- სწრაფად აღწევს მცენარის ორგანიზმში;

ვაზის გალებიანი ტკიპა
(Eriphyes vitlis)



ხეხილის წითელი ტკიპა
(Panonycus ulmi)



ხეხილის ბუზი
(bactrocera trioni),



თხილის კვირტი ტკიპა
(Phytoptus avelanae)



- არ ტოვებს ლაქებს მცენარეზე;
- ის მიეკუთვნება ავერმექტინებს, რომლებსაც აქვთ მოქმედების ნეიროტოქსინური მექანიზმი;
- გამოიყენება ღია და დახურულ გრუნტში;
- ნიადაგში მოხვედრისას, პრეპარატი მალევე იშლება;
- სწრაფად ხდება ტკიპებისა და სხვა მავნე მწერების პარალიზება;

პრეპარატის გამოყენების რეკომენდაციები:

- პრეპარტის გამოყენებისას, უპირველესია მოხდეს თანაბარი და სწორი განაწილება (არ უნდა ჩამოდიოდეს მცენარიდან წვეთები);
- უმჯობესია შეწამვლა მოხდეს დილით, ან საღამოს;
- დამცავი მოქმედების პერიოდი 2-3 კვირა;
- პრეპარატი ინახება 3 წლის განმავლობაში თვისებების შეუცვლელად;
- შეინახეთ დახურულ კონტეინერებში, მშრალ და გრილ ადგილას, რომელიც კარგად ნიავდება;
- მოარიდეთ მზის შუქს;

კულტურა	მავნებელი	გამოყენების მეთოდი პერიოდი	ხარჯვის ნორმა ლ/ჰა	ლოდინის პერიოდი	გამოყენების ჯერადობა
ვაშლი, მსხალი	ხეხილის წითელი ტკიპა *(Panonycus ulmi)* ჩვეულებრივი აბლაბუდიანი ტკიპა *(TeTranychus Urticae)*	შესხურება ვეგეტაციის პერიოდში მავნებლების გამოჩენისთანავე 7-14 დღიანი ინტერვალით.	0.2-0.3	3 (1-2) 3 (2)	2 (1)
ვაზი	ვაზის აბლაბუდიანი ტკიპა *(brevipalpus lewisi)* ვაზის გალებიანი (ქეჩიანი) ტკიპა (Eriphyes vitlis)	შესხურება ვეგეტაციის პერიოდში მავნებლების გამოჩენისთანავე და შემდეგი მავნეობის ეკონომიური ზღვრის გათვალისწინებით შესხურება ვეგეტაციის პერიოდში H თაობის წინააღმდეგ.	0.4-0.5	3 (3) 3 (3)	3 (1)
ციტრუსი	ხეხილის ბუზი *(bactrocera trioni)*, ვერცხლისფერი ტკიპა.	შესხურება ვეგეტაციის პერიოდში მავნებლების მავნეობის ეკონომიური ზღვრის გათვალისწინებით, პირველი კვერცხებიდან ტკიპების გამოჩენისთანავე.	0.4-0.5	3 (1-2)	2 (1)
დეკორატიული მცენარეები, მათ შორის, ვარდები, ქრიზანთემები, მიხაკები და ოთახის მცენარეები.	ყვავილების თრიფსები მენაღმე ჩრჩილები ბუგრები, ჩვეულებრივი აბლაბუდიანი ტკიპა *(tetranychus urticae)*	შესხურება ვეგეტაციის პერიოდში მავნებლების გამოჩენისთანავე, მეორე შესხურება 1 კვირის შემდეგ საჭიროების შემთხვევაში (3 დღე)	0.4-0.5	3 (3)	3 (-)
შავი მოცხარი	ჩვეულებრივი აბლაბუდიანი ტკიპა *(Tetranychus urticae)*	შესხურება ვეგეტაციის პერიოდში მავნებლების გამოჩენისთანავე, მეორე შესხურება 1 კვირის შემდეგ საჭიროების შემთხვევაში (3 დღე)	0.4-0.5	3 (1-2)	2 (1)

მაყვალი, ჟოლო და მოცვი	ჩვეულებრივი აბლაბუდიანი ტკიპა *(Tetranychus urticae)* ხეხილის ბუზი *(Bactrocera trioni)*	შესხურება ვეგეტაციის პერიოდში მავნებლების გამოჩენისთანავე 7-14 დღიანი ინტერვალით.	0.4-0.5	3(3)	3 (-)
გოგრა, ყაბაყი	ჩვეულებრივი აბლაბუდიანი ტკიპა *(Tetranychus urticae)*	შესხურება ვეგეტაციის პერიოდში მავნებლების გამოჩენისთანავე 7-14 დღიანი ინტერვალით.	0.4-0.5	3(3)	2(1)
ბოსტნეულის კულტურები, გარდა გოგრისებრთა, მათ შორის, პომიდორი, წიწაკა, (ტკბილი და ცხარე), და ბადრიჯანი	ჩვეულებრივი აბლაბუდიანი ტკიპა *(Tetranychus urticae)*,წითელი აბლაბუდიანი ტკიპა *(Tetranychus evansi)* (ტკბილი და ცხარე), და ბადრიჯანი პომიდვრის, კარტოფილის ფსილა *(Bactericera cock - ere)*,თამბაქოს მენაღმე ჩრჩილი *(Potato moth)*	შესხურება ვეგეტაციის პერიოდში მავნებლების გამოჩენისთანავე და შემდეგი მავნეობის ეკონომიური ზღვრის გათვალისწინებით შესხურება ვეგეტაციის პერიოდში HI თაობის წინააღმდეგ.	0.4-0.5	3 (1-2)	2(1)
სალათა	ჩვეულებრივი აბლაბუდიანი ტკიპა *(Tetranychus urticae)*	შესხურება ვეგეტაციის პერიოდში მავნებლების გამოჩენისთანავე 7-14 დღიანი ინტერვალით.	0.4-0.5	3 (1-2)	2(1)
სოკოები	წითელი წიწაკის ტკიპა *(Siteroptes mesembrinae)* სოკოს ჯუჯა (პატარა) ტკიპები *(Microdispus Lambl)* ნიადაგის ნემატოდები ოჯახი *Rhabditi dae*-დან	შესხურება ვეგეტაციის პერიოდში მავნებლების გამოჩენისთანავე და შემდეგი მავნეობის ეკონომიური ზღვრის გათვალისწინებით შესხურება ვეგეტაციის პერიოდში HI თაობის წინააღმდეგ.	0.4-0.5	3 (3)	3 (-)
მარწყვი	ჩვეულებრივი აბლაბუდიანი ტკიპა *(Tetranychus urticae)*	შესხურება ვეგეტაციის პერიოდში მავნებლების გამოჩენისთანავე 7-14 დღიანი ინტერვალით.	0.4-0.5	3 (3)	3 (-)
თხილი	თხილის კვირტი ტკიპა *(Phytoptus avelanae)*, თხილის ტკიპა *(Tetranycopsis hostiles)*	შესხურება ვეგეტაციის პერიოდში მავნებლების გამოჩენისთანავე 7-14 დღიანი ინტერვალით.	0.4-0.5	3 (3)	3 (-)

100 გ/ლ
C20H19NO3

ვენტო



მოქმედი ნივთიერება:
პირიპროქსიფენი 100გ/ლ

პრეპარატული ფორმა: ემულსია კონცენტრატი

შეფუთვა: 1ლ

მწარმოებელი: Lead Life Sciences,
დიდი ბრიტანეთი



ვენტო უმაღლესი ხარისხის ინსექტიციდია, რომელიც წარმოადგენს მწერების გამრავლების საკონტროლებელ ეფექტურ საშუალებას. იგი წარმატებით გამოიყენება ისეთ მავნებელთან საბრძოლველად, როგორიცაა ფრთათეთრა ფარიანები და მრავალი სხვა.



ვენტო არის ახალი სიტყვა თანამედროვე ინსექტიციდებში. მისი გამოყენების შედეგად, მავნებლები კარგავენ კვერცხის დადებისა და გამრავლების უნარს, რითაც მკვეთრად იზღუდება მათი რეზისტენტობის და ადაპტირების უნარიც.

უპირატესობები:

- მავნე მწერებზე ზემოქმედებს სწრაფად და ხანგრძლივი ეფექტით;
- გააჩნია მაღალი ბიოლოგიური ეფექტურობა;
- მოქმედების მაღალი სელექტურობა, პრეპარატი არ ახდენს ტოქსიკურ მოქმედებას ენტემოფაუნაზე;
- არ არის რეზისტენტული;
- გააჩნია მოქმედების ფართო დიაპაზონი (კონტაქტისთანავე სპობს ყველა მავნებელს);

რეკომენდაციები:

- პირიპროქსიფენი გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებელთა ფართო სპექტრის წინააღმდეგ;
- თავდაპირველად,სპეციალისტის მიერ, უნდა შეფასდეს მიწის ნაკვეთის მდგომარეობა და ის მავნე ორგანიზმები, რომლებიც მცენარეებს აზიანებენ;
- პესტიციდის გამოყენებამდე, დეტალურად გაეცანით ინსტრუქციას;





პრეპარატით მცენარის დამუშავება უნდა მოხდეს ყურადღებით, რადგან ერთი გადარჩენილი მწერი, რამდენიმე დღეში ისევ გამრავლდება.

კულტურა	მავნებელი	ხარჯვის ნორმა ლ/ჰა	გამოყენების დრო,ხერხი	მოსავლის აღებამდე, გამოსაყენებელი ინტერვალი	ლოდინის პერიოდი
კიტრი, პომიდორი	ჩრჩილი, სათბურის ფრთათეთრა	0.5	შესხურება ვეგეტაციის პერიოდში მავნეობის ზღვარის მიხედვით	3 დღე	3(-)
ვაშლი, მსხალი, ატამი, ქლიავი	კალიფორნიის ფარიანა, ფარიანები	0.5-1.5	შესხურება ვეგეტაციის პერიოდში მავნეობის ზღვარის მიხედვით	21 დღე	7(3)
საზამთრო,ნესვი, კომბოსტო	ფრთათეთრა რწყილები	0.5-0.75	შესხურება ვეგეტაციის პერიოდში მავნეობის ზღვარის მიხედვით	14 დღე	7(3)
ციტრუსები	ფარიანები	3-4	შესხურება ვეგეტაციის პერიოდში მავნეობის ზღვარის მიხედვით	30 დღე	7(3)

დამატებითი ინფორმაცია:

ვენტო აქტიურად გამოიყენება ფარიანების/ცრუფარიანების წინააღმდეგ. ფარიანა ეწებება ფოთოლს და მის ადგილზე ყვითელი ლაქა ჩნდება, რომელიც ნელ-ნელა იზრდება და წოვს მცენარეს. მათი აღმოჩენის თანავე რეკომენდებულია მცენარე მოვათავსოთ იზოლირებულ გარემოში, დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს სხვა მცენარეების გადამოწმებაც. პრეპარატის გამოყენება მაშინვე უეფექტოა, რადგან ფარი, რომელიც გააჩნია მავნებელს იცავს პრეპარატისგან, ამიტომ უნდა მოხდეს მცენარის ფოთლის ხარისხიანი დამუშავება. ამისთვის ჯერ უნდა გააშროთ მცენარე, ხოლო შემდეგ პრეპარატით დაასველოთ (გამოიყენეთ რბილი ქსოვილი, ან ფუნჯი). ეს დამოკიდებულია მცენარის ფოთლის ხარისხზე.





KORUMA

500 გ/ლ

C11H20N3O3PS

კორნილოფოსი



მოქმედი ნივთიერება:
პირიმიფოს - მეთილი 500 გ/ლ

პრეპარატული ფორმა: ემულსია კონცენტრატი

შეფუთვა: 0.01 ლ

მწარმოებელი: "Koruma Klor Alkali Sanay ve Ticaret A.S, თურქეთი

კორნილოფოსი მაღალეფექტური კონტაქტურ-სისტემური მოქმედების ინსექტიციდია. პრეპარატი აქტიურად გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებლებისგან დასაცავად.

მოქმედების მექანიზმი

კორნილოფოსი გამოიყენება შემდეგ კულტურებში: კიტრი, პომიდორი, ლობიო, კომბოსტო, მარცვლოვანი კულტურები, ხეხილი. მოქმედი ნივთიერებიდან გამომდინარე პრეპარატს ახასიათებს სამმაგი ეფექტი: კონტაქტურია (პრეპარატი ხვდება მავნებლის კანის საფარველზე), ნაწლავური (საკვებთან ერთად შესაძლებელია, მავნებლის ორგანიზმში მოხვედრა) და ფუმინგატური (პესტიციდის ორთქლის მოხვედრა მწერის სასუნთქ სისტემაში).

პრეპარატის თვისებები

- პირიმოფოს - მეთილის ტოქსიკურობა განპირობებულია ფერმენტით (აცეტილქოლინესთერაზის ფოსფორილირებით), რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ნერვული იმპულსების გადაცემაში;

- პირიმოფოს - მეთილს ახასიათებს დაბალი რეზისტენტულობა (შეჩვევა);

© Giorgi Ninoshvili

Sopho Kharazishvili

- პირიმოფოს - მეთილს ახასიათებს დაბალი რეზისტენტულობა (შეჩვევა);
- პრეპარატს აქვს ფუმიგაციის ეფექტი, რომელიც ძლიერდება თბილ და ნოტიო პირობებში;
- ფუმიგანტური მოქმედება ხელს უწყობს მწერების წინააღმდეგ ბრძოლას, რომლებიც იკვებებიან ფოთლის ქვედა მხარეზე და არ შედიან კონტაქტში შესასხურებელ ხსნართან;
- არ გააჩნია ფიტოტოქსიკური ეფექტი რეკომენდირებული დოზებით გამოყენებისას;

უპირატესობები

- სწრაფად თრგუნავს მავნებლებს და უშლის ხელს მათ ხელახალ გამრავლებას;
- აქვს ხანგრძლივი დაცვითი ეფექტი;
- პრეპარატი არ არის ფიტოტოქსიკური;
- კორნილოფოსს არ ახასიათებს რეზისტენტობა (არ იწვევს შეჩვევას);
- ინერტულ ზედაპირზე ხანგრძლივი მოქმედების უნარი (6-8 თვემდე), რაც საწყობის მავნებლებისგან და ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების დასაცავად აუცილებელია;
- გამოიყენება სასაწყობე შენობებში შენახული მარცვლეულის მავნებლებისგან დასაცავად;
- პრეპარატი ეფექტურად მოქმედებს +25°C და უფრო მაღალ ტემპერატურაზეც;
- დამუშავებული მარცვალი გამოყენებადია სასურსათოდ და საფურაჟედ;
- თავსებადია უმეტეს ინსექტიციდებთან, აკარიციდებთან და ფუნგიციდებთან;
- ანადგურებს მარაგის მავნებლებს ძნელად მისადგომ ადგილებშიც;

გამოყენების რეკომენდაციები

- ვაზი (ფოთლიხვევია,ნაყოფჭამია ყურძნის ჭია, ტკიპები) 0.8-1.2 -1000 ლიტრ წყალში იხსნება;
- ვაშლი, მსხალი, ატამი, ბალი (ბუგრები, თრიფსები, ფსილა, ფოთლიხვევიები, ნაყოფჭამია, კოკრიჭამია, მენაღმე ჩრჩილები) -1.2-1.5 ლ - 1000 ლიტრ წყალში;
- საზამთრო, ნესვი, კომბოსტო (ბაღჩის ბუგრები, ტკიპები,ფრთათეთრა) 0.8 -1ლ - 1000 ლიტრ წყალში;
- ხორბალი, ქერი, შვრია (ბუგრები, ბამბის ხვატარი, თრიფსები) 1ლიტრი 250 -300 ლ წყალში, (ანუ 1 ჰექტარზე 1 ლიტრი);
- ბოსტნეული კულტურები: კიტრი, პომიდორი (ბუგრები, თრიფსები, მენაღმე ჩრჩილები, მავთულა ჭიები - ფრთათეთრა (ღია გრუნტი) 0.5 -1 ლიტრი 400 - 500 ლიტრ წყალში;
- რეზისტენტობის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია წამლის ალტერნატიული, სხვა ქიმიური კლასის, ინსექტიციდებით ჩანაცვლება (მაგალითად, როგორიცაა სინთეზური პირეტროიდები).
- მიზანშეწონილია დამუშავების დაწყება მაშინ, როცა მავნებლების რაოდენობა აჭარბებს მავნებლობის ეკონომიკურ ზღვარს (რაოდენობიდან გამომდინარე);
- სამუშაო ხსნარის მოცულობა უნდა იყოს საკმარისი იმისათვის, რომ მთლიანად დაფაროს კულტურის ფოთლის სრული ზედაპირი;
- არ შეიძლება პირუტყვის ძოვება პრეპარატით დამუშავებულ ტერიტორიაზე;
- დამუშავება რეკომენდებულია ჩატარდეს დილით, ან საღამოს +15°C-დან +25°C-მდე ტემპერატურაზე;

© Giorgi Ninoshvili



AGRO LIFE
SCIENCE CORPORATION

50 გ/კგ
C49H75NO13

კლიპი



მოქმედი ნივთიერება:
ემამექტინ ბენზოატი 50 გ/კგ

პრეპარატული ფორმა: წყალში ხსნადი გრანულები

შეფუთვა: 100გ

მწარმოებელი: Agro Life Science Corporation
ინდოეთი

ინსექტიციდი კლიპი გამოიყენება ფარულად მცხოვრები პეპლების, მატლების (მენაღმე ჩრჩილების) წინააღმდეგ საბრძოლველად. პროგრამაში მაღალი ხარისხის ინსექტიციდი, გრანულების სახით არის წარმოდგენილი.

დამუშავებიდან ორი საათის განმავლობაში ის მთლიანად აღწევს ფოთოლში და მცენარის ქსოვილებში წარმოქმნის ემამექტინ ბენზოატის შემცველ რეზერვუარებს, რის გამოც პრეპარატში შემავალი ნივთიერება მოქმედებს მწერის ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე, რაც იწვევს კუნთების მოდუნებას. შესხურებიდან 1 – 4 საათში მწერი წყვეტს მოძრაობასა და კვებას, ხოლო 1 – 4 დღეში საბოლოოდ იღუპება. მიუხედავად იმისა, რომ პრეპარატი სწრაფად აღწევს მცენარის ქსოვილებში, მას არ გააჩნია სისტემური ეფექტი.

პრეპარატის გამოყენების უპირატესობები:

- დამცავი ეფექტი 10 – 15 დღე;
- მატლი იღუპება მანამ, სანამ ნაყოფში შეღწევას მოასწრებს;
- გამოიყენება ბიოლოგიური ბრძოლის ღონისძიებებში;
- პრეპარატი მაღალეფექტურია, როგორც დიდი რაოდენობის ნალექების ასევე, მაღალი ტემპერატურის დროსაც;
- უსაფრთხოა ენტომოფაგების მიმართ, გამოყენებიდან 24 საათის შემდეგ;
- ხანმოკლე ლოდინის პერიოდი (4 – 7 დღე);
- გამოიყენება როგორც ღია, ასევე დახურულ გრუნტში;
- მზის სხივების ზემოქმედებით, მცენარის ზედაპირზე პრეპარატი სწრაფად იშლება;

ყურძნის ჭია
(Lobesia botrana Sch.)



სათბურის ფრთათეთრა
(Trialeurodes vaporariorum Westw.)



ბაღჩის ბუგრი
(Aphis gossipi Glov.)



აბლაბუდიანი ტკიპა
(Tetranycus telarius L.)



კულტურა	მავნებელი	ხარჯვის ნორმა კგ/ჰა	გამოყენების ვადა
ვაზი	ყურძნის ჭია *(Lobesia botrana Sch.)*	2.5	შესხურება ვეგეტაციის პერიოდში მავნებლის ყოველი თაობის წინააღმდეგ
პომიდორი (ღია გრუნტი)	ჩვეულებრივი აბლაბუდიანი ტკიპა *(Tetranycus telarius L.)*, სათბურის ფრთათეთრა *(Trialeurodes vaporariorum Westw.)*	0.3-0.4	შესხურება ვეგეტაციის პერიოდში მავნებლის გამოჩენისთანავე 7-14-დღიანი ინტრევალით. ხარჯვა 400-1000 ლ/ჰა
კიტრი (ღია და დახურულ გრუნტში)	ბუგრი. ბაღჩის ბუგრი *(Aphis gossipi Glov.)*, სათბურის ფრთათეთრა *(Trialeurodes vaporariorum Westw.)*	0.3-0.4	შესხურება ვეგეტაციის პერიოდში 7-დღიანი ინტერვალით. ხარჯვა 1800 ლ/ჰა
საზამთრო ნესვი	ბაღჩის ბუგრი *(Aphis gossipi Glov.)*, აბლაბუდიანი ტკიპა*(Tetranycus telarius L.)*, თრიფსები *(Thrips gossipicola, Thrips leucadophilus)*, ფოთლის მენაღმე ჩრჩილი *(Lyonetia clerckella L.)*	0.3-0.4	შესხურება ვეგეტაციის პერიოდში მავნებლის გამოჩენისთანავე 7-დღიანი ინტერვალით. ხარჯვა 500-800 ლ/ჰა

პრეპარატის გამოყენების უპირატესობები:

- პრეპარატი არ არის ფიტოტოქსიკური, თუ დაცულია გამოყენების წესები;
- არ არის რეკომენდებული ტუტე რეაქციის პესტიციდებთან ერთად გამოყენება;
- არ შეიძლება პრეპარატის გამოყენება ფუნგიციდებთან;
- თავსებადია სხვა პესტიციდებთან, თუმცა უმჯობესია შერევამდე გადამოწმება;
- სამუშაო სითხე მზადდება უშუალოდ გამოყენებამდე სპეციალურ ჭურჭელში, რომელიც რეკომენდებულია მცენარეთა დაცვის სამუშაოებისთვის;
- პრეპარატის გამოყენების რეკომენდაციების გათვალისწინებისას, არ არსებობს რეზისტენტობის გამოვლენის საფრთხე;
- პრეპარატი ინახება მშრალ, პესტიციდებისთვის განკუთვნილ სპეციალურ ადგილას, ტემპერატურა (-5°C-დან +35°C-მდე);



AGRO LIFE SCIENCE CORPORATION

ლოკ-5

50 გ/ლ

$C_{23}H_{19}ClF_3NO_3$

ლოკ-5



მოქმედი ნივთიერება:
ლამბდა - ციჰალოტრინი 50 გ/ლ

პრეპარატული ფორმა: ემულსია კონცენტრატი

შეფუთვა: 1ლ

მწარმოებელი: Agro Life Science Corporation, ინდოეთი

ლოკ 5 პირეტროიდული ინსექტიციდია სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებლების ფართო სპექტრისგან დასაცავად. პრეპარატი მაღალეფექტურია როგორც მწუწნი, ასევე მღრღნელი მავნებლების წინააღმდეგ.

მოქმედების მექანიზმი:

ლამდა-ციჰალოტრინი მავნებლის ორგანიზმში კონტაქტურ-ნაწლავური გზით ხვდება. ის მოქმედებს მწერების ნერვულ სისტემაზე, არღვევს უჯრედის მემბრანების გამტარიანობას, ბლოკავს ნატრიუმის არხებს, რაც იწვევს მწერების სიკვდილს. უზრუნველყოფს მავნებლების სწრაფ განადგურებას (დამუშავებიდან არანაკლებ 24 საათში). მას აქვს გვერდითი ეფექტი ტკიპებისა და ლარვების მიმართ აფერხებს, მათ განვითარებას, ხელს უშლის მათი რაოდენობის ზრდას. ლამბდა-ციჰალოტრინის შემცველ პრეპარატებს აქვთ სწრაფი საწყისი ტოქსიკურობა შედეგად, აქვთ ხანგრძლივი დამცავი ეფექტი მცენარის ზედაპირზე.

პრეპარატის გამოყენების უპირატესობები:

- აქვს მაღალი საწყისი ეფექტურობა — ,,ნოკდაუნის ეფექტი“. მავნებლების სიკვდილი დგება 30 წუთის შემდეგ;
- დაბალი ხარჯვის ნორმა და მაღალი ბიოლოგიური ეფექტურობა;
- დაბალი ხარჯვის ნორმა არახელსაყრელ კლიმატურ პირობებში;
- სწრაფი რეპელენტური მოქმედება, აფრთხობს მწერებს და ხელს უშლის მცენარეზე ხელმეორედ გამრავლებას;
- არ ახასიათებს ფიტოტოქსიკურობა;
- თავსებადია უმეტეს ინსექტიციდებთან და ფუნგიციდებთან;
- პრეპარატი ადვილად იშლება;
- არ მოქმედებს გარემოზე;
- პრეპარატი მაღალეფექტურია და ახასიათებს დაბალი საჰექტრო დანახარჯი;
- დამცავი მოქმედების პერიოდი 2-3 კვირაა;

კულტურა	მავნებელი	ხარჯვის ნორმა ლ/ჰა
ვაზი	ფოთლიხვევიები, ტკიპები, ბუგრები. ვაზის ფოთოლხვევია *(Sparganothis pilleriana Schiff.)*, ვაზის წითელი ტკიპა *(Brevipalpus jevisi Mc.Gr)*, ვაზის აბლაბუდიანი ტკიპა *(Eriophyes vitis Nal.)*, ვაზის ბუგრი *(Viteus vitifoliae)*	0.2-0.3
თხილი	თხილის ცხვირგრძელა *(Curculio nucum)*	0.5
ვაშლი	ვაშლის ნაყოფჭამია *(Caprocapsa pomonella)*, ვაშლის ბუგრი *(Eriosoma lanigerum Hausm).*	0.3-0.5
სიმინდი	სიმინდის ფარვანა *(Ostrinia nubilalis)*	0.3-0.5
კარტოფილი	კოლორადოს ხოჭო *(Leptinotarsa decemlineata)*, კარტოფილის ბუგრი *(Aulacorthun solani)*	0.4
პომიდორი	კოლორადოს ხოჭო *(Leptinotarsa decemlineata)*, პომიდვრის ბუგრი *(Aphis gossypii)*	0.5
ლობიო	მემარცვლიები, ბუგრები. ლობიოს მემარცვლია *(Acanthoscelides oblectus Say.)*, ბაღჩის ბუგრი *(Aphis gossipi Glow.)*	0.15- 0.3

პრეპარატის გამოყენების რეკომენდაციები:

- რეზისტენტობის რისკის შესამცირებლად, პრეპარატი გამოიყენეთ რეკომენდებული დოზებით და მონაცვლეობით სხვა კლასის ნაერთების ინსექტიციდებთან;
- დამუშავება უნდა მოხდეს სპეციალური აღჭურვილობით;
- აუცილებელია მცენარის ღეროდა ფოთოლი სრულად დაიფაროს სამუშაო ხსნარით;
- ეფექტურია მისი გამოყენება, როდესაც მავნებლის რაოდენობა აღწევს მაქსიმალურ ეკონომიკურ ზღვარს მცენარეზე;
- შესაძლებელია მისი კომბინირება სხვა ინსექტიციდებთან, აკარიციდებთან და ფუნგიციდებთან;

500 გ/ლ

C10H19O6PS2

მალაფოსი



მოქმედი ნივთიერება:
მალათიონი 500 გ /ლ

პრეპარატული ფორმა: ემულსია კონცენტრატი

შეფუთვა: 1ლ

მწარმოებელი: Parijat Industries, ინდოეთი

მალაფოსი მაღალეფექტური მოქმედების, ფართო სპექტრის გამოყენების ინსექტიციდია მწუწნი მწერების, ტკიპების, ფარიანების, ცრუფარიანების, ხერხიების და სასოფლო-სამეურნეო კულტურებში გავრცელებული სხვა მავნებლების წინააღმდეგ. მაღალეფექტურია ბუზების და კოღოების წინააღმდეგ.

პრეპარატის მოქმედების მექანიზმი:

მალათიონი ზოგადი დანიშნულების ინსექტიციდია, რომლის გამოყენება რეკომენდებულია ბოსტნეული კულტურებისთვის, ბაღჩეული კულტურებისთვის (საზამთრო, ნესვი), მზესუმზირისთვის, ხეხილისთვის, ვაზისთვის, ასევე საძოვრებისა და მწვანე ნარგავობების შესაწამლად. პრეპარატით დამუშავებულ მცენარის ზედაპირზე მავნებელი განიცდის სწრაფ ქიმიურ და ფერმენტულ დაშლას. მალათიონის გამოყენება შესაძლებელია ჩაუტვირთავ სასაწყობე შენობებსა და საწარმოებში. პრეპარატი 20 °C-ზე მაღალ ტემპერატურაზე გამოყენებისას საუკეთესოდ მუშაობს. კულტურათა შეწამვლისას აუცილებელია კარგად დაიფაროს მცენარის ფოთლები.

პრეპარატის გამოყენების უპირატესობები:

- გააჩნია ძალიან მაღალი საწყისი და სიღრმული ეფექტი;
- მოქმედების ფართო დიაპაზონი (კონტაქტის შემთხვევაში სპობს ყველა მავნებელს);
- დამუშავებული მცენარის ზედაპირზე სწრაფად იშლება ქიმიურად და ფერმენტულად;
- ეკოლოგიურად გამართლებულია;
- აქვს ლოდინის მოკლე პერიოდი;
- მცენარეზე უარყოფითად არ მოქმედებს;
- მისი გამოყენება რეკომენდებულია ვეტერინარიაში ცხოველთა და ფრინველთა ეგზო და ენდო პარაზიტების წინააღმდეგ;

ატმის ცრუფარიანა
(Parthenolecanium persicae F.)



მსხლის ნაყოფის ხერხია
(Hoplocampa brevis Kl.),



ხეხილის მურა ტკიპა
(Bryobia redicorzeviReck.)



სათბურის ფრთათეთრა
(Trialeurodes vaporariurum
Westw.),



კულტურა	მავნებელი	ხარჯვის ნორმა ლ/ჰა	ლოდინის პერიოდი.დღე
ვაშლი, მსხალი	ბუგრები, ფოთოლხვევიები, ხერხიები მზომელები, ჩრჩილები, ფარიანები, ცრუფარიანები, ტკიპები, ვაშლის ბუგრი *(Aphis pomi Deg.)*, მრავალჭამიაფოთლიხვევია *(Tortrix politiana* Hw.), ვაშლის ნაყოფჭამია *(Carpocapsa pomonellaL)*, მსხლის ფოთლის ხერხია *(Neurotoma flaviventris Rets.)*, მსხლის ნაყოფის ხერხია *(Hoplocampa brevis Kl.)*, ვაშლის ხერხია *(Homplocampa testudinea Kl.)*, აბზინდას მზომელა *(Boarmia selenaria* Schiff.), ვაშლის დიდი ცრუფარიანა *(Palaeolecanium bitu berculaium Targ.)*, მსხლის წითელი ფარიანა *(Epidiaspis leperii Sign.)*, ვაშლის მძიმისებრი ფარიანა *(Lepidosaphes ulmi.)*, კალიფორნიის ფარიანა *(Diaspidiorus Quadraspidiotus) pernicisus Comst.)*, ხეხილის ბრტყელტანა ტკიპა *(Ceno palpus pulcher Can. Et Fanz.)*, ხეხილის წითელი ტკიპა *(Panonycus ulmi Koch.)*, კუნელის ტკიპა *(Tetranycus vienen-* sis Zacher.), ქლიავის აბლაბუდიანი ტკიპა *(Schizo tetranychus pruniOud.)*, ხეხილის მურა ტკიპა *(Bryobia redicorzeviReck.)*, მსხლის ტკიპა *(Eriophyes pyri Nal.)*, ვაშლის ჩრჩილი *(Hyponomen-tra malinellus Zell.)*, ვაშლის მენაღმე ჩრჩილი (Lyonetia - *clerckella L.)*, ვაშლის ფსილა *(Psylla mali Schidig.)*, მსხლის ფსილა *(Psylla pyricola Forst.)*, კოკრიჭამია ცხვირგრძელა *(Anthonomus pomorum L.)*.	1-1.2	20

ატამი, ბალი, ალუბალი, ქლიავი	ბუგრები, ნაყოფჭამიები, ხერხიები, ალუბლის ბუზი. ატმის დიდი ბუგრი *(Pterochlorides persicaeHolodk.)*, ატმის ცრუფარიანა *(Parthenolecanium persicae F.)*, ქლიავის აბლაბუდიანი ტკიპა *(Schizotetranychuspruni Oud.)*, ბურტყლა ბუგრი *(Eriosoma lanigerum Hausm.)*, ქლიავის ყლორტებიანი გალებიანი ტკიპა *(Aceria (Eriophyes)ploecoptes Nal.)*, ქლიავის ხერხია *(Homplocampa minuta Christ.)*, ალუბლის ბუგრი *(Myzus cerasi L.)*, ალუბლის რინქიტი (Rhynchitesaura - tusScop.), ალუბლის ბუზი *(Rhagoletis cerasi L.)*	1-1.2	20
ვაზი	ცრუფარიანები, ტკიპები, ფოთლიხვევიები, ვაზის ფქვილისებრი ცრუფარიანა *(Planococus citri Risso.)*, ვაზის ბალიშა ცრუფარიანა *(Pulvinariavitis L.)*, იმერული ბალიშა ცრუფარიანა *(Neopulvinaria imerertina Hud.)*, ვაზის ფოთლიხვევია *(Sparganothis piller - iana Schiff.)*, ვაზის ნარინჯისფერი ტკიპა *(Brevipalpusjevisi - Mc.Gr.)*, ვაზის გალებიანი ტკიპა *(Eriophyes vitis Nal.)*, ყურძნის ჭია *(Lobesia botrana Sch.)*	1-1.2	20
პომიდორი (ღია გრუნტი)	ტკიპები, ბუგრები, ფრთათეთრა, კარადრინა *(Laphygma exigua Hb.)*, პომიდორის ჟანგა ტკიპა (Vasates lycopersici Massee.), *(Tetranicus telarius L.,Tetrophagus tenuiclavus A.Z.)*, ბაღჩის ბუგრი (Aphis gossipi Glov.), აბლაბუდიანი ტკიპა *(Tetranycus telarius L.)*, სათბურის ფრთათეთრა *(Trialeurodes vaporariurum Westw.)*	0.6-1.2	20
კიტრი (ღია გრუნტი)	ტკიპები, ბუგრები, ყლორტის ბუზი, ჟანგა ტკიპა *(Vasates lycopersici Massee.)*, *(Tetranicus telarius L.,Tetrophagus tenuiclavus A.Z.)*, ბაღჩის ბუგრი *(Aphis gossipi Glov.)*, აბლაბუდიანი ტკიპა *(Tetranycus telarius L.)*, სათბურის ფრთათეთრა *(Trialeurodes vaporariurum Westw.)*, ნესვის ბუზი *(Myiopardalis pardalina Big.)*	0.6-1.2	20
საზამთრო, ნესვი	ნესვის ბუგრი, ბაღის ჭიამაია, ბუგრები, ტკიპები, ბაღჩის ბუგრი *(Aphis gossipiGlov.)*, ნესვის ბუზი *Myiopardalis pard - alina Big.*, აბლაბუდიანი ტკიპა *Tetranycus telarius L.*	0.5	20
მზესუმზირა	მზესუმზირას ბაღლინჯოები *(Adelphocorus lineolatus, Lygus pratensis* და *Dolycoris baccarum)*, მზესუმზირას ბუგრი *(Astria)*	0.6-0.8	20

სოიო, არაქისი, ქინძი	ბუგრები, ტკიპები, ფოთლიჭამიები, ხვატარები, ხვატარი იფსილონი *(Rhyacia (Agrotis ipsilon Rott.)*,პარკოსნების ხვატარი *(Chloridea dipsacea L. Po hill iajaponica New.)*, ობობასნაირი ტკიპა *(Tetranychus witicae Koch.)*, სოიოს ბუგრი *(Aulocorthum pelargonii Kalt.)*, სოიოს ნაყოფჭამია *(Eucosma glycinivorella Motsch.)*	1	20
საძოვრები	კალიები, აზიური ანუ გადამფრენი კალია *(Locusta migratoria L.)*, იტალიური კალია ანუ პრუსი *(Calliptanus italicus L.)*, ამიერკავკასიის იტალიური კალია *(Caliptanus tenuicercis T.rb.)*, უდაბნოს იტალიური კალია *(Calliptanus barbarous cephalotes F.W.)*, მაროკოული კალია *(Dociostraurusmarcoc - canus Thnb.,)* ეგვიპტური კალია *(Anacridium aegyptium)*	2.-2.5	20
ქამა სოკო სამსხმოიარო კამერები	სოკოს ბუზები, კოღოები, ტკიპები, ბუზები *(LicoriasolaniV.,L. agrariaFelt)*, კოღოები *(Lycoriellasolani Winn., L.auripila Winn., L.fucorum Frey., Bradisia frunnipes Meg.)*, ტკიპები *(Tarsonemus myce-liophagus, Tyrophagus dimidiatus, T. put ¬ rescentiae)*	0.5 (იატაკის და კედლების შესხურებით)	-
მწვანე ნარგაობა, ფოთლოვანი და წიწვოვანი ჯიშები	წიწვებისა და ფოთლების მღრღნელი მავნებლები. ნაძვის დიდი ლაფანჭამია *(Dendroctonus micans Kugel.)*, ექვსკბილა ქერქიჭამია *(Ips sexlentatus Boern.)*, ფიჭვის შავი ხარაბუზა *(Monochomus galloproviviucialis Ol.)*, ვერხვის პატარა ხარაბუზა *(Saperda populnea L.)*, ალვის ხის ფოთლიჭამია *(Melasoma populi L.)*, მოზამთრე ყლორტხვევია *(Evetria buoliana Schiff.)*, ფიჭვის ღეროს ალურა *(Dioryctria splendidella H.S)*, ფიჭვის ჩვეულებრივი ხერხია *(Diprion pini L.)*, ზამთრის მზომელა *(Operoptera brumata L.)*, ცქვლეფია მზომელა *(Eramnis defoliaria l)*, ტირიფის პარკხვევია *(Stilpnotia salicis L.)*, ნაძვის ფარიანა *(Nuculaspis abiertis Scbr)*.	1.6	-
ფიჭვი, ლარიქსი	ხერხიები, ფიჭვის ჩვეულებრივი ხერხია *(Diprion pini L.)*	0.9	-
ჩაუთვირთავი საწყობები, შენობები, საწარმოებები	მავნებლების შენახვის პერიოდში	0.8 მლ/მკვ	-

პრეპარატის გამოყენების რეკომენდაციები:

- პრეპარატი არ არის ფიტოტოქსიკური, თუ დაცულია გამოყენების წესები;
- თავსებადია სხვა პესტიციდებთან, თუმცა უმჯობესია შერევამდე გადამოწმება;
- სამუშაო სითხე მზადდება უშუალოდ გამოყენებამდე სპეციალურ ჭურჭელში, რომელიც რეკომენდებულია მცენარეთა დაცვის სამუშაოებისთვის;
- პრეპარატის გამოყენების რეკომენდაციების გათვალისწინებისას, არ არსებობს რეზისტენტობის გამოვლენის საფრთხე;
- პრეპარატი ინახება მშრალ, პესტიციდებისთვის განკუთვნილ სპეციალურ ადგილას;





მალათიონი

650გ/ლ
C10H19O6PS2

მალათიონი



მოქმედი ნივთიერება:
მალათიონი 650 გ/ლ

პრეპარატული ფორმა: ემულსია კონცენტრატი

შეფუთვა: 1ლ

მწარმოებელი: Koruma Klor Alkali Sanay ve Ticaret A.S, თურქეთი

მაღალეფექტური ინსექტიციდი მალათიონი ფართო სპექტრის მავნებლებთან საბრძოლველად გამოიყენება: მწუწნი მწერების, ტკიპების, ფარიანების, ცრუფარიანების, ხეხილის, მარცვლეულის, ლობიოს ჭიის, ბამბის ბუგრებისა და სასოფლო-სამეურნეო კულტურებში გავრცელებული სხვა მავნებლების წინააღმდეგ.

პრეპარატის მოქმედების მექანიზმი:

დამუშავებული მცენარის ზედაპირზე, მავნებელი სწრაფად განიცდის ქიმიურ და ფერმენტულ დაშლას. შეწამვლის შემდეგ აღიზიანებს ცენტრალურ და პერიფერიულ ნერვულ სისტემას, რის გამოც მავნებელი მალევე კარგავს მოქმედების უნარს. ის შეიძლება იმყოფებოდეს მცენარეზე, მაგრამ ზიანს არ აყენებდეს მას.

პრეპარატის გამოყენების უპირატესობები:

- გააჩნია საწყისი და სიღრმული ეფექტი;
- აქვს მოქმედების ფართო დიაპაზონი (კონტაქტის შემთხვევაში სპობს ყველა მავნებელს);
- ეკოლოგიურად გამართულია;
- აქვს ლოდინის მოკლე პერიოდი;
- მცენარეზე არ მოქმედებს უარყოფითად;
- მისი გამოყენება რეკომენდებულია ვეტერინარიაში ცხოველთა და ფრინველთა ეგზო და ენდო პარაზიტების წინააღმდეგ;



კულტურა	მავნებელი	ხარჯვის ნორმა ლ/ჰა	ლოდინის პერიოდი. (გამოყენების ჯერადობა)
ხეხილოვანი კულტურები	მწუწნი და მღრღნელი მავნებლების კომპლექსი	1	20(2)
კომბოსტო,კიტრი, პომიდორი	მავნებლების კომპლექსი	0.6-1.2	20(2)
ნესვი, საზამთრო	ნესვის ბუზი, ბაღის ჭიამაია,ბუგრები, ტკიპები	0.4	20(2)
თამბაქო	ბაღლინჯოები, ბუგრები, თრიფსები	1-1.8	7(2)
იონჯა (სათესლე ნაკვეთები)	ბაღლინჯოები, ბუგრები, სწრლფეხები, ცხვირგრძელები	0.2-0.6	30(2)
მზესუმზირა	ბაღლინჯოები, ბუგრები,	0.6-0.8	20(2)
მწვანე ნარგავობა, ფოთლოვანი და წიწვოვანი ჯიშები	ქერცლფრთიანთა რაზმის მავნებლები	1.5-1.6	1(-)

გამოყენების რეკომენდაციები:

- აუცილებელია კარგად შემოწმდეს მცენარის ყვავილი, ფოთოლი, ღერო და ყლორტი, რათა თავიდან ავიცილოთ მავნებლის გამრავლება;
- გადამოწმების შედეგად თუ 100 - დან მხოლოდ 5 მცენარეს აღმოაჩნდა დაზიანება, დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს მისი შეწამვლა;



AGRO LIFE SCIENCE CORPORATION

250გ/კგ

C8H10ClN5O3S

მისტი



მოქმედი ნივთიერება: თიომეთოქსამი 250 გ / კგ

პრეპარატული ფორმა: წყალში დისპერსირებადი გრანულები

შეფუთვა: 0.01 კგ

მწარმოებელი: Agro Life Science Corporation, ინდოეთი

ნეონიკოდინების ქიმიური ჯგუფის ინსექტიციდი მისტი მავნებლების ფართო სპექტრის წინააღმდეგ გამოიყენება, როგორიცაა: კოლორადოს ხოჭო, ფარიანები, ბუგრები, ფრთათეთრები, თრიფსები და სხვა. პრეპარატი გამოიყენება ხორბლის, ქერის, კარტოფილის და მრავალი სხვა ბოსტნეულის, ხილისა და ყვავილოვანი კულტურების მავნებლების წინააღმდეგ.

მოქმედების მექანიზმი:

აქტიური ნივთიერება სწრაფად შეიწოვება მცენარის მიერ და ვრცელდება ქსილემის (მისი ძირითადი ფუნქციაა წყლის გადატანა ფესვებიდან ღეროებზე და ფოთოლზე, ასევე გადააქვს საკვები ნივთიერებებიც) მეშვეობით ზრდის წერტილებამდე, რომელიც იცავს მთელ მცენარეს. მას აქვს კონტაქტური ეფექტი მავნებელზე - როდესაც ობიექტი უშუალოდ შედის კონტაქტში პრეპარატის სამუშაო ხსნართან, ასევე ე.წ. ,,კუჭის“ ეფექტი - როდესაც მავნებელი იკვებება დამუშავებული მცენარეებით. თიამეთოქსამი ზემოქმედებს მავნებლის ნერვული სისტემის ნაწილებზე, რომელიც პასუხისმგებელია მწერების კვებაზე. შედეგად მავნებელი წყვეტს კვებას, კარგავს მოძრაობის უნარს და კვდება. დამუშავებიდან 30 წუთში მწერი წყვეტს კვებას, ხოლო 24 საათში სრულად ნადგურდება. ინსექტიციდის აქტიურ ნივთიერებას, თიამეთოქსამს, აქვს სასარგებლო ეფექტი მცენარეებზე, ზრდის სპეციფიკური ფუნქციური ცილების დონეს და აქტივობას, რაც დადებითად მოქმედებს კულტურათა დამცავ თვისებებზე. აღნიშნულიდან გამომდინარე მცენარე უკეთ ვითარდება და არასასურველ გარემო ფაქტორებს უმკლავდება.

გამოყენების უპირატესობები:

- მისტი თავსებადია უმეტეს ინსექტიციდებთან და ფუნგიციდებთან;
- დაცვითი ხანგრძლივობა 14 – 28 დღე;
- აქვს გამოყენების ფართო სპექტრი;
- სისტემური მოქმედება ნიადაგში შეტანისას;
- ტრანსლამინური მოქმედება მცენარეზე შესხურებისას;
- მავნებლების კვების სწრაფი დათრგუნვა;
- ეფექტურია ფარულად მცხოვრები მავნებლის წინააღმდეგ;
- პრეპარატი ეფექტურია მაღალ ტემპერატურაზე;
- თიამეთოქსამს აქვს სამი უნიკალური თვისება: წყალში ხსნადია, ნიადაგში მოხვედრისას ადვილად იშლება და ხდება მცენარის მიერ პრეპარატის ნიადაგიდან შეწოვა, რაც მნიშვნელოვანია მავნებლების სრული კონტროლისთვის;

კულტურა	მავნებელი	ხარჯვის ნორმა ლ/ჰა	ლოდინის პერიოდი დღე
კარტოფილი	კოლორადოს ხოჭო *(Leptinotarsa decemlineata Say.)*, მავთულა ჭიები (ჯვალის შესხურება დარგვის დროს)	0.06-0.08 0.6	14
ხახვი	ხახვის ბუზი *(Hylemyia antiqua)*, თამბაქოs Trifsi *(Trips tabazi)*	0.1	10
კიტრი, პომიდორი ბადრიჯანი, წიწაკა	ბუგრები, ბაღჩის ბუგრი *(Aphis gossipi Glov.)*, ფოთლისბუგრი*(Macrosiphum euforbiae)*, ატმის მწვანე ბუგრი *(Myzodes persicae)*.	0.1-0.2	3
ვარდი	ბუგრები, ვარდის ბუგრი *(Macrosiphum rosae L.)*, ვარდის ანუ სათბურის თრიფსი *(Heliothrips haemorrhoidalis Bouche.)*	0.1-0.4	14
ხორბალი	ჭია-წურბელა *(Lema melanopus L)*, მავნე კუსებურა *(Eurygaster integriceps Put.)*.	0.07	30
სამარცვლე პარკოსნები	მემარცვლიები, ბარდას მემარცვლია *(Bruchus pisorum L.)* , ლობიოსმემარცვლია *(Acantoscelides obtectus Say.)*, ცერცვის მემარცვლია *(Bruchus rufimanus Boh)*, ოსპის მემარცვლია *(Bruchus lentis Frol.)*, ბუგრები, იონჯის ბუგრი *(Aphis cracivora Koch.)*	0.1	15

გამოყენების რეკომენდაციები:

- რეკომენდებული ნორმებით გამოყენების შემთხვევაში ფიტოტოქსიკურობა გამორიცხულია;
- პრეპარატი ინახება მშრალ, ბნელ ოთახში -10℃-დან +35℃-მდე ტემპერატურაზე;
- შესხურება ტარდება დილით, ან საღამოს საათებში, მშვიდ ამინდში, რაც ხელს უშლის წამლის მეზობელ კულტურებზე გადატანას;
- შესხურების შემდეგ კარგად გაწმინდეთ აპარატურა;
- სამუშაოს ჩასატარებლად გამოიყენეთ შესაბამისი აღჭურვილობა;
- რეკომენდაციის ზუსტი დაცვა და დოზების სწორი გამოყენება ფიტოტოქსიკურობას გამორიცხავს;



PARIJAT

მედალ გოლდი

141 გ/ლ

C8H10ClN5O3S

მედალ გოლდი



მოქმედი ნივთიერება:
თიამეთოქსამი 141 გ/ლ + ლამბდა ციჰალოტრინი 106 გ/ლ

პრეპარატული ფორმა: სუსპენზია კონცენტრატი

შეფუთვა: 1ლ

მწარმოებელი: Parijat Industries, ინდოეთი

მედალ გოლდი ნეიროტოქსიური ინსექტიციდია, რომელშიც კომბინირებულია პირეტროიდის (ლამბდა-ციჰალოტრინი) და ნეონიკოტინოიდურის (თიამეთოქსამი) ინსექტიციდური მახასიათებლები, რაც მავნებლების სწრაფ განადგურებას განაპირობებს.

პრეპარატის მოქმედების მექანიზმი:

მედალ გოლდი მოიცავს ორ აქტიურ ნივთიერებას (თიამეთოქსამი 141 გ/ლ +ლამბდა ციფალოტრინი 106 გ/ლ). სხვადასხვა ქიმიური კლასის ნივთიერებები სრულად ავსებენ ერთმანეთს, რაც უზრუნველყოფს მაქსიმალურ და რაც მთავარია ხანგრძლივ დაცვას. თიამეთოქსამი მიეკუთვნება ნეონიკოტინოიდების კლასს და აფერხებს ფერმენტის აქტივობას, ბლოკავს ნერვული იმპულსების გადაცემას და მავნებლები გადამეტებული ნერვული აგზნებისგან იღუპებიან. მწერების შემადგენლობის მეორე კომპონენტი - ლამბდა-ციჰალოტრინი, იწვევს იონურ დარღვევას და მწერების ნერვულ უჯრედებში დიდი რაოდენობით აცეტილქოლინის გამოყოფას. ლამბდა-ციჰალოტრინი იწვევს მავნებლების დამბლას და სიკვდილს. თიამეთოქსამის და ლამბდა-ციჰალოტრინის ერთობლივი მოქმედება უზრუნველყოფს მაღალ ეფექტურობას და სწრაფ ინსექტიციდურ მოქმედებას. თიამეთოქსამი მოქმედებს აგრეთვე იმ მავნებლებზე, რომლებიც მცენარეზე ფარულად ბინადრობენ.

პრეპარატის გამოყენების უპირატესობები:

- ზემოქმედების მაღალი სიჩქარე;
- პრეპარატი აღწევს მცენარის შიგნით და უზრუნველყოფს ხანგრძლივ დამცავ მოქმედებას 3 კვირის განმავლობაში.
- არ ახასიათებს ფიტოტოქსიკურობა;
- რეკომენდებული სქემით მისი გამოყენება არ იწვევს მავნებლების რეზისტენტობას;

- პრეპარატი ეკონომიური ხარჯვის ნორმით და მაღალი ეფექტურობით გამოირჩევა;
- აქვს ხანგრძლივი დაცვითი მოქმედება არახელსაყრელ გარემო პირობებშიც კი;
- ხელს უშლის მავნებლის ხელახალ გამრავლებას;
- თავსებადია უმეტეს ინსექტიციდებთან, აკარიციდებთან და ფუნგიციდებთან;
- მწერები წყვეტენ კვებას დამუშავებიდან 10-20 წუთში, ხოლო სრული განადგურება ხდება 2-4 საათის შემდეგ;

პრეპარატის გამოყენების რეკომენდაციები:

- შესხურებისას მცენარის დაფარვის ხარისხი პრეპარატის ეფექტური მოქმედების მთავარი პირობაა;
- გამოყენების ოპტიმალური ტემპერატურაა +8℃ -დან +25 ℃-მდე;
- არ გამოიყენოთ მაშინ, როდესაც მწერი არის სტრესულ მდგომარეობაში;
- მინდვრის კულტურებზე ბუგრების წინააღმდეგ მაღალი ეფექტურობის მისაღწევად, აუცილებელია მცენარეების ადრეული დამუშავება (მავნებლის გამოჩენამდე), ამიტომ პრეპარატი უნდა გამოიყენოთ ბუგრების გამოჩენამდე 5–7 დღით ადრე;
- მაღალი ეფექტის მისაღებად, პრეპარატი ყველა რეკომენდაციის დაცვით უნდა გამოიყენოთ;



კულტურა	მავნებელი	ხარჯვის ნორმა ლ/ჰა	ლოდინის პერიოდი (გამოყენების ჯერადობა)
ხორბალი, ქერი	ბაღლინჯოები-მდელოს ბაღლინჯო (Lugus pratensis),მავნე კუსებურა(-Eurygaster integriceps),ჭიჭინობელები (Oulema melapus),ბუგრები - მარცვლოვანთა ჩვეულებრივი ბუგრი (Schzaphis gramina),ბუზები - მწვანე თვალა ბუზი (Chlorops pumilionis),ჰესენის ბუზი (Mayetiola destructor), მეროზიზა (Meromyza saltatrix), თრიფსები-ხორბლის თრიფსი (Haplothrips tritici), რწყილები (Chaetocnema hortensis, Chaetocnema ordula,Phyllotreta vittula), პურის ბზუალაბზუალა (Zabrus tenebriodes elongates Men.)	0.3-0.35	40(1)
შვრია	პურის ხოჭოები-პურის დიდი ხოჭო (Anisoplia austrica), პურის ბზუალაბზუალა (Zabrus tenebriodes elongates Men.)	0.2-0.25	40(1)
სიმინდი	ბუგრები-სიმინდის ბეწვიანი ბუგრი(Rungsia maydis), სიმინდის ფარვანა (Pyrausta nubilalis Hb),აზიური ფაროსანა (Brown Marmorated Stink Bug), ამერიკული თეთრი პეპელა (Hyphantria cunea)	0, 16-0.2	40(1)
კარტოფილი	კოლორადოს ხოჭო (Leptinotarsa decemlineata Say), კარტოფილის ჩრჩილი (Phthrimaea operculella Zell.)	0.15-0.35	20(2)
პამიდორი	კოლორადოს ხოჭო (Leptinotarsa decemlineata Say), ბამბის ხვატარი (Choridea obsoleta F.), ბუგრები	0.15-0.2	14(1)
პამიდორი (დახ. გრუნტი)	სათბურის ფრთათეთრა(Trialeurodes vaporariorum Westw.), ბუგრები	0.15-0.2	3(1)
კიტრი (დახურული გრუნტი)	ბუგრები, თრიფსები(Frankliniella schultzei), ბაღლინჯოები (Adelphocoris lineolatus)	0.1-0.15	3(1)
კიტრი	სათბურის ფრთათეთრა(Trialeurodes vaporariorum Westw.), ბუგრები	0.22-0.25	10(1)
ვაზი	ფოთლიხვევიები (Sparganothis pilleriana Schiff.), ტკიპები, ყურძნის ჭია (Lobesia botrana Sch.)	0.25-0.3	10(2)
თესლოვნები (ვაშლი, მსხალი)	ვაშლის კოკრიჭამია ცხვირგრძელა (Anthonomus pomorum L.), ნაყოფჭამა (Carpocapsa pomonellaL), ფოთლიხვევიები (Tortrix politiana Hw.), ვაშლის ფსილა (Psylla mali Schidig.),	0.25-0.3	60(1) 20(2)
კურკოვნები (ატამი)	ბუგრები აღმოსავლური ნაყოფჭამია (Grafolita molesta Busck.),ატმის დიდი ბუგრი (Pterochlorides persicae Holodk.), ბურტყლა ბუგრი (Eriosoma lanigerumHausm.)	0.25-0.3	60(1) 20(2)
პარკოსნები (სოია, ბარდა, ლობიო)	ბუგრები, აბლაბუდა ტკიპა, თრიფსები (Frankliniella schultzei), მემარცვლიები ცხვირგრძელები	0.1-0.2	10(1)
კომბოსტო	ხვატარი, თეთრულა (Pieris brasicaeL.), ჩრჩილი, რწყილები	0.1-0.2	10(1)
ციტრუსები	ბუგრები, ფარიანები, ცრუფარიანები	0.25-0.5	60(1) 20(2)
თხილი, კაკალი	(Brown Marmorated Stink Bug), ამერიკული თეთრი პეპელა (Hyphantria cunea)	0.25-0.4	60(1) 20(2)



Sopho Kharazishvili

მილლონა

100 გ/ლ
C22H19Cl2NO3

მილლონა



მოქმედი ნივთიერება:
მეტალდეჰიდი 60გ/კგ

პრეპარატული ფორმა: მისატყუარი პილეტები

შეფუთვა: 1კგ

მწარმოებელი: Lerida union quimica, ესპანეთი

მილლონა ინსექტიციდ-მოლუსკოციდია, რომელიც გამოიყენება ისეთი კულტურებისთვის როგორიცაა: ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურები, კიტრი, პომიდორი (დახურულ გრუნტში), ტყის ჯიშები, ციტრუსები, კენკროვნები, ვაზი და თამბაქო, დეკორატიული მცენარეები, საჩითილე და სანერგეები.

პრეპარატის მოქმედების მექანიზმი:

მილლონა ეფექტურად უმკლავდება ლოფორთქინებს და ლოკოკინებს. გამოყენებისას პრეპარატის მოქმედება შეუფერხებლად მიმდინარეობს, როდესაც ის იფანტება ნიადაგის ზედაპირზე, რიგთაშორის და ბილიკებზე.

პრეპარატის გამოყენების უპირატესობები:

- პრეპარატს ახასიათებს მაღალეფექტური მოლუსკოციდური მოქმედება;
- შესაძლებელია გამოიყენოთ ხეხილის ნარგავებში, სათბურებში,
- ერთწლოვანი და მრავალწლოვანი კულტურების ნაკვეთებში;
- არ ახასიათებს ფიტოტოქსიკურობა;

პრეპარატის გამოყენების რეკომენდაციები:

- მილლონას გამოყენება რეკომენდებულია მავნებლის გამოჩენისას, ლოკოკინების გამოჩენის პერიოდში;
- პრეპარატის ტრანსპორტირებისას იხელმძღვანელეთ პესტიციდების ტრანსპორტირების ჩვეულებრივი წესით;
- პრეპარატი შეინახეთ ბავშვებისთვის მიუწვდომელ, გრილ, მშრალ, კარგად განიავებად ადგილას;



კულტურა	მავნებელი	გამოყენების ხერხი,დრო, თავისებურება	პრეპარატის ხარჯვის ნორმა	ლოდინის პერიოდი გამოყენების ჯერადობა	დამუშავებულ ფართობზე ხელით სამუშაოების დაწყების დრო
ბოსტნეულ-ბაღჩეული, კიტრი-პომიდორი დაცულ გრუნტში, ხეხილი, ტყის ჯიშები,ციტუსები, კენკროვნები, ვაზი, თამბაქო, დეკორატიული მცენარეები, საჩითილე და სანერგეები.	ლოფორთქინები და ლოკოკინები	გაფანტვა ნიადაგის ზედაპირზე, რიგთაშორის და ბილიკებზე, მავნებლის გამოჩენისას. ლოკოკინების გამოჩენის პერიოდში.	1,5კგ/1000მ2	20(1)	10(4)

98%
CnH2n+2

ოლეულუქი



მოქმედი ნივთიერება:
პარაფინის მინერალური ზეთი 98% w/w
(წ/წ) 83% წ./მოც

პრეპარატული ფორმა: ემულსია კონცენტრატი

შეფუთვა: 25ლ

მწარმოებელი: "LUQSA„ ესპანეთი

ოლეულუქი უნიკალური სისტემური მოქმედების ინსექტიციდია, რომელიც სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებელთა მოზამთრე სტადიების წინააღმდეგ საბრძველად გამოიყენება.

ოლეულუქი მოზამთრე მავნებელებლებთან საბრძოლველად აქტიურად გამოიყენება. ზეთი ქმნის დამცავ ბარიერს, რომელიც ხელს უშლის მცენარის გარკვეული დაავადებების გავრცელებას, ან სპორების განვითარებას. პრეპარატის წყალხსნარის შესხურებისას გასანადგურებელი მავნებლების მოზამთრე სტადიები იფარებიან მინერალური ზეთის თხელი აპკით, რაც იწვევს მავნებლის და მისი კვერცხების სასუნთქი გზების გადაკეტვას და სუნთქვის შეჩერებას.

უპირატესობები

- უნიკალური მოქმედი ნივთიერება ფარავს და ხელს უშლის მავნებლების განვითარებას ნებისმიერ სტადიაზე;
- პარაფინის ზეთი ქმნის დამცავ ბარიერს, რომელიც ხელს უშლის მცენარის გარკვეული დაავადებების გავრცელებას ან სპორების განვითარებას;
- პრეპარატს ახასიათებს მოქმედების ფართო სფექტრი;
- ხარჯვის ნორმების დაცვის შემთხვევაში პრეპარატი არ იწვევს რეზისტენტობას (შეჩვევას);
- პარფინის ზეთი ასევე გამოიყენება აქტიური ინგრედიენტების დასაშლელად და ინსექტიციდების, ფუნგიციდების, ჰერბიციდების მოსამზადებლად;
- ოლეულუქის უნიკალური მოქმედი ნივთიერება იძლევა მნიშვნელოვან სინერგიულ ეფექტს შხამქიმიკატების მიმართ დამოკიდებულების შესაზღუდად;
- პრეპარატი არ არის ფიტოტოქსიკური;

რეკომენდაციები

- ოლეულუქის მოქმედების მექანიზმიდან გამომდინარე, მავნებელთან ბრძოლაში საუკეთესო ეფექტის მისაღწევად, მცენარის ზედაპირზე პრეპარატი უნდა გადანაწილდეს თანაბრად და სრულად. წამლობა ტარდება ადრე გაზაფხულზე კვირტების დაბერვამდე.

ატმის ბუგრი
(Myzus persicae)



კალიფორნიის ფარიანა
(Quadraspidiotus perniciosus)



ჩრჩილი
(Hyponomeuta malinellus))



კულტურა	მავნებელი	ხარჯვის ნორმა ლ/ჰა	ჯერადობა	ლოდინის პერიოდი (დღე)
ვაშლი, მსხალი, ატამი	მავნებლების მოზამთრე ფაზები	შესხურება კვირტების გახსნამდე 1.5-2% ხსნარით	1	25-30
ალუბალი, ბალი				25-30
ვაზი				10-15
ციტრუსები				30-35
კაკალი, თხილი, ნუში				25-30
დეკორატიული მცენარეები				15

დამატებითი ინფორმაცია:

პრეპარატის წყალხსნარის შესხურებისას გასანადგურებელი მავნებლების მოზამთრე სტადიები იფარებიან მინერალური ზეთის თხელი აპკით, რაც იწვევს მავნებლის და მისი კვერცხების სასუნთქი გზების გადაკეტვას და სუნთქვის შეჩერებას.

ოლეულუქის ტოქსიკური ეფექტი გამომდინარეობს მავნებლებისთვის ყველა სტადიაზე (კვერცხიდან იმიგომდე) ჰაერცვლისა და წყლის ბალანსის მოშლით. ზეთი კარგად ეკვრის და ეწებება ზედაპირზს, ახშობს სასუნთქ მილებს, ტრახეებს, რაც იწვევს ტრანსპირაციის და ჰაერცვლის მოშლას და ასფიქსიას (მოგუდვას).

50 გ/ლ

$C_{22}H_{19}Cl_2NO_3$

საჰები



მოქმედი ნივთიერება:
ციპერმეტრინი 50 გ/ლ + ქლორპირიფოსი 500გ/ლ

პრეპარატული ფორმა: ემულსია კონცენტრატი

შეფუთვა: 1ლ

მწარმოებელი: Agro Life Science Corporation, ინდოეთი

საჰების ორმაგი პრეპარატული ფორმა (ციპერმეტრინი + ქლორპირიფოსი) წარმატებით გამოიყენება საკარანტინო მავნებლების, ამერიკული თეთრი პეპელას წინააღმდეგ. იგი ბაღის ლოფორთქინების (ლოკოკინების) და მინდვრის კალიების მტერია. საჰებით დამზადებული მისატყუებელი მასალა ანადგურებს მახრას, ანუ ბოსტანას.

მოქმედების მექანიზმი:

ქლორპირიფოსი თრგუნავს მწერებში აცეტილქოლინ ესთერაზასა და ქოლინ-ესთერაზას აქტივობას, რაც იწვევს მავნებლის ნერვული სისტემის დამბლას, შემდეგ კი სიკვდილს. ციპერმეტრინი მოქმედებს ნერვულ სისტემაზე, იწვევს მის უკიდურეს აღგზნებას, რის შედეგადაც მავნებელი იღუპება. პრეპარატს შეუძლია ზრდასრულ მავნებლებში კვერცხის დადებისა და ლარვების კვების პროცესი დაბლოკვა.

პრეპარატს აქვს კონტაქტური ეფექტი უშუალო კავშირისას ინსექტიციდთან და ნაწლავური ეფექტი, თუ მავნებელი შეწამლული მცენარით იკვებება.

პრეპარატის გამოყენების უპირატესობები:

- ორმაგი პრეპარატული ფორმა;
- მაღალი საწყისი ეფექტურობა და ხანგრძლივი დაცვა;
- არ იჭრება ფოთლებისა და ნაყოფის ქსოვილებში;
- აქვს მოქმედების ფართო სპექტრი და გამოყენების დიდი დიაპაზონი;
- ეფექტურია დაბალ და მაღალ ტემპერატურაზე;
- კულტურებისათვის არ არის ფიტოტოქსიკური;
- მცენარის მიერ მალე ხდება პრეპარატის შეწოვა;
- ეფექტურად ანადგურებს მავნებლების რეზისტენტულ ფორმებს; მოქმედებს მწერების სხვადასხვა სტადიაზე (კვერცხები, ლარვები, ზრდასრული მავნებლები);
- აღსანიშნავია მისი ეფექტურობა პურის ბზუალას, ამერიკული პეპელას, ფაროსანას და კალიების წინააღმდეგ.
- ეფექტურია მახრას, იგივე ბოსტანას წინააღმდეგ, მისატყუებლის დამზადების დროს;

პრეპარატის გამოყენების რეკომენდაციები:

- შესხურებისას ნათესების სამუშაო ხსნარით ერთგვაროვანი და სრული დაფარვა სავალდებულოა;
- პრეპარატის შერევა შეიძლება ფუნგიციდებთან და ჰერბიციდებთან, გარდა ისეთი შემცველობის წამლებისა, რომლებსაც აქვთ ტუტე და სპილენძის შემადგენლობა;
- პრეპარატთან მუშაობისას საჭიროა უსაფრთხოების ნორმების დაცვა;
- არ შეასხუროთ ყვავილობის ფაზაში (გამოყენება ყვავილობამდე შეზღუდული არ არის, რადგან პრეპარატი არ აღწევს ყვავილების ნექტარსა და მტვერში);
- მიზანშეწონილია დამუშავების დაწყება მაშინ, როდესაც მავნებლების რაოდენობა გადააჭარბებს მავნებლობის ეკონომიკურ ზღვარს;
- აუცილებელია შეწამვლის პროცესში გეცვათ შესაბამისი აღჭურვილობა;
- სამუშაო ხსნარის მოცულობა უნდა იყოს საკმარისი იმისათვის, რომ კარგად და მთლიანად დაიფაროს კულტურის (მთელი) ფოთლის ზედაპირი;



კულტურა /Культура	მავნებლები/Вредители	ხარჯვის ნორმა ლ/ჰა/ Норма расхода л/г
ვაშლი,ატამი /яблоня персик	ნაყოფჭამიები, ბუგრები, ტკიპები, ფოთლისხვევიები, ჩრჩილები/плодожорка, тля, клещи, листовертка,моль	1-1,5
ხორბალი /пшеница	ჭია-წურბელა (Lema melanopus L.), პურის ბზუალა (Zabrus tenebrıodes elongates Men.) /червь пиавка, хлебная жужелица	0,75-1
ქერი /ячмень	მავნე კუსებურა (Eurygaster integriceps Put.), პურის ხოჭო (Anisoplia austriaca major Rett.) /вредная черепашка, проволочник, медведка	0,5-0,75
კარტოფილი /картофель	კოლორადოს ხოჭო (Leptinotarsa decemlineata Say.), მავთულა ჭიები (კვალის შესხურება დარგვის დროს), მახრა (Gryllotalpa gryllotalpa) /колорадский жук, проволочник, медведка	1
ციტრუსი /цитрусы	ფარიანები, ცრუფარიანები, მენაღმე ჩრჩილი ჩხირისებრი/ щитовки,ложнощитовки/ моль-минер	2,2-2,6
კომბოსტო /капуста	თეთრულა, ცხვირგრძელა, ჩრჩილი/ белокрилка,долгоносик, моль	0,8-1,5
შაქრის ჭარხალი /сахарная свекла	ცხვირგრძელა, რწყილები/Долгоносик, блохи	0,8-1,5
არასასოფლო-სამეურნეო სავარგულები/ не сельскохозяственные паздбища	კალიები , კუტკალიები/Саранча, кузнечик	0,4
ხახვი/лук	ხახვის ბუზი, ხახვის ჩრჩილი/Червь луковичный, луковичной мухи, моль	0,75-1



200 გრ/კგ
$C_{10}H_{11}ClN_4$

სტარ 20



მოქმედი ნივთიერება:
აცეტამიპრიდი 200 გრ/კგ

პრეპარატული ფორმა: სველებადი ფხვნილი

შეფუთვა: 0.1 კგ

მწარმოებელი: Agro Life Science Corporation
ინდოეთი

ახალი თაობის სისტემური მოქმედების, ნეონიკოტინოიდური ჯგუფის, ინსექტიციდს, სტარ 20-ს, სხვა ინსექტიციდებისაგან განსხვავებით, მოქმედების უნიკალური მექანიზმი გააჩნია. გამოიყენება მავნებლების ფართო სპექტრის წინააღმდეგ. პრეპარატი არღვევს ნერვული იმპულსის გადაცემას და იწვევს აღგზნებას, რისგანაც მავნებელი მალევე იღუპება.

მოქმედების მექანიზმი:

პრეპარატს გააჩნია სისტემურ-კონტაქტური მოქმედების თვისება, იგი კარგად გადაადგილდება მცენარეში. მოქმედების ახალი მექანიზმის გამო შეგუების (რეზისტენტობის) შემთხვევა არ დაფიქსირებულა. სტარ 20-ს გააჩნია კარგი თერმოსტაბილურობა და დაცვითი პერიოდი 14-21 დღე. დაბალტოქსიკურია თბილსისხლიანების მიმართ. ხასიათდება კარგი სისტემური და ტრანსლამინარული მოქმედებით, რის გამოც ის შეიწოვება მცენარის მიერ და ვრცელდება მის ყველა ნაწილზე, ამიტომ პრეპარატის გამოყენების ეფექტი ვლინდება მცენარეების დაუმუშავებელ ადგილებზეც. მწერების სახეობიდან გამომდინარე, პრეპარატს აქვს მაღალი ტოქსიკური მოქმედება მავნებლის განვითარების სხვადასხვა სტადიაზე: კვერცხებზე, ლარვებზე და ზრდასრულ მავნებლებზე;

პრეპარატის გამოყენების რეკომენდაციები:

- პრეპარატი თავსებადია ბევრ პესტიციდთან, გარდა ძლიერი ტუტეებისა;
- პრეპარატი მაღალტოქსიკურია ფუტკრების მიმართ (საჭიროა შესხურების წინ ფუტკრების იზოლაცია, დაახლოებით 2 დღით);
- მიზანშეწონილია დამუშავების დაწყება მაშინ, როდესაც მავნებლების რაოდენობა გადააჭარბებს ეკონომიკურ ზღვარს (რაოდენობიდან გამომდინარე);
- პრეპარატი უნდა გაანაწილოთ მცენარის ფოთლის ზედაპირზე თანაბრად, კარგად მორგებული აღჭურვილობით;
- სამუშაო ხსნარის მოცულობა უნდა იყოს საკმარისი იმისათვის, რომ მთლიანად დაფაროს კულტურის ფოთლის ზედაპირი;
- უნდა მოხდეს შეწამვლა დილის, ან საღამოს საათებში;
- თუ შეწამვლიდან მალევე მოვა ნალექი (წვიმა), უმჯობესია პროცესის ხელახალი განმეორება;

პრეპარატის გამოყენების უპირატესობები:

- იცავს მცენარეს მავნებელთა ფართო სპექტრისგან;
- გააჩნია ხარჯვის დაბალი ნორმა;
- აქვს მაღალი ეფექტურობა;
- სხვა პრეპარატებთან კომბინაციაში არ კარგავს ეფექტური მოქმედების უნარს;
- მავნებელი იღუპება პრეპარატთან უშუალო კონტაქტისას;
- მაღალ ტემპერატურაზე პრეპარატს გააჩნია მაღალი ბიოლოგიური ეფექტურობა;
- პრეპარატის მიღების შედეგი შესამჩნევია შესხურებიდან 1 საათის შემდეგ;

კულტურა	მავნებელი	ხარჯვის ნორმა ლ/პა	ლოდინის პერიოდი (გამოყ. ჯერადობა)
პომიდორი, კიტრი (ღია გრუნტი)	ბაღჩის ბუგრი *(Aphis gossypii Glow.)*, ბამბის ხვატარი *(Heliothis obsoleta)*, ფრთათეთრა *(Trialeurodes vaporariorum West)*	0.2 - 0.25	20(1)
პომიდორი, კიტრი (დახურული გრუნტი)	ბაღჩის ბუგრი *(Aphis gossypii Glow.)*, ბამბის ხვატარი *(Heliothis obsoleta)*, ფრთათეთრა *(Trialeurodes vaporariorum West)*	0.15-0.2	1 (1)
ხორბალი	ბაღლინჯო, მავნე კუსებურა *(Eurygaster integriceps Put.)*	0.05-0.075	28 (1)
	პურის ბზუალაბზუალა *(Zabrus tenebriodes elongates Men.)*	0.15-0.175	-1
კარტოფილი	კოლორადოს ხოჭო *(Leptinotarsa decemlineata Say.)*	0.025-0.03	28(1)
	კარტოფილის ჭიამაია *(Phthrimaea operculella Zell.)*	0.1-0.08	28(1)
საძოვრები, კალიებით დასახლებული მიწის ნაკვეთები, ველური მცენარეულობა	კალიები, კუტკალია აზიური ანუ გადამფრენი კალია *(Locusta migratoria L.)*, იტალიური კალია ანუ პრუსი *(Calliptanusitalicus L.)*, ამიერკავკასიის იტალიური კალია *(Caliptanus tenuicercis T.rb.)*, უდაბნოს იტალიური კალია*(Calliptanus barbarous cephalotes F.W.)*, მაროკოული კალია *(Dociostraurus marcoc-canusThnb.)*, ეგვიპტური კალია *(Anacridium aegyp-tium L.)*	0.06-0.08	28(1)

PARIJAT

400 გ/ლ

C9H11Cl3NO3PS

ტენჩანტ პლიუსი



მოქმედი ნივთიერება:
ქლორპირიფოსი 400 გ/ლ + ბიფეტრინი 20 გ/ლ

პრეპარატული ფორმა: ემულსია კონცენტრატი

შეფუთვა: 1 ლ

მწარმოებელი: Parijat Industries, ინდოეთი

ტენჩანტ პლიუსი ფართო სპექტრის ინსექტოაკარიციდია, რომელიც აკონტროლებს მწერების და ტკიპების ფართო სპექტრს ქლორპირიფოსის, ორგანოფოსფატის და ბიფენტრინის ორმაგი სინერგიული მოქმედებით.

პრეპარატის მოქმედების მექანიზმი:

ინსექტიციდი შექმნილია დიდი რაოდენობით მღრღნელებისა და მწუწნი მავნებლებისგან მინდვრის კულტურების დასაცავად. ქლორპირიფოსის აქტიური კომპონენტი არის ფოსფორორგანული ნაერთი, რომელიც ხასიათდება კონტაქტური მოქმედებით და წარმოადგენს მავნე მწერებში ქოლინესტერაზას სინთეზის ინჰიბიტორს. მოქმედებს მავნებლების ნერვულ სისტემაზე, იწვევს დამბლას და შემდგომ სიკვდილს. პირეტროიდული ინსექტოაკარიციდი ბიფენტრინი უზრუნველყოფს სრულ კონტროლს მავნებლებთან უშუალო კონტაქტისას. შესხურების პროცედურის შემდეგ მავნებელთა მოქმედება პარალიზებულია.

პრეპარატის გამოყენების უპირატესობები:

- აკონტროლებს მავნებლების ფართო სპექტრს (მათ შორის ფარულ მავნებლებს);
- აქვს ორმაგი პრეპარატული ფორმა;
- მაღალი საწყისი ეფექტურობა და ხანგრძლივი დაცვა;
- მოქმედების და გამოყენების ფართო სპექტრი;
- არა არის ფიტოტოქსიკური კულტურისათვის;
- ხასიათდება მოქმედების მრავალმხრივი მექანიზმით (კონტაქტური, ნაწლავური);
- მოქმედების ფართო სპექტრი, ძლიერი ინსექტიციდური და აკარიციდული მოქმედება;
- შეუცვლელი პრეპარატია სხვადასხვა კულტურის ანტირეზისტენტული დაცვის კომპლექსებში;

ვაზის ბალიშა ცრუფარიანა
(Pulvinaria Vitis L)



ჭიაწურბელა
(Lema melanopus L)



ბაღლინჯო
(Helopeltis)



პურის ხოჭო
(Anisoplia austriaca majorRett.)



პრეპარატის გამოყენების რეკომენდაციები:

- თავსებადია ბევრ პესტიციდთან, გარდა სპილენძის შემცველი პრეპარატებისა;
- შეინახეთ პრეპარატი მხოლოდ გაუხსნელ (ორიგინალ შეფუთვაში) °C-დან +35-მდე °C ტემპერატურაზე, პესტიციდების შესანახად განკუთვნილ, მშრალ, გრილ, კარგად ვენტილირებად ადგილას;
- თავსებადია ბევრ პესტიციდთან, გარდა ძლიერი ტუტე რეაქციის პრეპარატებისა (გამოყენებამდე ნარევი უნდა შემოწმდეს თავსებადობაზე);
- არ გამოიყენოთ ყინვების პერიოდში;
- პრეპარატის ეფექტური მოქმედების ქვედა ტემპერატურული ბარიერი უნდა იყოს +8 °C, ხოლო ზედა მოქმედების ტემპერატურული ბარიერი +25 °C;
- საჭიროა 2 – 3-ჯერ შეწამვლა, 7 – 14 დღიანი ინტერვალით (დამოკიდებულია მავნებელთა გავრცელების სიხშირეზე);
- პრეპარატი გამოიყენება ვეგეტაციის პერიოდში, შესხურების გზით;

კულტურა	მავნებელი	ხარჯვის ნორმა მლ/ჰა
ხორბალი	ჭიაწურბელა *(Lema melanopus L)*, პურის ბზუალა *(Zabrus tenebriodes elongates Men.)*	0.8-0.1
ქერი	მავნე კუსებურა *(Eurygaster integriceps Put.)*, პურის ხოჭო *(Anisoplia austriaca majorRett.)*.	1
ვაშლი, ატამი	ნაყოფჭამიები, ვაშლის ნაყოფჭამია *(Carpocapsa pomonella L)*, ბუგრები, ვაშლის ბუგრი *(Aphis pomi Deg.)*,ტკიპები, ხეხილის ბრტყელტანა ტკიპა *(Cenopalpus pulcherCan. Et Fanz.)*, ხეხილის წითელი ტკიპა *(Panonycus ulmi Koch.)*, კუნელის ტკიპა *(Tetranycus vienensis Zacher.)*, ქლიავის აბლაბუდიანი ტკიპა *(Schizotetranychus pruni Oud.)*, ხეხილის მურა ტკიპა *(Bryobia redicorzevi Reck.)*, ფოთოლხვევიები, მრავალჭამიაფოთლიხვევია *(Tortrix politiana Hw.)*, ჩრჩილები, ვაშლის ჩრჩილი *(Hyponomentra malinellus Zell.)*, ვაშლის მენაღმე ჩრჩილი *(Lyonetia clerckella L.)*, ატმის დიდი ბუგრი *(Pterochlorides persicae Holodk)*.	1-2
გარგარი, ქლიავი	ნაყოფჭამიები, ბუგრები, ტკიპები, ფოთლიხვევიები, ჩრჩილები	0.7
ვაზი	ფარიანები, ცრუფარიანები, ვაზის ფქვილისებრი ცრუფარიანა *(Planococus citri Risso.)*, ვაზის ბალიშა ცრუფარიანა *(Pulvinaria Vitis L)*, იმერული ბალიშა ცრუფარიანა *(Neopulvinaria imerertina Hud.)*, ფოთლიხვევიები, ვაზის ფოთოლხვევია *(Sparganothis pillerianaSchiff.)*, ყურძნის ჭია *(Lobesia botrana Sch.)*.	0.8-1
კარტოფილი	კოლორადოს ხოჭო *(Leptinotarsa decemlineata Say.)*, მავთულა ჭია, მახრა *(Gryllotalpa gryllotalp)*.	0.4-0.5

ბოსტნეული, კიტრი, პომიდორი, გოგრა, ბადრიჯანი (სასათბურე)	კოლოფის ჭია *(Heliothis obsoleta)*, ტკიპები, ტერმიტის და მწერების ბაღლინჯო *(Helopeltis)*.	0.6
ციტრუსი	ტკიპები, ვერცხლისფერი ტკიპა (Phylocoptruta oleivorus Ashm.), ნარინჯოვანთა ტკიპა (Brevipalpus lewisi M.), ტკიპა ბრევიპალპუსი (Brevipalpus obovatus Domn.) ფარიანები, მიხაკისფერი ფარიანა (Chrysompalus dictyospermi Morg.), ნარინჯოვანთა ყვითელი ფარიანა (Aoniniella citrina Coq.), იაპონური ჩხირისებრი ფარიანა (Lopholeucaspis japonica Ckl.), ნარინჯოვანთა მძიმისებრი ფარიანა (Lepidosphes beckii Newman), ნარინჯოვანთა ჩხირისებრი ფარიანა (Lepidosphes gloveri Pack.), ცრუფარიანები, ციტრუსოვანთა ღინღლიანი ბალიშა ცრუფარიანა (Chloropulvinaria aurantii Ckll), ავსტრალიური ღარებიანი ცრუფარიანა (Iceria purchasi Mask), ციტრუსოვანთა ფქვილისებრი ცრუფარიანა (Pseudococcus gahani Green), რბილი ცრუფარინა (Coccus hesperidum L.), ციტრუსოვანთა ცვილისებრი ცრუფარიანა (Cero¬plastes sinrnsis G.), ბუგრები, ნარინჯოვანთა ბუგრი (Toxoptera aurantii Boyer de Fons.)	1.25
სიმინდი	სიმინდის ფარვანა (Pyrausta nubilalis Hb), ბამბის ხვატარი (Choridea obsoleta F.), აზიური ფაროსანა (Halyomorpha halys)	0.6-0.8

სათესლე მასალის დამუშავება

კულტურა	გასანადგურებელი ობიექტი	გამოყენების ნორმა (ლ/1 ტონა თესლზე)	მეთოდი, გამოყენების პერიოდი
საშემოდგომო ხორბალი, ქერი, შვრია, ჭვავი	**ბუგრები (Aphis), რწყილები (philot reta atra f, Ph. Undulate kutch., Ph.nigripes), ჭიჭინობლები (Oulema melapus), პურის ბზუალა (Zabrus tenebriodes elongates Men), მწუწნი და მღრღნელი მწერები**	**1**	**სათესლე მასალის შეწამლვა**

480 გ/ლ

C10H9ClN4S

ულტრატოქსი



მოქმედი ნივთიერება:
თიაკლოპრიდი 480 გ/ლ

პრეპარატული ფორმა: სუსპენზია კონცენტრატი

შეფუთვა: 1ლ

მწარმოებელი: Parijat Industries, ინდოეთი

ულტრატოქსი ახალი თაობის მაღალეფექტური სისტემური მოქმედების, ნეონიკოტინოიდური ჯგუფის ინსექტიციდია, რომელიც გამოიყენება მავნებელთა ფართო სპექტრის წინააღმდეგ. ულტრატოქსი თავსებადია სხვა ფუნგიციდებთან და ინსექტიციდებთან. რეზისტენტობა (შეგუება) არ დაფიქსირებულა. უვნებელია სხვადასხვა კულტურისთვის.

მოქმედების მექანიზმი:

პრეპარატი ადვილად შეიწოვება ფოთლების გზით და ნაწილდება მთლიან მცენარეზე. იგი ეფექტურად აკონტროლებს ფარულად მცხოვრებ, როგორც მწუწნ, ასევე მღრღნელ მავნებლებს. თიაკლოპრიდის მოქმედება ეფუძნება ნერვული იმპულსის გადაცემის დარღვევას, რაც ნიკოტინ-აცეტილქოლინის რეცეპტორებთან შეკავშირების შედეგია, საბოლოოდ მათ უვითარდებათ დამბლა და კრუნჩხვები, რაც იწვევს მავნებლის განადგურებას. წამლის უნიკალური თვისებების გამო, იგი ძლიერ მდგრადია წვიმისა და მზის გამოსხივებით ჩამორეცხვის მიმართ, რჩება მცენარის ფოთლის ზედაპირზე დიდი ხნის განმავლობაში, აღწევს მცენარეში და უზრუნველყოფს მავნებლების ხანგრძლივ კონტროლს.

პრეპარატის გამოყენების უპირატესობები:

- დამცავი მოქმედების ხანგრძლივი გარანტირებული პერიოდი (30 დღემდე);
- იდეალური საშუალებაა ყვავილის ხოჭოებისგან, ფოთლის ჭიებისგან და სხვა ყველაზე საშიში მავნებლებისგან დასაცავად;
- პირველი მკურნალობისთანავე მაღალეფექტურია;
- აქვს მოკლე ლოდინის პერიოდი - 10 დღე;
- მას აქვს მაღალი საწყისი ტოქსიკურობა. მავნე მწერების სიკვდილი ხდება გამოყენებიდან პირველივე საათებში;
- უვნებელია კულტურებისთვის;
- რეზისტენტობა (შეგუება) არ დაფიქსირებულა;

- ულტრატოქსი თავსებადია სხვა ფუნგიციდებთან და ინსექტიციდებთან;
- აქვს გამოყენების ფართო დიაპაზონი;
- პრეპარატი თანაბრად ფარავს მცენარეს და კარგად ნარჩუნდება. ასევე, სწრაფად აღწევს მცენარეში და ვრცელდება ფოთლის მთელ დიაპაზონზე;
- ეფექტურია დაბალი დოზების გამოყენების დროსაც;
- არ აზიანებს სასარგებლო მწერებს და უვნებელია გარემოსთვის;

კულტურა	მავნებელი	ხარჯვის ნორმა ლ/ჰა	ლოდინის პერიოდი დღე
ვაზი	ყურძნის ჭია *(Lobesia botrana Sch.)*	0.2	20(2)
ვაშლი, მსხალი	ნაყოფჭამია, ვაშლის ნაყოფჭამია *(Carpocapsa pomonella L.)*, ყვავილჭამია,ვაშლის ყვავილჭამია *(Scolytus mali)*	0.2-0.3	30(2)
ატამი	ბუგრები, ნაყოფჭამიები	0.2-0.3	30(2)
კარტოფილი	კოლორადოს ხოჭო *(Leptinotarsa decemlineata Say.)*	0.08-0.1	20(2)
კიტრი	ბუგრები, ბაღჩის ბუგრი *(Aphis gossipi Glov.)*	0.06	20(1)
კომბოსტო	ბუგრები *(Aphis gossypii Glow.)*	0.06	20(1)
ციტრუსი	ცრუფარიანები, ციტრუსოვანთა ღინღლიანი ბალიშა ცრუფარიანა *(Chloropulvinariaaurantii Ckll.)*, ავსტრალიური ღარებიანი ცრუფარიანა *(Iceria purchasi Mask.)*, ციტრუსოვანთა ფქვილისებრი ცრუფარიანა *(Pseudococcus gahani Green.)*,რბილი ცრუფარინა *(Coccus hesperidumL.)*, ციტრუსოვანთა ცვილისებრი ცრუფარიანა *(Ceroplastes sinrnsis G)*, მიხაკისფერი ფარიანა *(Chrysompalus dictyospermi Morg.)*,ნარინჯოვანთა ყვითელი ფარიანა *(Aoniniellacitrina Coq.)*, იაპონური ჩხირისებრი ფარიანა *(Lopholeucaspis japonica Ckll.)*, ნარინჯოვანთა მძიმისებრი ფარიანა *(Lepidosphes beckiiNewman.)*, ნარინჯოვანთა ჩხირისებრი ფარიანა *(Lepidosphes gloveri Pack.)*, ბუგრები, ნარინჯოვანთა ბუგრი *(Toxoptera aurantii BoyerFons.)*, ციტრუსოვანთა ფრთათეთრა *(Dialeurodes citriRiley et How.)*	0.4-0.5	30(3)

პრეპარატის გამოყენების რეკომენდაციები:

კარტოფილისა და ბოსტნეული კულტურებისთვის შესხურება, უნდა ჩატარდეს ვეგეტაციის პერიოდში, როდესაც ჩნდება მავნებლისგან დაზიანების პირველი ნიშნები;

! აღსანიშნავია პრეპარატის ეფექტურობა კოლორადოს ხოჭოს და მსხლის ფსილის წინააღმდეგ.

700 გ/კგ

C9H10ClN5O2

ჰირო



მოქმედი ნივთიერება: იმიდაკლოპრიდი 700 გ/კგ

პრეპარატული ფორმა: წყალში ხსნადი გრანულები

შეფუთვა: 0.1 კგ

მწარმოებელი: Agro Life Science Corporation, ინდოეთი



იმიდაკლოპრიდი წარმოადგენს მაღალეფექტურ სისტემურ-კონტაქტური მოქმედების ინსექტიციდს, მავნებლების ფართო სპექტრის წინააღმდეგ. პრეპარატის გამოყენება მნიშვნელოვანია სათბურებში.

მოქმედების მექანიზმი:

პრეპარატს აქვს მკვეთრად გამოხატული კონტაქტური აქტივობა. მცენარეში აღწევს ფოთლების, ღეროსა და ფესვის მეშვეობით. პრეპარატი აქტიურად მოქმედებს მავნებლების ნერვულ სისტემაზე და ბლოკავს პოსტსინაფსური ნერვის რეცეპტორებს. ინსექტიციდი სწრაფად თრგუნავს სიგნალიზაციას მავნებლების ცენტრალური ნერვული სისტემის მეშვეობით, რის შედეგადაც ისინი ჯერ კარგავენ მოძრაობის უნარს, შემდეგ წყვეტენ კვებას და იღუპებიან (ერთი დღის განმავლობაში). მოქმედების ფუნდამენტურად ახალი მექანიზმის გამო, პრეპარატი გამოიყენება მავნებლების პოპულაციის წინააღმდეგ, რომელიც რეზისტენტულია ტრადიციული ინსექტიციდების მიმართ. მოქმედებს როგორც ზრდასრულ მწერებზე, ასევე სხვადასხვა ასაკის ლარვებზე. ერთჯერადი შესხურებით პრეპარატს შეუძლია ხანგრძლივად დაიცვას მცენარე მავნებლისაგან. დამცავი ეფექტი 20-25 დღის განმავლობაში ნარჩუნდება, რაც წამლობების რაოდენობის შემცირების საშუალებას იძლევა.

პრეპარატის გამოყენების უპირატესობები:

- აქვს ხანგრძლივი დაცვითი ეფექტი მავნებლების ფართო სპექტრის წინააღმდეგ;
- მაღალი ინსექტიციდური აქტივობა (მათ შორის ფოსფოროგრანული და პირეტროიდული ინსექტიციდების მიმართ);
- სისტემური მოქმედება (მოქმედებს ფარულად მყოფ მავნებლებზე);
- კონტაქტურ - ნაწლავური მოქმედებით, მავნებლების სწრაფი განადგურება;
- თავსებადია მინერალურ სასუქებთან და პესტიციდებთან;
- ადვილად არ ჩამოირეცხება მცენარიდან;
- მაღალეფექტურია გამოყენებიდან 1 საათში;
- პრეპარატის ნორმირებული გამოყენება გამორიცხავს მის ფიტოტოქსიკურობას;
- მავნებლების სწრაფი განადგურების უნარი (გამოხატული ნაწლავურ-კონტაქტური მოქმედების გამო);
- გამოიყენება თესვის წინასწარი დამუშავებისთვის;
- თავსებადია ზრდის სტიმულატორებთან, რომლებიც უზრუნველყოფენ ყველაზე ერთგვაროვან ყლორტებს და ასტიმულირებენ მეორადი ფესვების განვითარებას;
- ფესვთა სისტემის ძლიერი მოქმედებიდან გამომდინარე, საიმედოდ იცავს ახალგაზრდა ყლორტებს და
- ფოთლებს, რომლებიც დამუშავების შემდეგ იზრდება;
- პრეპარატი არ მოქმედებს გარემოზე უარყოფითად;

კოკრიჭამია
(Sitophilus granarius)



ყურძნის ჭია
(Lobesia botrana Schiff)



პურის ბზუალა
(Zabrus tenebrioides)



კოლორადოს ხოჭო
(Leptinotarsa decemlineata)



კულტურა	მავნებელი	ხარჯვის ნორმა გ/ლ
ვაშლი	ვაშლის ნაყოფჭამია,ვაშლის ბუგრი, კალიფორნიის ფარიანა,მენაღმე ჩრჩილი	0.07-0.1
ვაზი	ყურძნის ჭია	0.1
ატამი	ბუგრები,ვაშლის ბუგრი,აღმოსავლური ნაყოფჭამია	0.07-0.1
პომიდორი/კიტრი	ბამბის ხვატარი,ბაღჩის ბუგრი	0.04-0.05
კარტოფილი	კოლორადოს ხოჭო	0.04-0.05
საზამთრო,ნესვი	ბუგრები	0.04-0.05
ხორბალი	პურის ბზუალა	0.1
სიმინდი	სიმინდის ხოჭო	0.1
ვარდი	ვარდის ბუგრი, ჭრელი ჭიჭინობელა, კოკრიჭამია, ცხვირგრძელა	0.025-0.05

- დამუშავების დროს ჰაერის ოპტიმალური ტემპერატურაა +12°C-დან +25 °C-მდე;
- ინსექტიციდი გამოიყენება მცენარეების სამკურნალოდ ვეგეტაციის პერიოდში, როდესაც მავნებელი გამოჩნდება;
- თავსებადია ფუნგიციდების უმეტესობასთან. უმჯობესია გამოყენებამდე ჩატარდეს ქიმიური შემოწმება;
- არ გამოიყენოთ პროდუქტი გაღივებულ, დაბზარულ/დაზიანებულ, ან მაღალი ტენიანობის მქონე თესლებზე;
- პრეპარატის გამოყენებამდე მარცვალი უნდა გაიწმინდოს უცხო დანამატებისა და მტვრისაგან;
- თესლის დამუშავება ტარდება წინასწარ, ან უშუალოდ თესვის წინ;
- ინსექტიციდი გამოიყენება მცენარეების შესაწამლად ვეგეტაციის პერიოდში მავნებლების გამოჩენისას;
- სამუშაო ხსნარის მოსამზადებლად წყალი სუფთა უნდა იყოს (წყალში დიდი რაოდენობით უცხო სხეულები, სილა, ან თიხა, რამაც შეიძლება მნიშვნელოვნად იმოქმედოს ინსექტიციდის ეფექტურობაზე);
- სამუშაო ხსნარი უნდა მომზადდეს უშუალოდ შეწამვლის წინ;



ფუნგიციდი



90 გ/კგ
C21H22ClNO4

აკბატი



მოქმედი ნივთიერება:
მანკოცები 600 გ / კგ + დიმეტომორფი 90 გ / კგ

პრეპარატული ფორმა: სველებადი ფხვნილი

შეფუთვა: 0,5 კგ, 1 კგ

მწარმოებელი: Limin Chemical Co. Ltd, ჩინეთი



უმაღლესი კლასის სისტემურ-კონტაქტური მოქმედების ფუნგიციდი, აკბატი, ვაზის, ციტრუსების, კარტოფილის, პომიდვრის, კიტრის, ხახვის და ბაღჩეული კულტურების სოკოვანი დაავადებების წინააღმდეგ გამოიყენება.

პრეპარატის მოქმედების მექანიზმი:

პრეპარატს ახასიათებს განსაკუთრებული ფუნგიციდური თვისებები. მას აქვს მკვეთრად გამოხატული როგორც სისტემური, ისე კონტაქტური დაცვითი მოქმედება. პრეპარატი ძალზე სწრაფად იჭრება მცენარეებში და თანაბრად ნაწილდება მათში, მათ შორის ახალგაზრდა ყლორტებსა და წანაზარდებში, სადაც პრეპარატი შესხურების მომენტში ვერ მოხვდა. პრეპარატი გამოირჩევა განსაკუთრებული სელექტურობით ომოციტების კლასის სოკოების წინააღმდეგ. საიმედოა რთულ კლიმატურ პირობებშიც. შესხურებიდან 2 საათის შემდეგ მოსული ნალექი მის ეფექტურობაზე გავლენას არ ახდენს (პრეპარატი არ ჩამოირეცხება). მისი კომბინირება დასაშვებია სხვა ფუნგიციდებთან და ინსექტო აკარიციდებთან.

პრეპარატის გამოყენების უპირატესობები:

- მას აქვს შესანიშნავი პრევენციული ეფექტი;
- ხელს უშლის სოკოს განვითარებას როგორც მცენარის ზედაპირზე, ასევე მის ქსოვილებში;
- ფუნგიციდის სისტემური კომპონენტი კლავს სოკოს მიცელიუმს, რომელმაც მცენარეში შეაღწია დაინფიცირებიდან 2-3 დღის განმავლობაში (ეს იძლევა წარმატების გარანტიას იმ შემთხვევაში, როდესაც მცენარე დაავადების საწყის ეტაპზეა, მაგრამ ჯერ არ გამოვლენილა გარეგანი ნიშნები);
- აქტიური ნივთიერება დიმეტომორფი მცენარის მიერ მთლიანად შეიწოვება დამუშავებიდან 2 საათის განმავლობაში;



პრეპარატის გამოყენების რეკომენდაციები:

- ხსნარი არ უნდა მომზადდეს საკვებად გამოსაყენებელ ჭურჭელში;
- შესხურება უნდა განხორციელდეს შესაბამისი აღჭურვილობით: სპეცტანსაცმელი, რესპირატორი, სათვალე და ხელთათმანი;
- თუ პრეპარატი მოგხვდებათ თვალზე, ან კანზე, დაუყოვნებლივ ჩამოიბანეთ გამდინარე წყლით; შეინახეთ ბავშვებისთვის მიუწვდომელ ადგილას, წამლებისა და საკვებისგან მოშორებით +35ºC ტემპერატურაზე;
- პროცედურებს შორის ინტერვალი უნდა იყოს, ამინდობრივი პირობებიდან გამომდინარე, 7-14 დღე;
- კარგად განვითარებული ფოთლის ზედაპირზე შესხურება უნდა განხორციელდეს დიდი რაოდენობით წყლის გამოყენებით, ფოთლების სრული დაფარვის უზრუნველსაყოფად;

კულტურა	დაავადება	ხარჯვის ნორმა კგ/ჰა	ლოდინის პერიოდი (გამოყენების ჯერადობა)
ვაზი	ჭრაქი	2	40(3)
კარტოფილი	ფიტოფტორა,მაკროსპორიოზი, ალტერნარიოზი	2-2.5	20(3)
კიტრი (სათესლე ნაკვეთები)	პერენოსპოროზი	2	- (5)
პომიდორი (ღია და დახურული გრუნტი)	ფიტოფტორა, ალტერნარიოზი	2	40(3)
კიტრი (ღია გრუნტი)	პერენოსპოროზი	2	15(3)
ხახვი	პერენოსპოროზი	2	15(3)
თამბაქო	პერენოსპოროზი	2-2.5	20(3)

TAN TARIM
BE SAFE WITH COPPER

200 გ/კგ
$Ca(OH)_2$

ბორდოტანი



მოქმედი ნივთიერება:
სპილენძის სულფატი + კალციუმის ჰიდროქსიდი
200 გ / კგ

პრეპარატული ფორმა: სველებადი ფხვნილი

შეფუთვა: 10კგ

მწარმოებელი: Tan Tarim, თურქეთი

ბორდოტანი მაღალეფექტური ფუნგიციდია ატმის ფოთლის სიხუჭუჭის, კასტეროსპორიოზის, ვაშლის ქეცის და სიდამპლეების, ვაზის ჭრაქისა და კულტურათა ანთრაქნოზის, ციტრუსის სიდამპლეების, ნეკროზის და სასოფლო-სამეურნეო კულტურებში გავრცელებული სხვა დაავადებების წინააღმდეგ.

პრეპარატის მოქმედების მექანიზმი:

ბორდოტანი უნივერსალური ფუნგიციდია. პრეპარატს აქვს მასტიმულირებელი მოქმედება მცენარეებზე. პრეპარატის ეფექტურობა დამოკიდებულია მისი გამოყენების პერიოდზე (მისი გამოყენება უნდა მოხდეს დაავადების გამოჩენამდე). ამ შემთხვევაში მას თითქმის არ აქვს უარყოფითი გავლენა დაცულ კულტურებზე. როდესაც მცენარეებს ამუშავებენ ბორდოს სითხით, ძირითადი სპილენძის სულფატი ჟელატინისებრი ნალექის სახით ილექება, რომელიც კარგად ეკვრის ფოთოლს და ფარავს მცენარეს (ასევე მის ნაყოფს) დამცავი ფენით. ფუნგიციდებს შორის ბორდოს სითხე მდგრადობით (შენარჩუნებით) ფოთოლზე პირველ ადგილზეა. სპილენძის შემცველი ბიოლოგიური თვისებები განისაზღვრება, სპილენძის იონების აქტიური რეაგირებით ლიპოპროტეინებთან და ცოცხალი უჯრედების ფერმენტულ კომპლექსებთან. სპილენძის იონები, რომლებიც შედიან პათოგენურ უჯრედებში საკმარისად მაღალი კონცენტრაციით, ურთიერთქმედებენ სხვადასხვა ფერმენტებთან, რომლებიც შეიცავს კარბოქსილის, იმიდაზოლის და თიოლის ჯგუფებს, რაც თრგუნავს მცენარის აქტივობას. მათი შერჩევითობა სასარგებლო ორგანიზმებთან მიმართებაში დამოკიდებულია სპილენძის იონების რაოდენობაზე, რომელიც შედის უჯრედებში და გროვდება მათში.

პრეპარატის გამოყენების უპირატესობები:

- უნივერსალურად მოქმედებს სოკოვან და ბაქტერიული დაავადებების წინააღმდეგ;
- მარეგულირებელი ეფექტი აქვს ფოტოსინთეზზე, სუნთქვაზე, ნახშირწყლებისა და ცილების ციკლზე;
- ფუნგიციდი ეფექტურობას ინარჩუნებს მაღალი ტემპერატურისა და გვალვის დროს;
- ახასიათებს საუკეთესო დამკავებლობა მცენარის ზედაპირზე მაღალი ფუნქციების აქტივობის შენარჩუნებით;

კულტურა	დაავადება	გამოყენების პერიოდი	ხარჯვის ნორმა (კგ/ჰა)	ლოდინის პერიოდი/დღე
ვაზი	ჭრაქი (მილდიუ)*(Plasmopara viticola)*, წითელა *(PSeudopeziza tracheiphila Meller.)*,ანთრაქნოზი*(Gloeosporium ampelophagum Sacc.)* შავი სიდამპლე *(Guignardia bidwellii Vialet Rav.)*, ლაქიანობა *(Phomopsis viticola (Phoma)*	პრეპარატის გამოყენებისას გათვალისწინებული უნდა იყოს კლიმატური პირობები: ნალექი, ტემპერატურა, კულტურის ფენოლოგიური ფაზა	7-10 კგ/ჰა	25
ატამი	ატმის ფოთლის სიხუჭუჭე *(Taphrina deformans Fuck.)* კლასტეროსპორიოზი *(Coryneum beyerinckii)*, ბაქტერიული კიბო *(Pseudomonas syringae van Hall.)*	შესხურება ტარდება გვიან შემოდგომით ფოთლების გაცვენის შემდეგ, ან ადრე გაზაფხულზე, კვირტების დაბერვის ფაზამდე.	20-25კგ/ჰა	20
ვაშლი	ყავისფერი სიდამპლე *(Gleosporium fructigenum)*, ქეცი *(Venturia inaequalis Wint.)* ,მონილიოზი *(Monilinia laxa f.sp. Mali)*, ვაშლის ქეცი*(Venturia inaequalis Wint.)*	შესხურება ტარდება აქტიური ვეგეტაციის ფაზებში.	7-10კგ/ჰა	20
მსხალი		შესხურება ტარდება მწვანე კონუსის ფაზაში.	20-25 კგ/ჰა	
ბალი, ალუბალი	ალუბლის ქაჯის ცოცხი *(Excoascus cerasi)*, კურკოვანთა ნაცრისფერი სიდამპლე *(Stromatinea cinerea)*	შესხურება ტარდება აქტიური ვეგეტაციის ფაზაში.	7-10 კგ/ჰა	15
მარწყვი	მარწყვის ფოთლის *(Mukospaerella fragariae)*, ფესვის სიდამპლე *(Phytoptora cactorum)*	შესხურება ტარდება მწვანე კონუსის ფაზაში.	7-10 კგ/ჰა	-
ციტრუსი	მეჭეჭიანობა *(Elsinoe australis, Elsinoe fawcettii)*, მალსეკო *(Phoma tracheiphilla)*, ბაქტერიული ნეკროზი *(PSeudomonas citriputeale (Smith C.O.)Stapp)*, ანთრაქნოზი *(Colletotrichum glocosponoides Penz.)*, ნაყოფების ლპობა *(Phytophthora citrophthora Leonian)*, მელანოზი *(Phomopsis citri)*	შესხურება ტარდება გვიან შემოდგომით ფოთლების გაცვენის შემდეგ, ან ადრე გაზაფხულზე, კვირტების დაბერვის ფაზამდე.	8-10კგ/ჰა	15
პომიდორი	ფიტოფტოროზი, ნაყოფის სიდამპლე *(Phytopthora infestans)*, ალტერნარიოზი, შავი სიდამპლე *(Alternaria solani)*, ფესვის მურა ლაქიანობა *(Cladosporium fulfum)*	შესხურება ტარდება ყვავილობამდე.	6-8 კგ/ჰა	8
კიტრი,ნესვი, საზამთრო, გოგრა	პერენოსპოროზი (ჭრაქი)*(PSeudoperonospora cubensis)*, ანთრაქნოზი *(Colletotrichum lagenarium)*, ასკოქიტოზი *(Ascochyta cucumis)*, ბაქტერიოზი *(PSeudomonas lacrimans)*	შესხურება ტარდება აქტიური ვეგეტაციის ფაზებში, პრეპარატის გამოყენებისას.	3,5 კგ/ჰა	5
კარტოფილი	კარტოფილის ფიტოფტორა *(Phytoptora infenstans)*, ალტერნარიოზი *(Alternaria solani)*		7-10 კგ/ჰა	-

პრეპარატის გამოყენების რეკომენდაციები:

- ბორდოს სითხე არ უნდა იყოს შერეული ფოსფორორგანულ ინსექტიციდებთან და სხვა პრეპარატებთან, რომლებიც იშლება ტუტე გარემოში;
- ბორდოტანი არ შეურიოთ ტუტოვან პესტიციდებს;
- პრეპარატის გამოყენებამდე გაეცანით ტარაზე მოცემულ ინსტრუქციას და დაიცავით ხარჯვის ნორმები;
- ფუნგიციდი შეინახეთ სპეციალურად განკუთვნილ, მშრალ და გრილ ადგილას;
- შეწამვლისას გამოიყენეთ სპეციალური აღჭურვილობა (სპეცტანსაცმელი, რესპირატორი, სათვალე და ხელთათმანები);



PARIJAT

ინდაზოლი

500 გ/ლ

C9H9N3O2

ინდაზოლი



მოქმედი ნივთიერება:
კარბენდაზიმი 500 გ / ლ

პრეპარატული ფორმა: ემულსია კონცენტრატი

შეფუთვა: 0.5, 1 ლ

მწარმოებელი: Parijat Industries, ინდოეთი

მაღალეფექტური კონტაქტურ - სისტემური ფუნგიციდი, სასოფლო - სამეურნეო კულტურების ნაცრისა და სიდამპლეების გამომწვევი სოკოების წინააღმდეგ.

პრეპარატის მოქმედების მექანიზმი:

ვინაიდან პრეპარატს გააჩნია როგორც დაცვითი, ისე კურატიული (სამკურნალო) მოქმედება, ინდაზოლი უზრუნველყოფს დაავადების მოსპობას მისი სიმპტომების გამოჩენის შემდეგაც. იგი აჩერებს სოკოს უჯრედის დაყოფისა და წარმოქმნის პროცესს. პრეპარატი აფერხებს სპორების და სოკოების დამთრგუნველ აღმოცენებას, აფერხებს დაავადებების შემდგომ განვითარებას.

პრეპარატის გამოყენების უპირატესობები:

- ინდაზოლი შესანიშნავად აკონტროლებს მრავალ სოკოვან დაავადებას რთულ კლიმატურ პირობებშიც;
- გამოიყენება მრავალ სასოფლო- სამეურნეო კულტურაში: ხორბალი, ქერი, შაქრის ჭარხალი, მზესუმზირა, ვაზი, კიტრი და სხვა;
- იცავს მცენარის ქსოვილს შიდა და გარე ინფექციებისაგან;
- აქვს სწრაფი და ხანგრძლივი დაცვითი მოქმედება;
- კულტურის განვითარების ფაზის მიუხედავად ფიტოტოქსიკურობას არ იწვევს;
- იდეალურად მოქმედებს კომბინაციაში სხვადასხვა პესტიციდთან;
- პრეპარატს აქვს პროფილაქტიკური და თერაპიული თვისებები;
- აჩერებს დაავადებას განვითარების ადრეულ ფაზაში;



კულტურა	დაავადება	ხარჯვის ნორმა ლ/ჰა	ლოდინის პერიოდი. დღე
ხორბალი, ქერი, შვრია, ჭვავი	ფესვის სიდამპლე, ჩაწოლა	0.3-0.6	20(1)
	ნაცარი, ჰელმინთოსპორიოზი, სეპტორიოზი	0.5-0.6	30(20)
შაქრის ჭარხალი	ცერკოსპოროზი, ნაცარი	0.6-0.8	20(3)
თუათა (სათესი ნაკვეთები და სანერგეები)	აღმონაცენის ჩაწოლა, ფესვის სიდამპლე, ღეროს ფუზარიოზი	0.25-0.4 0.9-1.5	-(3-4)
ფოთლოვანი/წიწვოვანი ტყის ჯიშების სანერგე	ჩვ. ფოთლის ობი, სხვადასხვა ლაქიანობები	1.25-2.4	-(1-2)
მარცვლოვნები, პარკოსნები	თესლის დაავადებათა კომპლექსი	1-1.5 ლ/ტ	-(1)
თუთა	-	5 ლ/ტ	-(1)

პრეპარატის გამოყენების რეკომენდაციები:

- დახურულ გრუნტში მოყვანილი კულტურების სამკურნალოდ ხსნარის კონცენტრაცია და მოხმარება ერთეულ ფართობებზე უნდა გაორმაგდეს;
- დამცავი მოქმედების დრო არის 10 - 14 დღე მსუბუქი დაზიანებისას, ხოლო მძიმე დაზიანების შემთხვევაში - 7 დღე;
- პრეპარატის ეფექტურობა დამოკიდებულია დაავადების სტადიაზე;
- დადებითი დინამიკა მიიღწევა გარკვეული მკურნალობის რეჟიმის დაცვით;
- კარბენდაზიმზე დაფუძნებული პროდუქტები უფრო დიდხანს ძლებს მცენარეზე და მასში შეღწევისას ძალიან ნელა მოძრაობს;
- შესანიშნავად ერწყმის სხვა ფუნგიციდებსა და ინსექტიციდებს (შერევამდე აუცილებელია ჩატარდეს თავსებადობის ტესტი);



INDOFIL INDUSTRIES LIMITED

720 გ/კგ

C8H12MnN4S8Zn

ინდოფილი



მოქმედი ნივთიერება: მანკოცები 720 გ /კგ ლურჯი

პრეპარატული ფორმა: სველებადი ფხვნილი

შეფუთვა: 1 კგ

მწარმოებელი: Indofil Industries Limited, ინდოეთი

ინდოფილი სოკოს გასანადგურებლად, ან მისი ზრდის პრევენციისთვის შექმნილი ფუნგიციდია, რომელიც ქიმიური კომპონენტებითა და ბიოლოგიური ორგანიზმებითაა წარმოებული.

პრეპარატის მოქმედების მექანიზმი:

მანკოცები არის დამცავი ნივთიერება, რომელიც მოქმედებს სოკოს უჯრედების სულფიდრილის ჯგუფის ამინომჟავებისა და ფერმენტების შეჩერებით. მანკოცები ზემოქმედებს მის მიმართ მგრძნობიარე დაავადებების გამომწვევი სოკოს სპორების უჯრედების მეტაბოლიზმზე, მათი გაღივების დროს, რაც საბოლოოდ იწვევს მავნებლის სიკვდილს. ინდოფილი კარგად ეკვრის მცენარის ზედაპირს და ქმნის დამცავ აპკს, რაც იცავს მცენარეს ინფიცირებისგან. დაავადებების ეფექტური მკურნალობისთვის, უმჯობესია მისი პრევენციული გამოყენება. ზოგადად პრეპარატის შესხურება უნდა მოხდეს დაავადების გამოვლენამდე, ან მის საწყის ეტაპზე. შესხურება გაიმეორეთ 7–12 დღიანი ინტერვალით (დამოკიდებულია კლიმატურ პირობებსა და დაავადების სიმწვავეზე).

პრეპარატის გამოყენების უპირატესობები:

- გააჩნია მაღალი დაცვითი ეფექტი;
- პრეპარატში შემავალი მიკროელემენტები ხელს უწყობენ მცენარის ზრდას;
- ეფექტურად იცავს მცენარეს ჭრაქოვანი და სოკოვანი დაავადებებისაგან;
- რეზისტენტობა (შეგუება) არ შეინიშნება;
- თავსებადია სხვა პესტიციდებთან;

პრეპარატის გამოყენების რეკომენდაციები:

- მაქსიმალური ეფექტი მიიღება, როცა შესხურება ტარდება პროფილაქტიკის მიზნით;
- ეფექტური შედეგის მისაღწევად აუცილებელია ინტერვალების ზუსტი დაცვა;
- შესხურება ტარდება მშრალ, მშვიდ ამინდში (4 – 6 საათის განმავლობაში უნალექოდ);
- პრეპარატი შეინახეთ მშრალ ადგილას, პესტიციდისთვის განკუთვნილ საწყობში;

კულტურა	დაავადება	ხარჯვის ნორმა კგ/ჰა	ლოდინის პერიოდი (გამოყენების ჯერადობა)
ვაზი	ჭრაქი (მილდიუ) *(Plasmopara viticola)*	2-3	30(6)
ვაშლი,მსხალი	ქეცი *(Venturia inaegualis Winter)*	2.5	30(5)
ატამი,გარგარი	მონილიოზი *(Monilia laxa f.sp.Mali)*, ნაცრისფერი სიდამპლე *(Gleosporium fructigenum)*	1.6-3	20(4)
ციტრუსი	ანთრაქნოზი *(Colletotrichum glocosponoides)*	1.6-3	15(4)
ნესვი, საზამთრო	ჭრაქი,*(Pseudoperonospora cubensis)*, ნესვის პერენოსპოროზი *(Erysiphe cicho-racearum Dc).*	1.5-2.5	1(4)
კიტრი	პერენოსპოროზი *(Pseudoperonospora cubensis)*	2-2.5	14(3)
კარტოფილი	ფიტოფტორა *(Phytophthora infestans)*	1.2-1.6	20(5)
კარტოფილი (სათესლე)	ტუბერების დამუშავება	2-2.5	20(3)
პომიდორი	ფიტოფტორა *(Phytophthora infestans)* მაკროსპოროზი *(Alternaria solani)*	2-2.5	20(5)

375 გ/კგ
C14H15N3

კორზაქვინი



მოქმედი ნივთიერება:
ციპროდინილი 375 გ / კგ + ფლუდიოქსილინი 250 გ / კგ

პრეპარატული ფორმა: წყალში ხსნადი გრანულები

შეფუთვა: 0.2კგ

მწარმოებელი: Koruma Klor Alkali Sanay ve Ticaret A.S, თურქეთი

კორზაქვინი სხვადასხვა ქიმიური კლასის ორი ნივთიერების უნიკალური კომბინაციაა, რომელსაც მოქმედების ფართო სპექტრი გააჩნია. კორზაქვინი იდეალურად უმკლავდება ნაცრისფერი სიდამპლის *(Botrytis cinerea)* და მეორადი სიდამპლის მიზეზებს. პრეპარატი აკმაყოფილებს ევროპულ სტანდარტს მცენარეთა დაცვის მიმართულებით. პრეპარატი გამოიყენება ვაზის, პომიდვრის, წიწაკის, კენკროვნების, ბადრიჯნის და მარწყვის ნაცრისფერი სიდამპლის სამკურნალოდ.

პრეპარატის მოქმედების მექანიზმი:

კორზაქვინი სწრაფად აღწევს მცენარის ქსოვილებში, აქვს კარგი აკროპეტული და ლამინარული ტრანსლოკაცია. სეზონზე, დაავადების განვითარების კრიტიკულ ფაზაში, ვაზის კულტურაში გამოიყენება 1-3 ჯერადობით. შესხურება ვეგეტაციის პერიოდში უნდა მოხდეს 14-21 დღიანი ინტერვალით. პრეპარატის ხარჯვის ნორმა, ვაზის შემთხვევაში, 0.6-1.2 ლ/ჰა.

პრეპარატის გამოყენების უპირატესობები:

- სისტემური, დაცვითი და სამკურნალო თვისებები;
- ფოთლების მაღალეფექტური დაცვა, ნებისმიერი ინფექციური ფონისგან, მიუხედავად ჰაერის ტემპერატურისა;
- რეზისტენტობა (შეგუება) გამორიცხულია; სწრაფად შეიწოვება მცენარის მიერ და არ ირეცხება წვიმისგან;
- აქვს ეკონომიური ხარჯვის ნორმა;
- არ ახასიათეს ფიტოტოქსიკურობა;
- პრეპარატი გამოიყენება ხეხილის სხვა ფუნგიციდებთან კომბინაციაში;
- დაცვითი ხანგრძლივობა 7 – 10 დღე (დაავადების მიხედვით);
- სამკურნალო მოქმედება 36 საათის განმავლობაში;

პრეპარატის გამოყენების რეკომენდაციები:

- დაბალტოქსიკურია ფუტკრებისა და ფრინველებისთვის;
- ტოქსიკურია თევზებისთვის;
- შეინახეთ პესტიციდებისთვის განკუთვნილ სპეციალურ ადგილას;
- შეწამვლისას მოარიდეთ კანთან და სასუნთქ გზებთან კონტაქტს. გამოიყენეთ შესაბამისი აღჭურვილობა;



კულტურა	დაავადება	ხარჯვის ნორმა ლ/ჰა	დრო ბოლო შესხურებიდან მოსავლის აღებამდე
ვაზი	მტევნის ნაცრისფერი სიდამპლე *(Botrytis cinerea)*	0.6-1.2	შესხურება ვეგეტაციის პერიოდში 14-21 დღიანი ინტერვალით
პომიდორი	ნაყოფის ნაცრისფერი სიდამპლე *(Botrytis cinerea)*	0.6-1	შესხურება ვეგეტაციის პერიოდში 7-14 დღიანი ინტერვალით
კიტრი (დახურული გრუნტი)	ნაყოფის ნაცრისფერი სიდამპლე *(Botrytis cinerea)*	0.6-1	შესხურება ვეგეტაციის პერიოდში 7-14 დღიანი ინტერვალით
წიწაკა (დახურული გრუნტი)	ნაყოფის ნაცრისფერი სიდამპლე *(Botrytis cinerea)*	0.6-1	შესხურება ვეგეტაციის პერიოდში 7-14 დღიანი ინტერვალით
კურკოვნები: ატამი, ქლიავი, ბალი, ალუბალი, გარგარი	ნაყოფის ნაცრისფერი სიდამპლე *(Botrytis cinerea)*	0.6-1	შესხურება ვეგეტაციის პერიოდში 7-10 დღიანი ინტერვალით
თესლოვანი: ვაშლი, კომში, მსხალი	ქეცი, მონილიოზი, პენიცილიუმი, ნაცრისფერი სიდამპლე, ნაყოფების სიდამპლე, ალტერნარიოზი, ფუზარიოზული სიდამპლე, ხეხილის ვარჯის და ღეროების კიბო, ანთრაქნოზი *(Botrytis cinerea)*	0.6-1	შესხურება ვეგეტაციის პერიოდში დაავადებათა პირველი სიმპტომების აღმოჩენისას, ადრეული ნაყოფის გამოჩენისთანავე 10-12 დღიანი ინტერვალით
მარწყვი	ნაყოფის ნაცრისფერი სიდამპლე *(Botrytis cinerea)*	0.6-1	შესხურება ვეგეტაციის პერიოდში: ყვავილობამდე, ყვავილობის შემდეგ და მოსავლის აღების წინ 14-21 დღიანი ინტერვალით.
ბადრიჯანი	ნაყოფის ნაცრისფერი სიდამპლე *(Botrytis cinerea)*	0.6-1	შესხურება ვეგეტაციის პერიოდში, დაავადებათა პირველი სიმპტომების აღმოჩენისას 7-14 დღიანი ინტერვალით

TAN TARIM
BE SAFE WITH COPPER

700 გ/ლ
CuCl2

კუპროტანი



მოქმედი ნივთიერება:
სპილენძის ქლორჟანგი 1166.6 (მეტალური სპილენძის მიხედვით 700 გ/ლ)

პრეპარატული ფორმა: სუსპენზია კონცენტრატი

შეფუთვა: 1 ლ

მწარმოებელი: Tan Tarim, თურქეთი

კუპროტანი არის სპილენძნაერთი ფუნგიციდი, რომელიც აკონტროლებს დაავადებათა ფართო სპექტრს, რომლებიც ვრცელდება ისეთ კულტურებში, როგორიცაა: ვაზი, ხეხილი, ბოსტნეული და ა.შ.

პრეპარატის მოქმედების მექანიზმი:

პრეპარატს აქვს მასტიმულირებელი მოქმედება მცენარეებზე. პრეპარატის ეფექტურობა დამოკიდებულია მისი გამოყენების პერიოდზე. მას თითქმის არ აქვს უარყოფითი გავლენა დაცულ კულტურებზე. როდესაც მცენარეებს ამუშავებენ სპილენძნაერთი ფუნგიციდით, პრეპარატი კარგად ეკვრის ფოთოლს და ფარავს მცენარეს (ასევე მის ნაყოფს) დამცავი ფენით.

პრეპარატის გამოყენების უპირატესობები:

- უნივერსალურად მოქმედებს სოკოვანი და ბაქტერიული დაავადებების წინააღმდეგ;
- მარეგულირებელი ეფექტი აქვს ფოტოსინთეზზე, სუნქვაზე, ნახშირწყლებისა და ცილების ციკლზე;
- ფუნგიციდი ეფექტურობას ინარჩუნებს მაღალი ტემპერატურისა და გვალვის დროს;
- ახასიათებსსაუკეთესო დამკავებლობა მცენარის ზედაპირზე მაღალი ფუნქციების აქტივობის შენარჩუნებით;
- ნორმირებული გამოყენების შემთხვევაში არ ახდენს უარყოფით გავლენას გარემოზე;
- არ ახასიათებს ფიტოტოქსიკურობა;

პრეპარატის გამოყენების რეკომენდაციები:

- პრეპარატის გამოყენებამდე გაეცანით ტარაზე მოცემულ ინსტრუქციას და დაიცავით ხარჯვის ნორმები;
- ფუნგიციდი შეინახეთ სპეციალურად განკუთვნილ, მშრალ და გრილ ადგილას. შეწამვლისას გამოიყენეთ სპეციალური აღჭურვილობა (სპეცტანსაცმელი, რესპირატორი, სათვალე და ხელთათმანები);

კულტურა	დაავადება	გამოყენების პერიოდი	ხარჯვის ნორმა კგ/ჰა	ლოდინის პერიოდი
თესლოვანი ხეხილი, ვაშლი	ქეცი *(Venturia inaequalis)*, ლაქიანობა *(Clasterosporium carpophilum)*, სიდამპლე *(Monilia mali)*, ბაქტერიული და სოკოვანი ნეკროზები *(PSeudomonas, Pyricolaria oryzae).*	ცისფერი წამლობა, მწვანე კონუსის ფაზაში (კვირტების დაბერვისას, საფოთლე კვირტების გაშლის დასაწყისში).	4-7	10
თესლოვანი ხეხილი, ვაშლი	ქეცი *(Venturia inaequalis)*, ლაქიანობა *(Clasterosporium carpophilum)*, სიდამპლე *(Monilia mali)*, ბაქტერიული და სოკოვანი ნეკროზები *(PSeudomonas, Pyricolaria oryzae).*	შესხურება მთელი ვეგეტაციის პერიოდში 7-14 დღიანი ინტერვალით, ძლიერი ატმოსფერული ნალექების შემთხვევაში ექვემდებარება განმეორებით წამლობას.	2-2.5	10
კურკოვანი ხეხილი	ბაქტერიული სილაქავე *(Bacterial spot)*, ბაქტერიული ნეკროზი *(Bacteria necrosis)*, ფოთლის სიხუჭუჭე *(Leaf curt).*	შესხურება მთელი ვეგეტაციის პერიოდში 7-14 დღიანი ინტერვალით, ძლიერი ატმოსფერული ნალექების შემთხვევაში ექვემდებარება განმეორებით წამლობას.	4-7	10
კურკოვანი ხეხილი	ბაქტერიული სილაქავე *(Bacterial spot)*, ბაქტერიული ნეკროზი *(Bacteria necrosis)*, ფოთლის სიხუჭუჭე *(Leaf curt).*	შესხურება მთელი ვეგეტაციის პერიოდში 7-14 დღიანი ინტერვალით, ძლიერი ატმოსფერული ნალექების შემთხვევაში ექვემდებარება განმეორებით წამლობა.	2-2.5	10

ვაზი	ვაზის ჭრქი *(Mildew), (Plazmopara viticola)*, ანთრაქნოზი *(Gloesporium ampelphagum)*, ყურზნის შავი სიდამპლე *(Guignardia bidwellii).*	შესხურება მთელი ვეგეტაციის პერიოდში 7-14 დღიანი ინტერვალით, ძლიერი ატმოსფეული ნალექების შემთხვევაში ექვემდებარება განმეორებით წამლობას.	2-2.5	21
პომიდორი (ღია გრუნტი)	ფოტოფტოროზი *(Late blight)*, ალტერნარიოზი *(Monilia mail).*	შესხურება მთელი ვეგეტაციის პერიოდში 7-14 დღიანი ინტერვალით, ძლიერი ატმოსფეული ნალექების შემთხვევაში ექვემდებარება განმეორებით წამლობას.	2-2.5	7
კიტრი (ღია გრუნტი)	ჭრაქი, პერენოსპოროზი *(Pseudoperenospara cubensis)*	შესხურება მთელი ვეგეტაციის პერიოდში 7-14 დღიანი ინტერვალით, ძლიერი ატმოსფეული ნალექების შემთხვევაში ექვემდებარება განმეორებით წამლობას.	2-2.5	5
კარტოფილი	მაკროსპორიოზი, კარტოფილის მურა ლაქიანობა *(Early Blight)*, კარტოფილის ფიტოფტოროზი *(Late Blight)*, ალტერნარიოზი *(Alternaria solani)*	შესხურება მთელი ვეგეტაციის პერიოდში 7-14 დღიანი ინტერვალით, ძლიერი ატმოსფეული ნალექების შემთხვევაში ექვემდებარება განმეორებით წამლობას.	2-2.5	7
თხილი, კაკალი	სიდამპლე *(Brown rot)*	შესხურება მთელი ვეგეტაციის პერიოდში 7-14 დღიანი ინტერვალით, ძლიერი ატმოსფეული ნალექების შემთხვევაში ექვემდებარება განმეორებით წამლობას.	3-6	10
ციტრუსი	ციტრუსის ფოთლებისა და ღეროების მელანოზი *(Melanose)*, მუნი მღერი *(Scab)*, ანთრაქნოზი *(Collelotrichum gloesporioides)*	შესხურება მთელი ვეგეტაციის პერიოდში 7-14 დღიანი ინტერვალით, ძლიერი ატმოსფეული ნალექების შემთხვევაში ექვემდებარება განმეორებით წამლობას.	4-7	10

ხახვი	ჭრაქი, პერენოსპოროზი *(peronospora destruotor)*	შესხურება მთელი ვეგეტაციის პერიოდში 7-14 დღიანი ინტერვალით, ძლიერი ატმოსფეული ნალექების შემთხვევაში ექვემდებარება განმეორებით წამლობას.	2-2.5	10

AGRO LIFE SCIENCE CORPORATION

ფუნგიციდი

800 გ/კგ

H_2SO_4

ლაიფსული



მოქმედი ნივთიერება:
სულფური 800 გ / კგ

პრეპარატული ფორმა: წყალში ხსნადი გრანულები

შეფუთვა: 1კგ

მწარმოებელი: Agro Life Science Corporation, ინდოეთი

კონტაქტური მოქმედების ფუნგიციდი ლაიფსული გამოიყენება ვაზის, ვაშლის, მსხლის, კიტრის, პომიდვრის, ყაბაყის, შავი მოცხარის, ვარდისა და ყვავილოვან კულტურებში ნაცროვანი დაავადებების წინააღმდეგ. იდეალურად ავსებს სისტემურ ფუნგიციდებს პრევენციულ შესხურებებში ყვავილობამდე და ყვავილობის შემდეგ დაავადებებისა და ტკიპების კონტროლისთვის.

პრეპარატის მოქმედების მექანიზმი:

მრავალმხრივი მოქმედების არაორგანული ფუნგიციდი, ლაიფსული, არასისტემური, კონტაქტური პრეპარატია, მეორადი აკარიციდული მოქმედებით. მცენარეებში შეღწევის დროს პრეპარატი აჩერებს სოკოს სპორების სასიცოცხლო აქტივობას და განვითარებას, რაც ხელს უშლის დაავადების შემდგომ გავრცელებას.

პრეპარატის გამოყენების უპირატესობები:

- დამცავი მოქმედების პერიოდი 7-10 დღე;
- წყალთან შეხებისას ის მყისიერად ქმნის სტაბილურ ერთგვაროვან სუსპენზიას;
- აქვს ფუნგიციდური და აკარიციდური მოქმედება;
- დამუშავების მაქსიმალური სიხშირე სეზონზე: 1-4-ჯერ, 14-30 დღის ინტერვალით, მოსავლის მიხედვით;
- გამოირჩევა კარგი მიმწებებლობით, ბრწყინვალე კონტაქტური მოქმედებით და აქტიურობით აირად ფაზაში;
- პრეპარატი არ აალდება;

პრეპარატის გამოყენების რეკომენდაციები:

- პრეპარატის შესხურება რეკომენდებულია დილით ადრე, ან გვიან საღამოს;
- არ დაამუშავოთ სველი ფოთლები;
- ფოსფორორგანულ პრეპარატებთან შერევისას თავსებადობა აუცილებლად უნდა შემოწმდეს;
- თავსებადია სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკაში გამოყენებულ ბევრ პრეპარატთან, გარდა ზეთებზე დაფუძნებული პრეპარატებისა და ტუტე რეაქციის მქონე პრეპარატებისა;
- რეკომენდებული ნორმებით გამოყენებისას პრეპარატი არ არის ფიტოტოქსიკური;

კულტურა	დაავადება	გამოყენების ხერხი, დრო, გამოყენების თავისებურება	ხარჯვის ნორმა (კგ/ჰა)	ლოდინის პერიოდი (გამოყენების ჯერადობა)
ვაზი	ნაცარი	შესხურება ვეგეტაციის პერიოდში	3-5	1(4-6)
ვაშლი, მსხალი	ნაცარი	შესხურება ვეგეტაციის პერიოდში	3-8	1(1-6)
კიტრი, პომიდორი	ნაცარი	შესხურება ვეგეტაციის პერიოდში	2-3	1(1-5)
ყაბაყი	ნაცარი	შესხურება ვეგეტაციის პერიოდში	2-3	1(1-3)
ყვავილოვანი კულტურები (ღია და დახურულ გრუნტში)	ნაცარი	შესხურება ვეგეტაციის პერიოდში	3-4	1(2-4)
ვარდი	ნაცარი	შესხურება ვეგეტაციის პერიოდში	2-3	1(2-4)
შავი მოცხარი	ამერიკული ნაცარი	შესხურება ვეგეტაციის პერიოდში	2-3	1(1-3)



80 გ/კგ
C15H21NO4

მეტკოპერი



მოქმედი ნივთიერება:
სპილენძის ქლორჟანგი 420 გ / კგ +
მეტალაქსილი 80 გ / კგ

პრეპარატული ფორმა: სველებადი ფხვნილი

შეფუთვა: 1 კგ

მწარმოებელი: Nanjing Bestgreen Chemical Co.Ltd, ჩინეთი

მოქმედი ნივთიერებების უნიკალური კომბინაციის მქონე სისტემურ-კონტაქტური ფუნგიციდი, სასოფლო-სამეურნეო კულტურებში გავრცელებული სოკოვანი დაავადებების წინააღმდეგ აქტიურად გამოიყენება.

პრეპარატის მოქმედების მექანიზმი:

მეტალაქსილი ტრანსლამინარული და სისტემური მოქმედებით უზრუნველყოფს მცენარის შიგნიდან დაცვას. სპილენძის ქლორჟანგისა და მეტალაქსილის ეს უნიკალური კომბინაცია ეფექტურად იცავს მცენარეს როგორც გარედან (დამცავი ბარიერი), ისე ქსოვილის შიგნიდან (სამკურნალო თვისება). იგი განსხვავდება თავისი უნიკალურობით სხვა სისტემური პრეპარატებისგან. მეტალაქსილი აფერხებს ნუკლეინის მჟავების ბიოსინთეზს სოკოებში. სისტემური თვისებების წყალობით ის სწრაფად აღწევს მცენარეში ფოთლებისა და ღეროების მეშვეობით და აკროპეტალურად მოძრაობს, შეუძლია ადრეული ინფექციის შემთხვევაში მცენარის განკურნება და შემდგომში დაცვა. მეტალაქსილი აფერხებს მიცელიუმის ზრდას მცენარეთა ქსოვილებში, ხელს უშლის სპორულაციას და აქვს პოსტინფექციური აქტივობა.

პრეპარატის გამოყენების უპირატესობები:

- ზღუდავს მცენარეების დაზიანებას, ხელს უწყობს მათ აღდგენას;
- გამოიყენება როგორც პროფილაქტიკურად (მასობრივი განვითარების თავიდან ასაცილებლად), ასევე დაავადების მასობრივი გავრცელების შემთხვევაში (აქვს სამკურნალო თვისებები);
- არ ხასიათდება ფიტოტოქსიკურობით და დაავადებების მიმართ რეზისტენტობით;
- დაცვითი ხანგრძლივობა: 8–10 დღე (დასაცავი კულტურის მიხედვით, ინფექციური დატვირთვის გათვალისწინებით);
- მეტკოპერი განსაკუთრებით მაღალეფექტურია პროფილაქტიკური (ინფექციამდე) გამოყენებისას;
- აუმჯობესებს მოსავლის ხარისხს;
- აქვს კარგი მიმწებებლობის უნარი;
- ნალექების მიმართ მდგრადია;

პრეპარატის გამოყენების რეკომენდაციები:

- არ დაუშვათ დაავადების ძლიერი გავრცელება, პრეპარატი გამოიყენეთ პრევენციული მიზნით;
- რთული კლიმატური პირობების შემთხვევაში (გადაუღებელი წვიმა) შესხურება რეკომენდებულია მოკლე ინტერვალებით;
- ხსნარი არ უნდა მომზადდეს საკვებად გამოსაყენებელ ჭურჭელში;
- შესხურება უნდა განხორციელდეს შესაბამისი აღჭურვილობით: სპეცტანსაცმელი, რესპირატორი, სათვალე და ხელთათმანები;
- თუ პრეპარატი მოგხვდებათ თვალზე, ან კანზე, დაუყოვნებლივ ჩამოიბანეთ გამდინარე წყლით;
- შეინახეთ ბავშვებისთვის მიუწვდომელ ადგილას, წამლებისა და საკვებისგან მოშორებით;

კულტურა	დაავადება	ხარჯვის ნორმა	ლოდინის პერიოდი
ვაზი	ჭრაქი	2.5-3.0 კგ/ჰა	20(4)
ვაშლი	ქეცი	4.0 კგ/ჰა	20(4)
კიტრი (ღია გრუნტი)	პერენოსპოროზი	2.5 კგ/ჰა	20(3)
პომიდორი (ღია გრუნტი)	ფიტოფტორა, ალტერნარიოზი	2.5 კგ/ჰა	10(4)
კარტოფილი	ფიტოფტორა, ალტერნარიოზი	2.5 კგ/ჰა	20(3)
ხახვი	პერენოსპოროზი	2.5 კგ/ჰა	20(3)
საზამთრო, ნესვი	წერნაგი, ჭრაქი	2.5 კგ/ჰა	20(3)

INDOFIL INDUSTRIES LIMITED

მოქსიმატი

4%
C7H10N4O3

მოქსიმატი



მოქმედი ნივთიერება:
ციმოქსანილი 4% + მანკოცები 46.5%

პრეპარატული ფორმა: სველებადი ფხვნილი

შეფუთვა: 1კგ

მწარმოებელი: Indofil Industries Limited, ინდოეთი

მოქსიმატი ეფექტური ფუნგიციდია, რომელიც სოკოს გასანადგურებლად, ან მისი ზრდის პრევენციისთვის გამოიყენება. მოქსიმატი წარმოებულია ქიმიური კომპონენტებითა და ბიოლოგიური ორგანიზმებით. კონტაქტურ - სისტემური მოქმედების ფუნგიციდი გამოიყენება ვაზის, კარტოფილის, პომიდვრის, კიტრის, ხახვისა და საზამთროს კულტურებში სხვადასხვა სოკოვანი დაავადებების წინააღმდეგ.

პრეპარატის მოქმედების მექანიზმი:

მანკოცების მოქმედების მექანიზმი არის კონტაქტური, ხოლო ციმოქსანილის კონტაქტურ-სისტემური. მანკოცები უზრუნველყოფს სოკოს ფერმენტებში სულფაჰიდრალის (SH) შეჩერებას და სოკოს ფერმენტების ფუნქციონირების დარღვევას. ციმოქსანილი კი უზრუნველყოფს სოკოს სპორების გამრავლების შეფერხებას. თრგუნავს სოკოების სპორულაციას მათ უჯრედებში რნმ-ის ბიოსინთეზის ინჰიბირებით. ციმოქსანილი, სისტემური მოქმედების აქტიური ნივთიერებაა, ასევე მოძრაობს ფოთლის ზედა მხრიდან ქვედა მხარეს (ტრანსლამინარული შეღწევა) და გადანაწილდება ფოთოლში (ადგილობრივი სისტემური მოძრაობა). ეს უზრუნველყოფს ნალექის მიერ ჩამორეცხვისადმი წინააღმდეგობას და ფოთლების არასრული დაფარვის კომპენსირების უნარს სამუშაო ხსნარით, რაც მნიშვნელოვანია ნათესების ეფექტურად დასაცავად ნაცრისგან, გვიანი სიწითლისგან და პერენოსპოროზისგან. ციმოქსანილი არის კონტაქტური ფუნგიციდი, დამცავი და სამკურნალო მოქმედებით. მოქმედების მექანიზმით იგი შუალედურ პოზიციას იკავებს სისტემურ და არასისტემურ ფუნგიციდებს შორის.

პრეპარატის გამოყენების უპირატესობები:

- იგი გამოიყენება სოფლის მეურნეობაში სხვა ფუნგიციდებთან ნარევებში;
- სამეურნეო ნაკვეთების, ბოსტნეულისა და ხილის კულტურების დაავადებების წინააღმდეგ;
- დაავადებების საუკეთესოდ მართვისთვის სასურველია დაავადებების სიმპტომების გამოვლენისთანავე მისი გამოყენება;
- შეიცავს მცენარისთვის ხელმისაწვდომ მანგანუმს და თუთიას;
- ამ პრეპარატს აქვს შესანიშნავი პრევენციული, თერაპიული და ანტისპორულაციური ეფექტი. გარდა ამისა, ციმოქსანილი ავლენს მაღალ სამკურნალო თვისებებს და მოქმედებს როგორც სპორულაციის ინჰიბიტორი;

პრეპარატის გამოყენების რეკომენდაციები:

- დამცავი მოქმედების ხანგრძლივობა მხოლოდ 4-6 დღე, ამიტომ მისი გამოყენება რეკომენდებულია დამცავი, კონტაქტური და სისტემური მოქმედების სხვა ფუნგიციდებთან კომბინაციაში;
  თავსებადია ხშირად გამოყენებულ პესტიციდებთან. არ არის თავსებადი გოგირდოვან და შაბიამან, ან ტუტე ხსნარებთან;
- პრეპარატის გამოყენება, სეზონის დასაწყისში, ეხმარება დაავადებების პრევენციას შუა სეზონურ პერიოდში;
- დამუშავებებს შორის ინტერვალი ნორმალურ პირობებში უნდა იყოს 10-14 დღე, თუმცა რიგ შემთხვევებში დამუშავებებს შორის ინტერვალი უნდა შემცირდეს 7-10 დღემდე;

კულტურა	დაავადება	ხარჯვის ნორმა (კგ/ჰა)	ლოდინის პერიოდი (გამოყენების ჯერადობა)
ვაზი	ჭრაქი	2.5-3	20(4)
კარტოფილი	ფიტოფტორა ალტერნარიოზი	2.5-3	20(3)
პომიდორი (ღია და დახურული გრუნტი)	ფიტოფტორა ალტერნარიოზი	2.5-3	10(4) 3(4)
კიტრი (ღია და დახურული გრუნტი)	პერენოსპოროზი	2.5-3	20(3) 8(3)
ხახვი	პერენოსპოროზი	2.5-3	20(3)
საზამთრო	საზამთროს ჭრაქი წერნაგი	2.5-3	-(3-4)



430 გ/ლ
C16H22ClN3O

მუსტანგი



მოქმედი ნივთიერება:
ტებუკონაზოლი 430 გ / ლ

პრეპარატული ფორმა: სუსპენზია კონცენტრატი

შეფუთვა: 0.5 ლ, 1 ლ

მწარმოებელი: Shandong Binnong Technology Co. Ltd, ჩინეთი

ტებუკონაზოლი გამოიყენება ხორბლის ქერისა და შვრიის სათესლე მასალების დასამუშავებლად, იგი მიეკუთვნება ტრიაზოლინის კლასის წარმომადგენლებს, რომელიც გამოიყენება მცენარეთა დაცვის საშუალებების ეფექტური წარმოებისათვის.

პრეპარატის მოქმედების მექანიზმი:

პრეპარატი თრგუნავს დაავადებებს, რომლებიც სოკოს ზოოსპორებით ვრცელდებიან, როგორც მარცვლის ზედაპირზე, ისე მის შიგნით ჩანასახში. აქტიური ნივთიერება ტებუკონაზოლი აფერხებს ერგოსტეროლის სინთეზს პათოგენების უჯრედებში, რომელიც ხელს უშლის უჯრედული მემბრანების წარმოქმნას, არღვევს მეტაბოლურ პროცესებს, რაც იწვევს პათოგენების სიკვდილს, შესაბამისად, უზრუნველყოფს სწრაფ და ხანგრძლივ ფუნგიციდურ ეფექტს.

პრეპარატის გამოყენების უპირატესობები:

- ხასიათდება პროფილაქტიკური, სამკურნალო და დამცავი მოქმედებით;
- აქვს ზრდის მარეგულირებელი ეფექტი;
- აჩერებს დაავადების განვითარებას ადრეულ ეტაპებზე;
- მისი გამოყენება შეიძლება დამოუკიდებლად, ასევე კომბინაციაში სხვა პრეპარატებთან;
- აუმჯობესებს მცენარეების ფიზიოლოგიურ მდგომარეობას და ხელს უშლის მათ ნაადრევ დაბერებას;
- ახასიათებს დამცავი მოქმედების ხანგრძლივი პერიოდი;
- უზრუნველყოფს ფოთლის დაავადებების ეფექტურ პრევენციას;
- მარცვლოვანი კულტურების, ყველაზე მავნე დაავადებებისგან დაცვის, სისტემების შესანიშნავი კომპონენტია;
- ახასიათებს მაღალი საწყისი აქტივობა შესხურებიდან რამდენიმე საათში;
- დამცავი მოქმედების ხანგრძლივი პერიოდი მთელი ვეგეტაციის განმავლობაში;

პრეპარატის გამოყენების რეკომენდაციები:

- პრეპარატით წამლობა შეიძლება ნებისმიერი აპარატურით, რომელიც თესლის დასამუშავებლად გამოიყენება და თანაბრად გადაანაწილებს პრეპარატს თესლის ზედაპირზე (დააკმაყოფილებს სანიტარულ - ჰიგიენურ მოთხოვნებს);
- პრეპარატი ინახება მშრალ, პესტიციდების შესანახად განკუთვნილ, საწყობში;
- ფუნგიციდური მკურნალობა უნდა ჩატარდეს ადრეულ, ან საღამოს საათებში +15-დან +25°C-მდე ტემპერატურაზე;
- სამუშაო ხსნარი რეკომენდებულია მომზადდეს უშუალოდ ფუნგიციდური დამუშავებისთანავე;

კულტურა	დაავადება	ხარჯვის ნორმა ლ/ჰა	ლოდინის პერიოდი
ვაზი	ნაცარი *(Perenospora viticola)*	0,2	21
ვაშლი	ნაცარი *(Podosphaera leucotricha)*	0,3	7
კიტრი (ღია გრუნტი)	ნაცარი *(Erysiphe cichoracearum)*	0,15	7
ატამი	ნაცარი *(Spaeroheca pannosa)*, ნაყოფის სიდამპლე *(Monilia cinerea)*	0,3	7
თხილი	ნაცარი *(Philaloqtinia coryli)*	0,3-0,4	20(3)
ხორბალი	ჟანგა *(Puccinia recondite)*, სეპტორიოზი *(Septoria tritici)*, ნაცარი *(Erysiphe graminis)*	0,25	15
ვარდი ეთერ-ზეთოვანი	ჟანგა *(Pharagmidium subcortici-um)*, ნაცარი *(Spaerotheca panosa)*	0,5-1,5	20(2)

MIUCHEM COMPANY LIMITED

ნიუ რაიდ

90 გ/კგ

C21H22ClNO4

ნიუ რაიდ



მოქმედი ნივთიერება: ბოსკალიდი 50%

პრეპარატული ფორმა: წყალში ხსნადი გრანულები

შეფუთვა: 0.25 კგ

მწარმოებელი: Miuchem Company Limited, ჩინეთი

ნიუ რაიდ მაღალეფექტური ფუნგიციდია ისეთ კულტურებში გამოსაყენებლად, როგორიცაა: ვაზი, კარტოფილი, ფოთლოვანი ბოსტნეული, ხახვი, წიწაკა, ბულგარული წიწაკა და ა.შ. პრეპარატი უმკლავდება ჭრაქს, ნაცარს, სიდამპლეებს, ალტერნარიას, ვაზის ნაცარს, ღეროს სიდამპლეს და კულტურებში გავრცელებულ სხვა დაავადებებს.

პრეპარატის მოქმედების მექანიზმი:

ნიუ რაიდის გამოყენება რეკომენდებულია დაავადების დაწყებამდე, დაბალი დოზით, პროფილაქტიკური მკურნალობისთვის. დაავადების დაწყების შემდგომ, აუცილებელია პრეპარატის დოზა გაიზარდოს.

პრეპარატის გამოყენების უპირატესობები:

- პრეპარატი დაავადებათა ფართო სპექტრს უმკლავდება;
- აქვს მკვეთად გამოხატული ფუნგიციდური მოქმედება;
- ეფექტურია კულტურათა ფართო სპექტრისთვის;
- არ ახასიათებს ფიტოტოქსიკურობა; არ იწვევს რეზისტენტობას (შეჩვევას);

პრეპარატის გამოყენების რეკომენდაციები:

- არ გამოიყენოთ პრეპარატი ქარიან დღეს, ან თუ ნალექი მოსალოდნელია წამლობიდან 1 საათში;
- გამოყენების უსაფრთხო ინტერვალია 7 დღე, ხოლო ყურძენზე გამოყენება შესაძლებელია თითოეულ სეზონზე 3-ჯერ;
- ცალკეული კულტურებისთვის საჭირო დოზების შესარჩევად, ყურადღებით გაეცანით პრეპარატის ტარაზე დატანილ ინსტრუქციას;

კულტურა	დაავადება	ხარჯვის ნორმა კგ/ჰა	ჯერადობა/ლოდინის პერიოდი
ვაზი	Botrytis(Botryti s cinerea) პუდრისებრი მილდიუ Uncinul a necator) (Erysiphe neca-tor) ვაზის ნაცარი	1-1,2	პრევენციის მიზნით გამოიყენეთ სრულ ყვავილობას შორის (როცა ყვავილების 50% დაცვენილია და კენკროვანი ეტაპია დაწყებული, მაგრამ მტევნის დახურვამდე გამოიყენეთ მაღალი მოცულობით, სრული შესხურებით. წყლის მოცულობა დამოკიდებულია მოსავლის ზომასა და ზრდის ეტაპზე. უზრუნველყავით მტევნების სრულყოფილად დასველება, NEW RIDE უნდა იქნას გამოყენებული, ერთჯერადად botrytis- ის კონტროლის პროგრამით. კარგი რეზისტენტულობის მართვისთვის, სხვა დამუშავება უნდა გაკეთდეს არამონათესავე ბოტრიტისის საწინააღმდეგოდ. Botrytis-ის კონტროლის პროგრამა ერთდროულად გააკონტროლებს მილდიუს, ამრიგად, ეს ჩაანაცვლებს ფუნგიციდის გამოყენებას 14 დღიანი გამანადგურებელი პროგრამის დროს, მილდიუს ძალიან კრიტიკულ ეტაპზე. NEW RIDE უნდა იქნას გამოყენებული როგორც ერთჯერადად მილდიუს კონტროლის პროგრამაში. კარგი რეზისტენტულობისთვის, პრეპარატის სხვა შეყვანა უნდა გაკეთდეს არანათესაური პუდრისებრი მილდიუ ფუნგიციდით. არ გამოიყენოთ ორზე მეტი შეყვანა სეზონზე
კარტოფილი	ალტერნარიოზი	0.15	გამოიყენეთ როგორც დამცავი საშუალება 2 შესხურებით 10-14 დღიანი ინტერვალით
ფოთლოვანი ბოსტნეული	(Sclerotinia minor, S. sclerotorium)-მილდიუ	1	გამოიყენეთ დაავადების განვითარების დაწყებამდე, შესხურება გაიმეორეთ 7-14 დღის ინტერვალით. შეამცირეთ ინტერვალი თუ დაავადება სწრაფად პროგრესირდება.
ხახვი	(Botrytis allii)-ღეროს სიდამპლე	0.3-0.5	10(2)
წიწაკა, ბულგარული, ბადრიჯანი	(Alternaria sola-ni)-ალტერნარიოზი	0.15	

კიტრი	ჭრაქი, ბოტრიტისი, ალტერნარია	0.15	
პომიდორი	ჭრაქი, ბოტრიტისი, ალტერნარია	0.4-0.7	
ბოლოკი		0.15	
კაკლოვნები (ნუში, თხილი, კაკალი, ფისტა)	ნაცარი, ნაცრისფერი სიდამპლე შავი სილაქავე	1.0	14(2)
კურკოვნები (ატამი, გარგარი, ალუბალი, ქლიავი)	ნაცარი, სიდამპლეები	1.0	14(2)
კენკროვნები		0.6-0.9	
ციტრუსი	ნაცარი	0.5	28(2)
ნიორი	ბოტრიტირის, ჭრაქი,	0.3-0.5	10 (2)
ვაშლი	ჭრაქი	0.75	
მზესუმზირა	სკლეროტინიოზი	0.4-0.5	10 (2)
ვაშლი, მსხალი	ნაცარი, ნაცრისფერი სიდამპლე	0.5	10 (2)



© Giorgi Ninoshvili Sopho Kharazishvili

100 გ/ლ
C13H15Cl2N3

პენტოსი



მოქმედი ნივთიერება:
პენკონაზოლი 100 გ / ლ

პრეპარატული ფორმა: ემულსია კონცენტრატი

შეფუთვა: 0.25ლ, 1 ლ,

მწარმოებელი: Zhejinang Heben, ჩინეთი

მაღალეფექტური ფუნგიციდი პენტოსი გამოიყენება ვაზის, თესლოვანი და კურკოვანი ხეხილის, ბოსტნეულის, დეკორატიული კულტურების, კენკროვნების ნაცროვანი დაავადებებისგან დასაცავად.

პრეპარატის მოქმედების მექანიზმი:

პრეპარატს გააჩნია სისტემური და ტრანსლამინარული მოქმედება. პესტიციდი სწრაფად აღწევს მცენარეში და ვრცელდება მასში, რაც უზრუნველყოფს ხანგრძლივ დაცვას, ამცირებს წვიმით ჩამორეცხვის საშიშროებას. პენკონაზოლი თრგუნავს სტეროლების ბიოსინთეზს. მოძრაობს აკროპეტალურად (ზემოდან ქვემოთ გადაადგილდება) და თრგუნავს ინფექციას სპორების ზრდის პერიოდში. ის აღწევს მცენარის ქსოვილში, მთლიანად თრგუნავს სუბტიკულარული მიცელიუმის ზრდას, რაც ამცირებს სპორების წარმოქმნას.

პრეპარატის გამოყენების უპირატესობები:

- გამოიყენება ნებისმიერ კულტურაზე, სადაც ნაცრის პრობლემაა;
- პრევენციული გამოყენება საუკეთესო შედეგს იძლევა;
- იცავს მცენარის ყველა ნაწილს და გააჩნია ხანგრძლივი სისტემური მოქმედება;
- აუმჯობესებს მოსავლის ხარისხს;
- სწრაფად შეიწოვება, რაც ამცირებს წვიმით ჩამორეცხვის საშიშროებას;
- ინარჩუნებს მაღალეფექტურობას ჰაერის მაღალ ტემპერატურაზე;

პრეპარატის გამოყენების რეკომენდაციები:

- სამუშაო სითხის მოქმედების სიჩქარე დამოკიდებულია კულტურის განვითარების ფაზაზე და დაავადების განვითარების ხარისხზე;
- პრეპარატის შენახვა: პრეპარატი ინახება მშრალ, ბნელ ოთახში 0°C-დან +35°C-მდე ტემპერატურაზე;
- შესაწამლად გამოიყენეთ შესაბამისი აღჭურვილობა და ტანსაცმელი;



კულტურა	დაავადება	ხაჯვის ნორმა (ლ/ჰა; კგ/ჰა)	გამოყენების ხერხი, დრო, თავისებურება	ლოდინის პერიოდი, ჯერადობა
კიტრი (ღია და დახურული გრუნტი)	ნაცარი *(Erysiphe cichoracearum f. cucurbitacearum, Sphaerotheca fuliginea.f.cucumis.),*ნაცარი *(Erysiphe cichoracearum f.cucurbitacearum, Sphaerotheca fuliginea.f.cucumis.)*	0.15 0.25-0.4	შესხურება ვეგეტაციის პერიოდში 0,0.25% სამუშაო ხსნარით	20(2) 3(3)
ვაშლი	ნაცარი *(Podosphaera leucotricha Salm)*	0.3-0.4	შესხურება ვეგეტაციის პერიოდში	20(4)
ვაზი	ნაცარი *(Uncinula nevator Burril.)*	0.15-0.25	შესხურება ვეგეტაციის პერიოდში 0.15-0.025% სამუშაო ხსნარით	21(3)
ატამი	ნაცარი *(Sphaerotheca pannosa Lev.var. percicae Woronich)*	0.5-1	შესხურება ვეგეტაციის პერიოდში 0.15-0.025% სამუშაო ხსნარით	20(4)
მარწყვი	ნაცარი *(Sphaerotheca pannosa Lev.var. percicae Woronich)*	0.3-0.5	შესხურება ყვავილობამდე და მოსავლის აღების შემდეგ 0.05% სამუშაო ხსნარით	-(2)
შავი მოცხარი	ამერიკული ნაცარი *(Sphaerotheca)*	0.2-0.4	შესხურება ვეგეტაციის პერიოდში 0.25%-0,05%	20(4)
შავი მოცხარი (სადედე)	ნაცარი *(Sphaerotheca pannosa f.rosae)*	0.3-0.4	შესხურება ვეგეტაციის პერიდოში 0.05-0.1%	20(4)
ჟოლო	მეწამული ლაქიანობა *(Coniothyrium wernsdorffiae),* ნაცრისფერი სიდამპლე *(Botrytis cinerea)*	0.3-0.6	შესხურება ვეგეტაციის პერიდოში 0.05-0.1%	-(2)
ალუბალი (სადედე)	კოკომიკოზი	0.3-0.4	შესხურება ვეგეტაციის პერიდოში 0.05-0.1%	-(2)
თხილი,კაკალი	ნაცარი *(Sphaerotheca pannosa f.rosae)*	0.3-0.4	შესხურება ვეგეტაციის პერიდოში 0.05-0.1%	20(3)
ვარდი,მიხაკი, ქოთნის ყვავილები	ნაცარი *(Sphaerotheca pannosa f.rosae),* ჟანგა *(Phragmidium subcorticum (Schr.)*	0.4-1	შესხურება ვეგეტაციის პერიდოში 0.05-0.1%	14(3-4)
სამკურნალო მცენარეები	ნაცარი *(Sphaerotheca pannosa f.rosae),* ჟანგა *(Pharagmidium subcorticium)*	0.15-0.2	შესხურება ვეგეტაციის პერიდოში 0.05-0.1%	(2)

HBP 禾本

640 გ/კგ
C15H21NO4

პლანეტა

პლანეტა



მოქმედი ნივთიერება:
მეტალაქსილი + მანკოცები 640 + 80 გ / კგ

პრეპარატული ფორმა: სველებადი ფხვნილი

შეფუთვა: 0.25 კგ, 0.5 კგ, 1 კგ

მწარმოებელი: Zhejinang Heben, ჩინეთი

მაღალეფექტური, კომბინირებული, სისტემურ-კონტაქტური მოქმედების ფუნგიციდი, აქტიურად გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო კულტურებში. პლანეტა გამოიყენება ვაზის, ბოსტნეული კულტურების, კარტოფილისა და სხვა ტექნიკური კულტურების ჭრაქოვანი დაავადებებისგან დასაცავად.

პრეპარატის მოქმედების მექანიზმი:

ბიოლოგიურად აქტიური მოქმედი ნივთიერებების კომბინაცია განაპირობებს მცენარის საიმედო დაცვას რთულ კლიმატურ პირობებშიც. ახასიათებს მკვეთრად გამოკვეთილი სისტემური მოქმედება. კარგად გადაადგილდება მცენარეში, როგორც ბაზიპეტალურად, ისე აკროპეტალურად (ქვემოდან ზემოთ და ზემოდან ქვემოთ). პლანეტას აქვს პრევენციული, სამკურნალო და დაავადების აღმოფხვრის კონტაქტურ-სისტემური ეფექტი. ერთ-ერთი კომპონენტი მეტალაქსილი ავლენს სისტემურ თვისებებს. მცენარეში აღწევს ფოთლებითა და ღეროებით, დამუშავებიდან 1 საათში. შეუძლია მცენარის განკურნება დაავადების ადრეულ სტადიაზე. აქვს ხანგრძლივი დაცვითი ეფექტი. რაც შეეხება მანკოცებს, მას ახასიათებს კონტაქტური მოქმედება, რაც აძლიერებს ეფექტს ფოთლის ზედაპირზე დამცავი ფენის შექმნით.

პრეპარატის გამოყენების უპირატესობები:

- უზრუნველყოფს კულტურის დაცვას დამუშავებიდან 10-14 დღის განმავლობაში;
- ზღუდავს მცენარეების დაზიანებას, ხელს უწყობს მათ აღდგენას;
- პრეპარატის კომპონენტები განაპირობებენ ფოთლის ზედაპირზე შეკავების მაღალ უნარს, რაც ხელს უშლის, ნალექის გავლენით, პრეპარატის ჩამორეცხვას დამუშავებული მცენარის ზედაპირებიდან;
- ორი აქტიური ნივთიერება, რომლებიც მიეკუთვნება სხვადასხვა ქიმიურ ჯგუფს, ხელს უშლის ფიტოპათოგენურ სოკოებში რეზისტენტული პოპულაციების წარმოქმნას;
  გამოიყენება როგორც პროფილაქტიკურად (მასობრივი განვითარების თავიდან ასაცილებლად), ასევე დაავადების მასობრივი გავრცელების შემთხვევაში (აქვს სამკურნალო თვისებები);
- პესტიციდის სწორი გამოყენებისას, მას არ გააჩნია ფიტოტოქსიკურობა;
- ზრდის კულტურის გამძლეობას და მოსავლიანობას;



პრეპარატის გამოყენების რეკომენდაციები:

- სხვა პესტიციდებთან შერევამდე უნდა შემოწმდეს თავსებადობაზე, თითოეულ შემთხვევაში;
- შეწამვლა რეკომენდებულია ჩატარდეს დილით, ან საღამოს, მშვიდ ამინდში;
- შეწამვლა უნდა მოხდეს სპეციალური აღჭურვილობით და აპარატით;
- პირველი მკურნალობა რეკომენდებულია ჩატარდეს დაავადების გამოვლენამდე, ხოლო შემდგომი 10-14 დღის ინტერვალით;
- არ არის რეკომენდებული პრეპარატის გავრცელება საჰაერო გზით;
- აკრძალულია პრეპარატის გამოყენება სათევზაო წყალსაცავის ირგვლივ;

კულტურა	დაავადება	ხარჯვის ნორმა (კგ/ჰა)	ლოდინის პერიოდი (გამოყენების ჯერადობა)
ვაზი	ჭრაქი *(mildew) (Plasmopara viticola)*	2-2.5	20(4)
კარტოფილი	ფიტოფთორა *(Phytophthora infestans)*, ალტერნარიოზი *(Alternaria solani El. et Mart.)*	2-2.5	20(3)
პომიდორი (ღია და დახურული გრუნტი)	ფიტოფტოროზი *(Phytophthora infestans)*, ალტერნარიოზი *(Alternaria solani)*	2-2.5	10(4) 3(4)
კიტრი (ღია და დახურული გრუნტი)	პერენოსპოროზი *(Pseudoperonospora cubensis)*, ასკოქიტოზი *(Ascochyta Lycopersici (Plower) Brun.)*	2-2.5	20(3) 8(3)
ხახვი	პერენოსპოროზი *(PEronospora destructor)*	2-2.5	20(3)
საზამთრო	საზამთროს ჭრაქი *(mildew)*	2-2.5	3-4



722 გ/ლ
C9H21ClN2O2

პრევექსი



მოქმედი ნივთიერება:
პროპამოკარბ ჰიდროქლორიდი 722 გ /ლ

პრეპარატული ფორმა: წყალში ხსნადი პრეპარატი

შეფუთვა: 0,5 ლ, 1ლ

მწარმოებელი: Jiangsu Heben Biochemical Co.Ltd, ჩინეთი

პრევექსი არის ორგანული მოქმედი ნივთიერების მქონე სისტემური ფუნგიციდი, რომელსაც გააჩნია სპეციფიკური აქტივობა ნაცრისა და სიდამპლის გამომწვევი სოკოების წინააღმდეგ, რომლებიც აავადებენ თესლებს, ღეროებს, ფოთლებსა და ნაყოფს.

პრეპარატის მოქმედების მექანიზმი:

ნიადაგური შეტანის დროს , ნიადაგის მორწყვის შემთხვევაში იგი სწრაფად შთაინთქმება ფესვების მიერ და აკროპეტალურად (ქვემოდან ზემოთ) გადანაწილდება მთელ მცენარეში, ხოლო ფოთლოვანი შესხურებისას იგი სწრაფად შთაინთქმება ბაგეებიდან ფოთოლში და ისე გადანაწილდება მცენარეზე. სისტემური მოქმედების ფუნგიციდს აქვს როგორც დამცავი, ასევე პროფილაქტიკური ეფექტი. პროპამოკარბის ჰიდროქლორიდი არღვევს მემბრანული სტრუქტურების ბიოსინთეზს, ანელებს და აფერხებს სპორების აღმოცენებას და მიცელიუმის განვითარებას.

პრეპარატის გამოყენების უპირატესობები:

- თავსებადია ბევრ პესტიციდთან გარდა ძლიერი ტუტე და სპილენძის შემცველ პრეპარატებისა;
- ახასიათებს დაავადებებისგან დაცვის ხანგრძლივი ეფექტი;
- იცავს მცენარეს (ფესვს, ღეროს, ყლორტს, ფოთოლს, ნაყოფს) სრულად;
- ახასიათებს მრავალმხრივი სისტემური მოქმედება;
- არის აქტიური ზრდის სტიმულატორი;
- დამუშავების ოპტიმალური ტემპერატურაა 18-25°C;

პრეპარატის გამოყენების რეკომენდაციები:

- გამოყენებამდე რეკომენდებულია, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, გადამოწმდეს ქიმიური და ბიოლოგიური თავსებადობა;
- მოიხსენით პერსონალური დამცავი მოწყობილობა შემდეგი თანმიმდევრობით: ხელიდან მოხსნის გარეშე დაიბანეთ ხელთათმანები 5%-იანი სოდის ხსნარით, მოიხსენით სათვალე, რესპირატორი, ჩექმები და სპეცტანსაცმელი. გარეცხეთ და დეზინფექცია გაუკეთეთ რესპირატორს და სათვალეებს,

ხელთათმანები ხელახლა გარეცხეთ საპნით და მოიხსენით;

- არ შეისუნთქოთ წყლის ორთქლი შესხურებისას;
- პრეპარატთან მუშაობისას არ გქონდეთ კონტაქტი კანთან და თვალებთან;
- სამუშაო ხსნარი უნდა მომზადდეს შესხურების წინ;
- პრეპარატით დამუშავება უნდა დაიწყოს ინფექციის გამოჩენამდე, ხელსაყრელ ამინდობრივ პირობებში;
- წინააღმდეგობის შემთხვევები არ დაფიქსირებულა, თუმცა მისი წარმოშობის თავიდან ასაცილებლად, მედიკამენტები უნდა მონაცვლეობდეს სხვადასხვა ქიმიური ჯგუფის ფუნგიციდებთან;
- გრუნტის დამუშავება უნდა ჩატარდეს წვიმამდე 2-3 საათით ადრე;
- მოერიდეთ სამუშაო ხსნარის შესხურებას მეზობელ კულტურებზე;
- რეკომენდებულია ჩითილების გადარგვამდე ნიადაგის მომზადება 2–3 დღით ადრე;

კულტურა	დაავადება	ხარჯვის ნორმა ლ/ჰა	ლოდინის პერიოდი (გამოყ. ჯერადობა)	გამოყენების ხერხი, ხარჯვის ნორმა
პომიდორი, კიტრი (ღია და დახურულ გრუნტში)	ფესვის სიდამპლე, ჭრაქი *(Sclerotinia Sclerotiorum, Phytopthora Capsici)*	2	- (2)	შესხურება ვეგეტაციის პერიოდში 0,2% სამუშაო ხსნარით. 500 ლ წყალში. ნიადაგის შესხურება დათესვის შემდეგ 0.25% სამუშაო ხსნარით ჩითილების მორწყვა გადარგვის შემდეგ 0.15% სამუშაო ხსნარით.
საზამთროს, სალათის, წიწაკის,კომბოსტოს, ბადრიჯნის ჩითილები	ფესვის ღეროს სიდამპლეები *(Erisyphe cihorachearum, alternaria solani, pfoma lingam, Pectobacterium carrotovorum)*	2-4	3 (2)	შესხურება ვეგეტაციის პერიოდში 0,2% სამუშაო ხსნარით. 500 ლ წყალში. ჩითილების მორწყვა გადარგვის შემდეგ 0.15% სამუშაო ხსნარით 3-4 კვირის ინტერვალით.



250 გ/ლ
C19H17Cl2N3O3

პრივატი



მოქმედი ნივთიერება:
დიფენოკონაზოლი 250 გ / ლ

პრეპარატული ფორმა: ემულსია კონცენტრატი

შეფუთვა: 0.25ლ

მწარმოებელი: Zhejinang Heben, ჩინეთი

პრივატს გააჩნია ეფექტური მოქმედება მაღალი ინფექციური ფონის დროსაც, უზრუნველყოფს როგორც ფოთლების, ასევე ნაყოფების მაღალეფექტურ დაცვას. პრეპარატს ახასიათებს მოქმედების ხანგრძლივობა და დაბალი ხარჯვის ნორმა. პრივატს გააჩნია საუკეთესო პროფილაქტიკური და სამკურნალო მოქმედება.

პრეპარატის გამოყენების უპირატესობები:

- ხანგრძლივი მოქმედება;
- მცენარის ქსოვილებში სწრაფი შეღწევა;
- მასტიმულირებული მოქმედება მცენარეზე;
- გამოყენების მოქნილი დრო (კოკრები, ყვავილობა, გამონასკვა, ნაყოფის ფორმირება);
- დროისა და დანახარჯების ეკონომია;
- საუკეთესო პროფილაქტიკური და სამკურნალო თვისებები;
- ყველაზე საიმედო და ეფექტური ფუნგიციდი ტრიაზოლის ქიმიური კლასიდან, მნიშვნელოვანია ხილის დაავადებებთან საბრძოლველად;
- ზრდის კულტურების მოსავლიანობას და მათ ხარისხს;
- ხელს უშლის დაავადებების განვითარებას ხილის შენახვისას;
- ახასიათებს სწრაფი სისტემური მოქმედება. წვიმისგან აღარ ირეცხება გამოყენებიდან 2 საათის შემდეგ;

პრეპარატის გამოყენების რეკომენდაციები:

- შესხურება რეკომენდებულია ჩატარდეს დილის, ან საღამოს საათებში უნალექო/უქარო ამინდში, რაც ხელს უშლის წამლის მეზობელ კულტურებზე გადატანას;
- სამუშაო ხსნარი უნდა მომზადდეს უშუალოდ შესხურების წინ;



- რეზისტენტობის თავიდან ასაცილებლად რეკომენდებულია ფუნგიციდების მონაცვლეობა სხვადასხვა ქიმიური ჯგუფის პრეპარატებთან , რომლებიც განსხვავდებიან მოქმედების მექანიზმით;
- პრეპარატი შეინახეთ მშრალ, ბნელ ოთახში (ტემპერატურა: +5°C-დან +35 °C-მდე);

კულტურა	დაავდება	ხარჯვის ნორმა (ლ/ჰა)	ლოდინის პერიოდი, გამოყენების ჯერადობა
ვაშლი	ქეცი *(Venturia inaequalis Winter.)*, ნაცარი *(Podosphaera leucotrica)*	0.2-0.3	20(4)
მსხალი	ალტერნარიოზი *(Alternaria alternate)*	0.3	14 (4)
ატამი	ფოთლის სიხუჭუჭე *(Taphrina deformans Fuck.)*	0.3	14 (2)
გარგარი	კლასტეროსპოროზი (*Coryneum beijerinckii)*, ქეცი *(Venturia inaequalis Winter.)*	0.2-0.3	14 (2)
ალუბალი,ბალი	კოკომიკოზი *(Blumeriella jaapii)*, *(Coccomyceces –stigmina carpophila)*	0.2	14 (2)
ციტრუსები	ქეცი *(Sporotrichum citri Butl.)*, ალტერნარიოზი *(Aspergilus niger Van Tiegh.)*	0.5-0.6	20(3)



250 გ/ლ

C15H17Cl2N3O2

პროპკონაზოლი



მოქმედი ნივთიერება:
პროპიკონაზოლი 250 გ / ლ

პრეპარატული ფორმა: ემულსია კონცენტრატი

შეფუთვა: 1ლ

მწარმოებელი: Nanjing Bestgreen Chemical Co.Ltd, ჩინეთი

ფართო სპექტრის სისტემური მოქმედების ფუნგიციდი გამოიყენება ვაზის, კურკოვანი, თესლოვანი, გოგროვანი, პარკოსანი და სხვადასხვა ბოსტნეული კულტურების სოკოვანი დაავადებებისგან დასაცავად.

პრეპარატის მოქმედების მექანიზმი:

პროპკონაზოლი სწრაფად იჭრება მცენარეში და ახასიათებს მაღალი აკროპეტალური და ბაზიპეტალური გადააადგილების უნარი. ის კარგად ნაწილდება მცენარეში და უზრუნველყოფს მის ხანგრძლივ და ეფექტურ დაცვას.

პრეპარატის გამოყენების უპირატესობები:

- გამოყენების ფართო სპექტრი;
- გამოიყენება განვითარების ყველა სტადიაში;
- ხანგრძლივი დაცვითი ეფექტი;
- ხარჯვის დაბალი ნორმა;
- იცავს მცენარეს ერთდროულად რამდენიმე დაავადებისგან (ქეცი, ნაცარი);
- ასტიმულირებს სანაყოფე კვირტების ჩასახვას;
- მოქნილი გამოყენების დრო (ყვავილობა, ნაყოფების ზრდა);
- არ ახასიათებს ფიტოტოქსიკურობა;
- არ ირეცხება წვიმით შესხურებიდან 2 საათში;
- ახასიათებს დამცავი და სამკურნალო მოქმედება;
- თავსებადია სხვა პესტიციდებთან კომბინირებულ ნაზავებში;

პრეპარატის გამოყენების რეკომენდაციები:

- პროფილაქტიკური დამუშავება, ან დაავადების ადრეულ სტადიაში პრეპარატის გამოყენება იძლევა საუკეთესო შედეგს;
- არ გამოიყენოთ პრეპარატი ფოთოლზე ნამის შემთხვევაში, ან თუ შესხურების შემდეგ, 2 საათის

განმავლობაში ნავარაუდევია ნალექი;

- პრეპარატით დამუშავება უნდა მოხდეს კულტურებში დაავადების გამოვლენისთანავე;
- საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია განმეორებითი შეწამვლა 21 დღის შემდეგ;
- ხსნარი არ უნდა მომზადდეს საკვებად გამოსაყენებელ ჭურჭელში;
- შესხურება უნდა განხორციელდეს შესაბამისი აღჭურვილობით: სპეცტანსაცმელი, რესპირატორი, სათვალე და ხელთათმანები;
- თუ პრეპარატი მოგხვდებათ თვალზე, ან კანზე, დაუყოვნებლივ ჩამოიბანეთ გამდინარე წყლით;
- შეინახეთ ბავშვებისთვის მიუწვდომელ ადგილას, წამლებისა და საკვებისგან მოშორებით;

კულტურა	დაავადება	ხარჯვის ნორმა (კგ/ჰა)	ლოდინის პერიოდი,დღე
ვაშლი,მსხალი	ჟანგა *(Gymnosporangium)*, *ნაყოფების ლპობა (Monilia mali)*	0.25-0.3	30(2)
სამარცვლე პარკოსნები	სეპტორიოზი *(Phaseolus vulgaris (L.)*, *ბაქტერიოზი (Xanthomonas phaseoli, Corynebacterium flaccumfaciens, Pseudomonas phaseolicola)*, ბარდის ლაქიანობა *(Pseudomonas pisi Sackett)*	0.15	20(3)
კიტრი	ნაცარი *(Erysiphe cichoracearum f. cucurbitacearum, Sphaerotheca fuliginea. f. cucumis.)*	0.4	25(3)
ვაზი	ნაცარი *(Peronospora viticola)*, სიდამპლე *(Guignardia bidwellii Vialet Rav.)*	0.2-0.25	30(4)
ხორბალი, ქერი	მურა ჟანგა, ღეროს ყვითელი ჟანგა, ნაცარი, სეპტორიოზი, ხორბლის ნაცარი *(Erysiphe graminis)*, ქერის ნაცარი *(Oidium monilioides Link.)*, მურა ჟანგა *(Puccinia recondita Rob. et Desm. f. tritici Eriks)*, ღეროს ყვითელი ჟანგა *(Puccinia striiformis West.)*, ჰელმინტოსპორიოზი *(Helminthosporium sativum P.)*, სეპტორიოზი *(Septoria tritici Rob. et Desm.)*	0.4-0.5	20(3)
ატამი,ქლიავი, გარგარი	ნაცარი *(Sphaerotheca pannosa Lev.var. percicae Woronich)*	0.4-0.5	20(3)
რაფსი	თეთრი სილაქავე *(Albugo candida Ktze.)*, ნაცრისფერი სიდამპლე (ბოტრიდიოზი) *(Botrytis cinerea)*, რაფსის თეთრი სიდამპლე (სკლეროტინიოზი) *(Sclerotinia sclerotiorum)*, რაფსის ფომოზი (ღეროსა და ფესვის კიბო), *(Phoma lingam Desm.)*, რაფსის ალტერნარიოზი (შავი სილაქავე), *(Alternaria brassicae Sacc.)*, რაფსის ნაცარი (პერენოსპოროზი) *(Peronospora brassicae Gaeum.)*, რაფსის ობი *(Typhula incarnata (Fr.) jasch., T. ishikariensis Imail, T. sclerotioides Remsber)*	0.5	25(2)

შაქრის ჭარხალი, თხილი	ჭარხლის ცერკოსპოროზი, *(Cercospora beticola Sacc.)*, ნაცარი ან პერენოსპოროზი *(Peronospora schachtii Fckl.)*, თხილის ფომოზი *(Phoma betae Frank)*, ფესვის სიდამპლე *(Phomabetae, P.debaryanum, Aponomyces levis)*, ჭარხლის ფესვურა *(Phoma betoe, Pythium ultimum Throw., Aphanomyces cochlioides Drechsler, Rhizostonia solani Kuhn.)*	0.5	25(2)
თხილი	ნაცარი *(Philalaqtinia coryli)*, ჟანგა *(Septoria populi)*	0.3-0.4	20(3)
ვარდი *(ეთერზეთოვანი)*	ნაცარი *(Philalaqtinia coryli)*, ჟანგა *(Septoria populi)*	0.5	20(2)



PARIJAT

პროტექტი

770 გ/კგ
$Cu(OH)_2$



მოქმედი ნივთიერება:
სპილენძის ჰიდროქსიდი 770 გ / კგ

პრეპარატული ფორმა: სველებადი ფხვნილი

შეფუთვა: 1 კგ

მწარმოებელი: Parijat Industries, ინდოეთი

პროტექტი არის სპილენძნაერთი ფუნგიციდი, რომელიც აკონტროლებს დაავადებათა ფართო სპექტრს, რომლებიც ვრცელდება ისეთ კულტურებში, როგორებიცაა: ფოთლის სიხუჭუჭე, კლასტერო-სპორიოზი, მელანოზი, ნეკროზი, ჭრაქი, ანთრაქნოზი, ქეცი, მონილიოზი, ფიტოპტოროზი და ა.შ.

პრეპარატის მოქმედების მექანიზმი:

პათოგენური სოკოების სპორების გაჩენისთვის ხელსაყრელ პირობებში, პრეპარატში შემავალი სპილენძი ხელს უშლის მათ აღმოცენებას. აქტიური ნივთიერება (სპილენძის ჰიდროქსიდი) იწვევს პათოგენების სასიცოცხლო აქტივობის სხვადასხვა ფუნქციურ დარღვევას (ერგოსტეროლის ბიოსინთეზის დათრგუნვა, ფერმენტების აქტივობა, რესპირატორული პროცესები, პათოგენური უჯრედების გაყოფის პროცესის დარღვევა და მისი შეღწევა მცენარეებში), რაც გამორიცხავს რეზისტენტობის ალბათობას წამლისადმი. დაბალი ლოდინის ინტერვალით, სპილენძის ჰიდროქსიდის შემადგენელი იონები აფერხებს ზოოსპორების განვითარებას, კლავს ბაქტერიებს, იცავს მცენარეს სოკოვანი დაავადებებისგან.

პრეპარატის გამოყენების უპირატესობები:

- ხელს უშლის სპორების გამრავლებას და პათოგენური უჯრედების გაყოფას;
- დამცავი მოქმედების ხანგრძლივობა, მოხმარების ოპტიმალური მაჩვენებლების გათვალისწინებით, შეადგენს 7-10 დღეს, ნალექის შემთხვევაში მკურნალობა მეორდება;
- კომპლექსურ-კრისტალური სტრუქტურა გარანტირებულად იცავს მცენარის ზედაპირს;
- დაავადებათა ფართო სპექტრის საუკეთესო კონტროლი;
- ადვილი და ეფექტური გამოყენება;
- გააჩნია მტვერგამძლე ფორმულაცია;
- პროტექტი არის შექმნილი, უმაღლესი ხარისხის ფორმულირებით, ნაწილაკების ზომა ისეა გათვლილი, რომ მოხდეს მცენარის ზედაპირის სრულყოფილი და თანაბარი დაფარვა;

პრეპარატის გამოყენების რეკომენდაციები:

- მაქსიმალური ეფექტურობა მიიღწევა მხოლოდ პერიოდული პროფილაქტიკური გამოყენებით;
- აუცილებელია დამუშავებებს შორის ინტერვალის დაცვა, დამცავი პერიოდის ხანგრძლივობის სწორად განსაზღვრა და სხვა ქიმიური ჯგუფების ფუნგიციდების მონაცვლეობა;
- არ საჭიროებს დამატებით სამუშაო აღჭურვილობას;
- სამუშაო ხსნარის მოსამზადებლად წყალი უნდა იყოს სუფთა. წყალში დიდი რაოდენობით უცხო სხეულების არსებობამ, როგორიცაა სილა, ან თიხა, შეიძლება მნიშვნელოვნად იმოქმედოს ინსექტიციდის ეფექტურობაზე;
- სამუშაო ხსნარი მზადდება ფუნგიციდური დამუშავებისთანავე;
- შესხურება ტარდება დილის, ან საღამოს საათებში უნალექო/უქარო ამინდში, რაც ხელს უშლის წამლის მეზობელ კულტურებზე გავრცელებას;
- სამუშაო ხსნარი უნდა გამოიყენოთ მომზადებიდან რამდენიმე საათში;

კულტურა	დაავადება	გამოყენების პერიოდი	ხარჯვის ნორმა კგ/ჰა	ლოდინის პერიოდი
ვაზი	ვაზის ჭრაქი (მილდიუ)*(Plasmopara viticola)*, ანთრაქნოზი *(Gloeosporium ampelophagum)*, ყურძნის შავი სიდამპლე (*Guignardia bidwellii Vialet Rav.)*	შესხურება მთელი ვეგეტაციის პერიოდში 7-14 დღიანი ინტერვალით. ძლიერი ატმოსფე რული ნალექების შემთხვევაში ექვემდებარ ება განმეორებით წამლობას	2.5-3	21
თესლოვანი ხეხილი ვაშლი, მსხალი	ქეცი *(Venturia inaequalis)*, ლაქიანობა *(Clasterosporium carpophilum)*, სიდამპლე *(Monilia mali)*, ბაქტერიული და სოკოვანი ნეკროზები *(Pseudomonas, Pyricularia oryzae)*		5-8	10 –
პომიდორი (ღია გრუნტი)	ფიტოფტოროზი *(Late blight)*, ალტერნარიოზი *(Monilia mali)*		2.5-3	7
კიტრი (ღია გრუნტი)	ჭრაქი (პერენოსპოროზი) *(Pseudoperenospora cubensis)*		2.5-3	5
კარტოფილი	მაკროსპოროზი, კარტოფილის მურა ლაქიანობა *(Early blight)*, კარტოფილის ფიტოფტოროზი *(Late blight)*, ალტერნარიოზი		2.5-3	7

კურკოვანი ხეხილი	ბაქტერიულო სილაქავე *(Bacterial spot)*, ბაქტერიული ნეკროზი*(Bacterianecrosis)*, ფოთლის სიხუჭუჭე *(Leaf curt)*	ცისფერი წამლობა, ვარდისფერი კონუსის ფაზაში(კვირტების დაბერვისას, საფოთლე კვირტების გაშლის დასაწყისში)	5-8	10
		შესხურება მთელი ვეგეტაციის პერიოდში 7-14 დღიანი ინტერვალით. ძლიერი ატმოსფერული ნალექების შემთხვევაში ექვემდებარ ება განმეორებით წამლობას	2.5-3	10
თხილი, კაკალი	სიდამპლე *(Broun rot)*	შესხურება მთელი ვეგეტაციის პერიოდში 7-14 დღიანი ინტერვალით. ძლიერი ატმოსფე რული ნალექების შემთხვევაში ექვემდებარ ება განმეორებით წამლობას	4-7	10
ციტრუსი	ციტრუსების ფოთლებისა და ღეროების მელანოზი *(Melanoze)*, მუნი მღერი *(Scab)*, ანთრაქნოზი *(Collelotrichum gloeosporioi-des Penz.)*		5-8	10
ხახვი	ჭრაქი (პერენოსპოროზი) *(Peronospora destructor)*		2.5-3	2.5-3





KORUMA

20 გ/კგ

C16H22ClN3O

რუბინი



მოქმედი ნივთიერება:
ტებუკონაზოლი 20 გ / კგ

პრეპარატული ფორმა: სველებადი ფხვნილი

შეფუთვა: 0.75კგ

მწარმოებელი: Koruma Klor Alkali Sanay Ve Ticaret A.S, თურქეთი

სისტემური ფუნგიციდი რუბინი გამოიყენება თავთავიანი კულტურების თესლის დასამუშავებლად. რუბინი გამოირჩევა მოქმედების ფართო სპექტრით. პრეპარატი კომპლექსურად იცავს მცენარეს ისეთი სოკოვანი დაავადებებისგან, როგორიცაა: გუდაფშუტა, ქერის მაგარი გუდაფშუტა დ ა.შ.

პრეპარატის მოქმედების მექანიზმი:

პრეპარატი თესლის გაღივებისას იჭრება მასში და სპობს შინაგან ინფექციას. მისი გადაადგილება ხდება მცენარეში აკროპეტალურად და იცავს აღმონაცენებს ნიადაგში მობინადრე სხვადასხვა პათოგენებისგან. პრეპარატული ფორმა შეიცავს სპეციალურ მიმწებებლებს და საღებავს, რის საშუალებითაც იგი შესანიშნავად ეკვრის და ტოვებს კვალს დამუშავებულ მარცვალზე. პრეპარატი მშრალი წესით კარგად უნდა გადაერიოს თესლს ისე, რომ მტვერი მთლიანად გადანაწილდეს დასამუშავებელ მასალაზე.

პრეპარატის გამოყენების უპირატესობები:

- თესლების დამუშავებისას ეფექტურად თრგუნავს ფესვის ლპობის პათოგენებს, ჭუჭყიან სოკოებს და თესლის ობს;
- აქვს გამოყენების ფართო სპექტრი;
- იცავს ფესვებს ლპობისგან;
- მაღალი საწყისი აქტივობა შესხურებიდან რამდენიმე საათში;
- დამცავი მოქმედების ხანგრძლივი პერიოდი (მთელი ვეგეტაციის განმავლობაში);
- ტებუკონაზოლი უზრუნველყოფს ნერგის დაცვას ზრდის საწყის პერიოდში;

პრეპარატის გამოყენების რეკომენდაციები:

- ხორბლის ბოლო გადამუშავება დასაშვებია მოსავლის აღებამდე 30 დღით ადრე;
- სველ, ცივ ამინდში სადეზინფექციო საშუალებების ზრდამ შეიძლება შეამციროს თესლის გაღივება;

- თესლის დამუშავება რეკომენდებულია თესვამდე 1-2 თვით ადრე, თუმცა საჭიროების შემთხვევაში დამუშავება დასაშვებია თესვამდე, რამდენიმე საათით ადრე;
- ხორბლის ბოლო დამუშავება დასაშვებია მოსავლის აღებამდე 30 დღით ადრე;
- არ არის საჭირო მისი შერევა მცენარეთა დაცვის სხვა საშუალებებთან მარცვლეულზე გავრცელებული დაავადებების გასაკონტროლებლად;

კულტურა	დაავადება	გამოსაყენებელი დოზა
ხორბალი	ხორბლის მაგარი გუდაფშუტა *(Tilletia foetida ve Tilletia caries)*, ხორბლის მტვრიანა გუდაფშუტა (სტილაგო ნუდა ფ.სპ ტრიტიცი)	150 გ/100 კგ მარცვალი
ქერი	ქერის მაგარი გუდაფშუტა *(UStill-ago hordel)*, ქერის მტვრიანა გუდაფშუტა *(UStillago nuda f.sp tritici)*, ქეის ხაზურა ჟანგა *(Pyrenophora graminea)*	150 გ/100 კგ მარცვალი

რიდომილ გოლდი

250 გ/ლ
C19H18ClN3O4

რიდომილ გოლდი



მოქმედი ნივთიერება:
მეფენოქსამი 40 გ/კგ + მანკოცები 640 გ/კგ

პრეპარატული ფორმა: წყალში დისპერსირებადი გრანულები

შეფუთვა: 1 კგ

მწარმოებელი: Syngenta Agro AG

რიდომილ გოლდი კონტაქტურ–სისტემური მოქმედების ფუნგიციდია, რომელსაც სამმაგი მოქმედების უნარი ახასიათებს: დამცავი, სამკურნალო და ანტისპორათწარმომქმნელი. პრეპარატი იცავს მცენარეს როგორც გარედან, ისე შიგნით პათოგენის შეჭრისგან. რიდომილ გოლდი ეფექტურად უმკლავდება ჭრაქსა და ფიტოფტორას.

პრეპარატის მოქმედების მექანიზმი:

პრეპარატის მოქმედი ნივთიერება მეფენოქსამი გადანაწილდება მთელ მცენარეში და იცავს მის ახლად წარმოქმნილ ორგანოებს. პრეპარატი გამოიყენება აქტიური ვეგეტაციის პერიოდში და ინარჩუნებს ეფექტურობას მაღალი ინფექციური ფონის დროსაც.

პრეპარატის უპირატესობები:

- სისტემური მოქმედებით იწვევს პათოგენის სიკვდილს მცენარის ქსოვილებში;
- პრეპარატი იცავს მცენარეს გარედან სოკოვანი დაავადებებისგან;
- რიდომილ გოლდი იცავს მთლიან მცენარეს, მათ შორის ახლად წარმოქმნილ ნაზარდებსაც, რაც
- საიმედოს ხდის პრეპარატს რთულ პირობებში;
- გამოირჩევა მაღალი მდგრადობით ნალექის მიმართ;
- შესხურებიდან 30 წუთის შემდეგ პრეპარატი მთლიანად გადანაწილდება მცენარეში;
- არ ხასიათდება ფიტოტოქსიკურობით;

კულტურა	მავნებელი	ხარჯვის ნორმა კგ/ჰა	სამუშაო ხსნარის მოცულობა ლ/ჰა	ლოდინის პერიოდი (გამოყ. ჯერად.)
კარტოფილი	ფიტოფტოროზი ალტერნარიოზი (მაკროსპორიოზი)	2.5	300-500	20(3)
ვაზი	ჭრაქი	2.5	600-800	20(4)
პომიდორი (ღია და დახურული გრუნტი)	ფიტოფტოროზი ალტერნარიოზი (მაკროსპორიოზი)	2.5	500-1500	10(4)
კიტრი (ღია და დახურული გრუნტი)	ჭრაქი	2.5	500	20(3)
ხახვი	ჭრაქი	2.5	300-500	20(3)



MIUCHEM COMPANY LIMITED

250 გ/ლ

C19H18ClN3O4

სთენდბაი



მოქმედი ნივთიერება:
პირაკლოსტრობინი 250 გ/ლ

პრეპარატული ფორმა: ემულსია კონცენტრატი

შეფუთვა: 0.25ლ

მწარმოებელი: Miuchem Company Limited, ჩინეთი

სთენდბაი მაღალეფექტური ფუნგიციდია ისეთ კულტურებში გამოსაყენებლად, როგორიცაა: ვაზი, სიმინდი, კურკოვნები (გარგარი, ნექტარინი, ატამი, ქლიავი, ბალი, ალუბალი) და ა.შ. პრეპარატი უმკლავდება ალტერნარიოზს, ნაყოფის სიდამპლეს, თეთრ სილაქავეს, ფესვის სიდამპლეს, ფუზარიოზს და კულტურათა სხვა ფართოდ გავრცელებულ დაავადებებს.

პრეპარატის მოქმედების მექანიზმი:

მოქმედი ნივთიერება პირაკლოსტრობინი განაპირობებს ფუნგიციდის ღრმა და ხანგრძლივ დამცავ ეფექტს. პრეპარატი ფოკუსირებულია ფოთლის ზედაპირზე, შემდგომ ნაწილდება შიდა ქსოვილებში. აქტიური ნივთიერება ბლოკავს ენერგიის ნაკადს უჯრედებში და იწვევს სოკოების სპორების და მიცელიუმის სიკვდილს.

პრეპარატის გამოყენების უპირატესობები:

- პრეპარატი დაავადებათა ფართო სპექტრს უმკლავდება;
- აქვს მკვეთრად გამოხატული ფუნგიციდური მოქმედება;
- ეფექტურია კულტურათა ფართო სპექტრისთვის;
- არ ახასიათებს ფიტოტოქსიკურობა;
- არ იწვევს რეზისტენტობას (შეჩვევას);

პრეპარატის გამოყენების რეკომენდაციები:

- არ გამოიყენოთ უშუალოდ წყალში, ან ზედაპირებზე, ან უბნებზე, სადაც არის წყლიანი ზედაპირი, ან სანაპირო ზონაზე წყლის მაქსიმალური დონის საშუალო ნიშნულის ქვემოთ;
- წამლობისას გამოიყენეთ ინდივიდუალური დამცავი აღჭურვილობა: რეზინის ფეხსაცმელი, რეზინის ხელთათმანები ა.შ.
- ცალკეული კულტურებისთვის საჭირო დოზების შესარჩევად ყურადღებით გაეცანით პრეპარატის ტარაზე დატანილ ინსტრუქციას;

ძირითადი კულტურა	დაავადებები	ხარჯვის ნორმა	ჯერადობა, ლოდინის პერიოდი
სიმინდი	ფესვის სიდამპლე Ophiobolus graminis და ღეროს სიდამპლე Stenocarpella maydis, სიმინდის ბუშტოვანი გუდაფშუტა Ustilago maydis, ჰელმინტორიოზი Helminthosporium turcicum, ფუზარიოზი Fusarium moniliforme.	0.5-0.7	2
ვაზი	შავი სიდამპლე (Guignardia bidwellii), ჭრაქი (Plasmopara viticola), ვაზის ფოთლის სილაქავე (Phomopsis viticola) ნაცარი (Uncinula necator)	0.6-0.8	3
კურკოვნები (გარგარი, ნექტარინი, ატამი, ქლიავი, ბალი, ალუბალი)	ნაყოფის სიდამპლე (Alternaria alternata),ანთრაქნოზი (Colletotrichum prunicola, C. gloeosporiodes), ჟნგა (Tranzschelia discolor), ჭრაქი (Sphaerotheca pannosa, Podosphaera clandestina), ქეცი (Cladospirum carpophilum), ფოთლების სილაქავე (Wilsonomyces carpophilus).	0.7-0.9	2
კენკროვნები	ალტერნარიოზი (Alternaria alternate), ანთრაქნოზი, ნაყოფის სიდამპლე (Colletotrichum gloesporoides), ხეხილისა და ტყის ჯიშების სიდამპლე (Botryosphaeria spp.), შავი სიდამპლე (Vaccinium spp.), შავი სილაქავე (Phomopsis vaccini), ნაცარი (Sphaerotheca spp.), თეთრი სილაქავე (Septoria spp.)	0.6-0.8	2
(მარცვლოვნები) ხორბალი, ქერი, შვრია)	ფესვის სიდამპლე Ophiobolus graminis და ღეროს სიდამპლე Stenocarpella maydis, სიმინდის ბუშტოვანი გუდაფშუტა Ustilago maydis,ჰელმინტორიოზი Helminthosporium turcicum,ფუზარიოზიFusarium moniliforme	0.4-0.5	2
პომიდორი, კარტოფილი	ანთრაქნოზი (Colletotrichum coccodes), შავი ობი, ფიტოფტოროზი (Alternaria alternata), სიდამპლე (Phytophthora spp.) ალტერნარიოზი, სილაქავე (Alternaria solani), ნაცარი (Oidiopsis sicula), ნეკროზული სილაქავე (Septoria lycopersici), მეწამული, მოწითალო სილაქავე (Corynespora cass iicoa).	0.3-0.5	
სოიო, ლობიო	ასკოხიტოზი Ascochyta sojaecola ,პერენოსპოროზი Peronospora manshurica.	0.5	2
მზესუმზირა	ალტერნარიოზი (ადრეული მშრალი ლაქები), მუქი ყავისფერი ლაქები (ფომოფსისი), ფომოზი (შავი ლაქები)	0.6-0.75	2
ხახვი, ნიორი	ალტერნარიოზი (Alternaria alternate), ჭრაქი, (Erysiphe spp.), კლადოსპორიოზი, პერენოსპოროზი (Peronospora manshurica)	0.8-0.9	1
ციტრუსი	კიბო (Alternaria alternata), ფოთლების კიბო და სილაქავე (Alternaria citri), ცერკოსპორა - ფოთლებზე ჩნდება სხვადასხვა ფერის ლაქები (Cercospora spp.), ციტრუსოვანთა სიდამპლე (Diplodia natalensis), ფოთლების მოყვითალო ყავისფერი სილაქავე (Mycosphaerella citri), მელანოზი, ფოთლების მოწითალო-მოყავისფრო სილაქავე (Diaporthe citri), ციტრუსოვანთა ობი (Penicillium Decays), მწვანე ობი, შავი ობი, ლურჯი ობი(Penicillium spp.), ფესვის სიდამპლე (Phomopsis citrii), შავი სილაქავე (Colletotrichum acutatum), ჭრაქი (Erysiphe spp.), ციტრუსოვანთა ქეცი (Elsinoe fawcett ii)	0.6-0.8	3
ნუში, თხილი, კაკალი, ფისტა	ნაყოფის სიდამპლე (Alternaria alernata), ანთრაქნოზი (Colletotrichum acutatum, Glomere lla cingulata), სიდამპლე (Anisogramma anomale), ფიტოფტოროზი (Alternaria alternata), ქეცი (Cladosporium carpophilum), ყავისფერი (ნეკროზული) სილაქავე (Septoria pistaciarum), ალტერნარიოზი (Alternaria alternate), კიბო (Botryosphaeria dothidea), თეთრი სილაქავე (Septoria spp.)	0.3-0.6	2
მარწყვი	ალტერნარიოზი (Altrnaria alternate), კიბო (Botryosphaeria dothidea), თეთრი სილაქავე (Septoria spp.), ანთრაქნოზი (Colletotrichum fragariae), ნაცარი (Sphaerotheca macularis)	0.35-0.6	2

UDRAGON CHEMICAL

500 გ/კგ

C22H17N3O5

სპარტაკუსი



მოქმედი ნივთიერება:
აზოქსისტრობინი 500 გ / კგ

პრეპარატული ფორმა: სველებადი ფხვნილი

შეფუთვა: 1კგ

მწარმოებელი: Hangzhou Udragon Chemical Co.Ltd, ჩინეთი

სპარტაკუსი ფართო სპექტრის ფუნგიციდია, რომელიც სტრობილურინის ჯგუფს მიეკუთვნება *(Quinone Outside Inhibitors)* და აქვს სისტემური ეფექტი. პრეპარატს ახასიათებს ტრანსლამინარული, დამცავი ეფექტი ანტისპონორული თვისებებით,პრეპარატი გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო კულტურების დასაცავად კომპლექსური დაავადებებისგან.

პრეპარატის მოქმედების მექანიზმი:

აქტიური ნივთიერებების უმეტესი ნაწილი შეიწოვება მცენარის ასიმილირებული ნაწილების მიერ 1 საათის განმავლობაში და ვრცელდება აკროპეტულად მცენარის ქსილემის გავლით. ამ მომენტიდან პრეპარატი იწყებს მოქმედებას პათოგენზე.

პრეპარატის გამოყენების უპირატესობები:

- პრეპარატი აკონტროლებს 33-ზე მეტ დაავადებას პათოგენების ოთხივე კლასის ჩათვლით- ომიცეტები, ასკომიცეტები, ბაზიდიომიცეტები და დეუტრომიცეტები;
- პრეპარატი დადებით გავლენას ახდენს მცენარის ფიზიოლოგიურ თვისებებზე.აზოქსისტრობინის გამო, მცენარის ვეგეტაცია იზრდება 7 დღით;
- ეფექტურად იყენებს ტენს და ხდება აზოტის ოპტიმალურად ათვისება;
- გამოყენებიდან 3 საათში რეზისტენტულია წვიმის მიმართ;
- ანადგურებს სოკოს ჰიფებს, ასევე სპორებსაც;
- გამოიყენება როგორც სათბურებში, ასევე ღია და დახურულ გრუნტში;
- თავსებადია უმეტეს ინსექტიციდებთან და ფუნგიციდებთან;
- აქვს კარგი გარემოსდაცვითი თავსებადობა;
- აზოქსისტრობინის გამოყენება ხელს უწყობს მცენარის მიერ აზოტის უფრო ეფექტურ შეწოვას;

პრეპარატის გამოყენების რეკომენდაციები:

- საუკეთესო ეფექტის მისაღწევად ფუნგიციდის გამოყენება რეკომენდებულია დაავადების დაწყების ადრეულ ეტაპზე;
- მცენარე უნდა შეიწამლოს დილით, ან საღამოს;
- რეკომენდაციების სწორი გამოყენების შემთხვევაში, ფიტოტოქსიკურობა არ გამოვლინდება;
- მოარიდეთ პრეპარატი კანს და სასუნთქ ორგანოს;
- შეწამვლის შემდეგ კარგად დაიბანეთ ხელები გამდინარე წყლით;

კულტურა	დაავადება	რეკომენდირებული დოზა (გ/ ჰა)	ლოდინის პერიოდი (ჯერადობა)
ვაზი	შავი სიდამპლე *(Guignardia bidwellii)*, ჭრაქი *(Plasmopara viticola)*, ვაზის ფოთლის სილაქავე *(Phomopsis viticola)*, ნაცარი *(Uncinula necator)*	0.35-0.5	14 დღე (2)
კურკოვანი კულტურები (ატამი, ქლიავი, გარგარი, ალუბალი...)	ნაყოფის სიდამპლე *(Alternaria alternata)*, ანთრაქნოზი *(Colletotrichum prunicola, C. gloeosporiodes)*, ჟნგა *(Tranzschelia discolor)*, ჭრაქი *(Sphaerotheca pannosa, Podosphaera clandestina)*, ქეცი *(Cladospirum carpophilum)*, ფოთლების სილაქავე *(Wilsonomyces carpophilus)*.	0.2-0.5	7 დღე (2)
ციტრუსი	კიბო *(Alternaria alternata)*, ფოთლების კიბო და სილაქავე *(Alternaria citri)*, ცერკოსპორა - ფოთლებზე ჩნდება სხვადასხვა ფერის ლაქები *(Cercospora spp.)*, ციტრუსოვანთა სიდამპლე *(Diplodia natalensis)*, ფოთლების მოყვითალო ყავისფერი სილაქავე *(Mycosphaerella citri)*, მელანოზი, ფოთლების მოწითალო-მოყავისფრო სილაქავე *(Diaporthe citri)*, ციტრუსოვანთა ობი *(Penicillium Decays)*, მწვანე ობი, შავი ობი, ლურჯი ობი*(Penicillium spp.)*, ფესვის სიდამპლე *(Phomopsis citrii)*, შავი სილაქავე *(Colletotrichum acutatum)*, ჭრაქი *(Erysiphe spp.)*, ციტრუსოვანთა ქეცი *(Elsinoe fawcett ii)*	0.3-0.5	7 დღე (2)

თხილი	ნაყოფის სიდამპლე (Alternaria alernata), ანთრაქნოზი (Colletotrichum acutatum, Glomere IIa cingulata), სიდამპლე (Aniso-gramma anomale), ფიტოფტოროზი (Alter-naria alternata), ქეცი (Cladosporium carpo-philum), ყავისფერი (ნეკროზული) სილაქავე (Septoria pistaciarum).	0.2-0.5	35 დღე (2)
კაკალი	ალტერნარიოზი *(Alternaria alternate)*, კიბო *(Botryosphaeria dothidea)*, თეთრი სილაქავე *(Septoria spp.)*	0.2-0.5	35 დღე (2)
ნუში	*ალტერნარიოზი (Alternaria alternate), ანთრაქნოზი, ნაყოფის სიდამპლე (Colle-totrichum ocutatum), ფიტოფტოროზი (Seimotosporium lichenicola), ჟანგა (Transzhelia discolor), ქეცი (Cladosporium carpophilum), ფოთლების დაცხრილვა (Wilsonomyces cropophilus).*	0.2-0.5	35 დღე (2)
კენკროვანი კულტურები	ალტერნარიოზი (Alternaria alternate), ანთრაქნოზი, ნაყოფის სიდამპლე (Colle-totrichum gloesporoides), ხეხილისა და ტყის ჯიშების სიდამპლე (Botryosphaeria spp.), შავი სიდამპლე (Vaccinium spp.), შავი სილაქავე (Phomopsis vaccini), ნაცარი (Sphaerotheca spp.), თეთრი სილაქავე (Septoria spp.)	0.2-0.5	7 დღე (2)
ფისტა	*ალტერნარიოზი (Altrnaria alternate), კიბო (Botryosphaeria dothidea), თეთრი სილაქავე (Septoria spp.), ანთრაქნოზი (Colletotrichum fragariae), ნაცარი (Sphaerotheca macularis)*	0.2-0.5	7 დღე (2)
მარწყვი	*ალტერნარიოზი (Altrnaria alternate), კიბო (Botryosphaeria dothidea), თეთრი სილაქავე (Septoria spp.), ანთრაქნოზი (Colletotrichum fragariae), ნაცარი (Sphaerotheca macularis)*	0.2-0.5	7 დღე (2)
გოგროვანი კულტურები (კიტრი, გოგრა, ნესვი, ყაბაყი, საზამთრო..)	*ანთრაქნოზი (Colletotrichum lagenarium), გულის სიდამპლე (Rhizoctonia solani), ნაცარი -პერენოსპოროზი (Pseudoperonospora cubensis), შავი სილაქავე (Didymellabryoniae), ფოთლების სილაქავე (Alternaria spp., Cercospora spp.), ნეკროზი (Myrothecium roridum), ობი-პლექტოსპორიოზი (Plectosporium tabacinum), ფოთლის სილაქავე (Ulocladium cucubritae).*	0.2-0.5	7 დღე (2)

პომიდორი	ანთრაქნოზი *(Colletotrichum coccodes)*, შავი ობი, ფიტოფტოროზი *(Alternaria alternata)*, სიდამპლე *(Phytophthora spp.)* ალტერნარიოზი, სილაქავე *(Alternaria solani)*, ნაცარი *(Oidiopsis sicula)*, ნეკროზული სილაქავე *(Septoria lycopersici)*, მეწამული, მოწითალო სილაქავე *(Corynespora cass*	0.07-0.2	7 დღე (2)
კარტოფილი	ალტერნარიოზი, სილაქავე *(Alternaria solani)*, ფიტოფთორიოზი - მუქი სილაქავე *(Phytophthora infestans).*	0.15-0.35	7 დღე (2)

80 გ/კგ

C8H12MnN4S8Zn

სტაგერი M-45

სტაგერი M -45



მოქმედი ნივთიერება:
მანკოცები 800 გ / კგ

პრეპარატული ფორმა: სველებადი ფხვნილი

შეფუთვა: 1კგ

მწარმოებელი: Limin Chemical Co.Ltd, ჩინეთი

სოკოს გასანადგურებლად, ან მისი ზრდის პრევენციისათვის შექმნილი ფუნგიციდი, სტაგერი, წარმოებულია ქიმიური კომპონენტებითა და ბიოლოგიური ორგანიზმებით. სტაგერი ეფექტურად გამოიყენება: ვაშლის, ლობიოს, ჩინური მწარე კვახის, ყვავილოვანი კომბოსტოს, წიწაკის, ვაზის, მიწისთხილის, სორგოს, ოსპის, სიმინდის, მუსკუსური ნესვის და სხვა კულტურებში.

პრეპარატის მოქმედების მექანიზმი:

მანკოცები არის დამცავი ნივთიერება, რომელიც მოქმედებს სოკოს უჯრედების სულფიდრილის ჯგუფის ამინომჟავებისა და ფერმენტების შეჩერებით, რაც შედეგად გვაძლევს ATP- ის წარმოებას და ლიპიდების მეტაბოლიზმის დარღვევას. დაავადებების ეფექტური მკურნალობისთვის, უმჯობესია მისი პრევენციული გამოყენება (პრეპარატი უნდა გამოიყენოთ დაავადების გამოვლენამდე, ან დაავადებების საწყის ეტაპზე).

პრეპარატის გამოყენების უპირატესობები:

- მაღალეფექტურია და სტაბილური მოქმედების უნარი გააჩნია;
- იდეალურად მუშაობს კომბინირებულ ნაზავებში, სისტემურ ფუნგიციდებთან;
- აჩქარებს მცენარის ზრდას, რადგან შეიცავს მიკროელემენტებს;
- ხასიათდება სწრაფი მოქმედებით შესხურებისთანავე;
- პესტიციდის გამოყენება იძლევა ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტს. ის არ იჭრება ტუბერში, ნაყოფში და მტევანში;
- პრეპარატს აქვს დაბალი ხარჯვის ნორმა;

პრეპარატის გამოყენების რეკომენდაციები:

- თავსებადია მცენარეთა დაცვის საშუალებების უმეტესობასთან;
- არ შეიძლება პრეპარატის შერევა ტუტე ფუნგიციდებთან;
- სამუშაო ხსნარის გამოყენება რეკომენდებულია შესაბამისი აღჭურვილობით: რესპირატორი, რეზინის ხელთათმანი, სპეცტანსაცმელი;
- კანზე, ან თვალში მოხვედრისას, კარგად ჩამოიბანეთ გამდინარე წყლით.
- სამუშაოს დასრულების შემდეგ, შესაწამლი აპარატურა გარეცხეთ წყალში, რომელსაც შეხება არ აქვს ავზებთან და მდინარეებთან, რათა
- თავიდან ავირიდოთ გარემოს დაბინძურება;
- მცენარის შეწამვლა უნდა მოხდეს დილით, ან საღამოს, უნალექო ამინდში;

კულტურა	დაავადება	ხარჯვის ნორმა ლ/ჰა	ლოდინის პერიოდი (გამოყ. ჯერადობა)
ვაზი	ჭრაქი	2-3	30(6)
ვაშლი, მსხალი	ქეცი	2.5	30(5)
ატამი, გარგარი	მონილიოზი, ნაცრისფერი სიდამპლე	1.6-3	20(4)
ციტრუსი	ანთრაქნოზი	1.6-3	15(4)
ნესვი, საზამთრო	ჭრაქი, ანთრაქნოზი, ნაცრისფერი ობი	1.5-2.5	1(4)
კიტრი	პერენოსპოროზი	2-2.5	14(3)
კარტოფილი	ფიტოფტორა	1.2-1.6	20(5)
კარტოფილი (სათესლე)	ტუბერების დამუშავება (რიზოქტონიოზი)	2-2.5	20(3)
პომიდორი	ფიტოფტორა, მაკროსპოროზი	2-2.5	20(5)
ხახვი, ნიორი	ჭრაქი, ბოტრიტისი ყელის სიდამპლე, ჟანგა სოკო	2.2-3.5	10(3)
თხილი	ფოთლის ლაქიანობა, სიდამპლე	1.7-2.2	30(6)
კაკალი	კაკლის სიწითლე, ჭრაქი, ლაქიანობა.	3-4	30(6)
ნუში	ყავისფერი სიდამპლე, ანთრაქნოზი, ალტერნარიოზი, ფოთლის სიწითლე ანუ პოლისტიგმოზი	3-6	30(6)
ლობიო	ანთრაქნოზი, ჟანგა	1.7-2.2	14(3)
ყვავილოვანი კომბოსტო	ანთრაქნოზი, ალტერნარიოზი, ჭრაქი	1.7-2.2	14(3)
სოიო	სიდამპლე-ფესვის, ნაცრისფერი სიდამპლე	1.0-2.2	14(3)



KORUMA

60 გ/ლ

C16H22ClN3O

ტებუჯი



მოქმედი ნივთიერება:
ტებუკონაზოლი 60 გ /ლ

პრეპარატული ფორმა: სუსპენზია კონცენტრატი

შეფუთვა: 5 ლ

მწარმოებელი: Korma Klor Alkali Sanay ve Ticare A.S, თურქეთი

ტებუკონაზოლი არის ეფექტური სისტემური ფუნგიციდი, რომელიც გამოიყენება მარცვლეულის თესლის სამკურნალოდ და თესლში გადატანილი ფიტოპათოგენების გასაკონტროლებლად. სისტემური მოქმედების ფართო სპექტრი პრეპარატის გამოყენების ერთ-ერთი მთავარი უპირატესობაა. იგი ასევე გამოიყენება რაფსისა და მარცვლოვანი მცენარეების სამკურნალოდ.

პრეპარატის მოქმედების მექანიზმი:

ტებუკონაზოლი არის ფართო სპექტრის სისტემური ფუნგიციდი. მას აქვს დამცავი, სამკურნალო თვისებები, სწრაფად აღწევს და თანაბრად ნაწილდება მცენარეში. პრეპარატს გააჩნია სწრაფი საწყისი აქტიურობა. დამუშავებისთანავე პესტიციდი აღწევს მცენარეში აღმოცენებისას და გადანაწილდება მისი ზრდის შესაბამისად. ტებუკონაზოლი იცავს მცენარეებს დაავადებებისგან შესხურებიდან სამი კვირის განმავლობაში. მას აქვს ზრდის მარეგულირებელი ეფექტი, რაც შეიძლება შემაფერხებელად მოქმედებდეს არახელსაყრელ ამინდობრივ პირობებში: ტენიანობის ნაკლებობა/სიჭარბე, თესლის ძალიან ღრმად დათესვა, მაღალი ჰერბიციდული დატვირთვა და ა.შ.

პრეპარატის გამოყენების უპირატესობები:

- განსაკუთრებული დაცვა გუდაფშუტას წინააღმდეგ;
- ხელს არ უშლის თესლის გაღივებას;
- არ აზიანებს თესლს;

ტებუჯით დამუშავებული სათესლე მასალა გამოიყენება თესლბრუნვაში;

პრეპარატის გამოყენების რეკომენდაციები:

- პრეპარატი გამოიყენეთ ხორბლის, ქერის და შვრიის სათესლე მასალების დასამუშავებლად;
- გამოყენებამდე ყურადღებით გაეცანით ტარის ეტიკეტზე მოცემულ ინსტრუქციას;
- პესტიციდი შეინახეთ სპეციალურად განკუთვნილ ადგილას;
- გამოყენებისას დაიცავით უსაფრთხოების ნორმები;

კულტურა	დაავადების დასახელება	გამოსაყენებელი დოზა
ხორბალი	ხორბლის მაგარი გუდაფშუტა *(Tilettia spp.)* ,ხორბლის მტვრიანა გუდაფშუტა *(Ustilago triciti)*	40-50 გ/100კგ მარცვალი
ქერი	ქერის მაგარი გუდაფშუტა *(USti-lago hordei)*, ქერის მტვრიანა გუდაფშუტა *(Ustilago nuda hordei)*, ხორბლის ხაზურა ჟანგა *(Pyrenophora graminea)*	40-50 გ/100კგ მარცვალი

MIUCHEM COMPANY LIMITED

25 %

$C_{20}H_{19}F_3N_2O_4$

ტივოლი

ტივოლი



მოქმედი ნივთიერება:
ტრიფლოქსისტრობინი 25% + ტებუკონაზოლი 50% WG

პრეპარატული ფორმა: წყალში ხსნადი გრანულები

შეფუთვა: 0.25 კგ

მწარმოებელი: Miuchem Company Limited, ჩინეთი

ტივოლი ახალი ტიპის ფუნგიციდია, რომელიც მიღებულია ტრიფლოქსისტრობინისა და ტებუკონაზოლის შერევით. ტრიფლოქსისტრობინი არის მეტოქსი აკრილატის ბაქტერიციდი, რომელსაც აქვს სამკურნალო, სისტემური შეწოვის, წვიმისთვის წინააღმდეგობის გაწევის უნარი და ხანგრძლივი დაცვითი ეფექტი.

პრეპარატის მოქმედების მექანიზმი:

ტებუკონაზოლი არის ტრიაზოლის ბაქტერიციდი და მისი მოქმედების მექანიზმი ძირითადად არის პათოგენური ბაქტერიების უჯრედულ მემბრანაზე ერგოსტეროლის დემეტილაციის დათრგუნვა ბაქტერიციდული ეფექტის გამოვლენის მიზნით. რეკომენდებული დოზით გამოყენებისას მას კარგი ეფექტი აქვს ვაშლის ხის და როზაცეას დეკორატიული ყვავილის ყავისფერ ლაქაზე.

პრეპარატის გამოყენების უპირატესობები:

- პრეპარატი გამოირჩევა ხანგრძლივი დაცვითი ეფექტით;
- პრეპარატი დაავადებათა ფართო სპექტრს უმკლავდება;
- აქვს მკვეთრად გამოხატული სისტემური მოქმედება;
- მედეგია ატმოსფერული ნალექების მიმართ;
- ეფექტურია კულტურათა ფართო სპექტრისთვის;
- არ ახასიათებს ფიტოტოქსიკურობა;
- არ იწვევს რეზისტენტობას (შეჩვევას);

პრეპარატის გამოყენების რეკომენდაციები:

- შეინახეთ პირუტყვის,საკვების,სასმლის, თესლების, მარცვლეულის და ა.შ. მოშორებით, ბავშვებისთვის მიუწვდომელ ადგილას, ჩაკეტილ სივრცეში;
- ცალკეული კულტურებისთვის საჭირო დოზების შესარჩევად ყურადღებით გაეცანით პრეპარატის ტარაზე დატანილ ინსტრუქციას;

კულტურა	დაავადებები	დოზირება გ/ჰა-ზე	ჯერადობა/ლოდინის პერიოდი
ვაზი	ჭრაქი,ნაცარი, ნაცრისფერი სიდამპლე,ობი, შავი სიდამპლე, ფომოფსისი	0.16- 0.18	შესხურება ვეგეტაციის პერიოდში 7-12-დღიანი ინტერვალით
პომიდორი	ალტერნარიოზი,ფიტოფტოროზი სიდამპლეები, ფოთლის ლაქიანობები, ნაცარი	0.25- 0.35	21 (3)
კიტრი	ალტერნარიოზი, ფიტოფტოროზი, ნაცარი	0.20-0.40	შესხურება ვეგეტაციის პერიოდში 7-12-დღიანი ინტერვალით
სიმინდი	ჰელმინთოსპორიოზი, ჟანგა სოკო	0.60-0.80	დამუშვება ყვავილების გამოჩენის დროს
კურკოვანი ხილი	მონილიოზი, ანთრაქნოზი, ნაცარი	0.3-0.35	7(3)
თესლოვანი ხილი	ნაცარი, ქეცი, ფოთლის ლაქიანობა	0.3-0.35	7(3)
კომბოსტო, ყვავილოვანი კომბოსტო	ნაცარი	0.25-0.35	21(3)
გოგრისებრი	ნაცარი, ფოთლის ლაქიანობა	0.25-0.35	3(3)
ხახვი, ნიორი	მეწამული ლაქიანობა, ნაცარი	0,25-0.35	21(3)



TAN TARIM
BE SAFE WITH COPPER

ტან გოსტაში

80 გ/კგ
C7H10N4O3

შაბიამანი ტან გოსტაში



მოქმედი ნივთიერება:
სპილენძის სულფატი პენტაჰიდრატი 250 გ/კგ

პრეპარატული ფორმა: სველებადი ფხვნილი

შეფუთვა: 25 კგ

მწარმოებელი: Tan Tarim, თურქეთი

ტან გოსტაში არის სპილენძის ბაზაზე დამზადებული ფუნგიციდი, რომელიც გამოიყენება ვაზის, ხეხილის და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების დასაცავად უმეტესი სოკოვანი დაავადებებისგან.

პრეპარატის მოქმედების მექანიზმი:

წყალხსნარი ხასიათდება მჟავე რეაქციით. ფიტოტოქსიკურობის თავიდან აცილების მიზნით აუცილებელია მისი განეიტრალება ჩაუმქრალი კირის რძით (რომელსაც აქვს ტუტე რეაქცია) ერთი-ერთთან თანაფარდობით (თანაფარდობა დამოკიდებულია კირის ხარისხზე).

პრეპარატის გამოყენების რეკომენდაციები:

- ცისფერი წამლობის დოზა: 4 კგ 100 ლ წყალში;
- პრეპარატის თვალში მოხვედრისას სასწრაფოდ ამოიბანეთ თვალები გამდინარე წყლით, ან
- მარილიანი ხსნარით 15 წუთის განმავლობაში;
- კანზე მოხვედრისას გულმოდგინედ დაიბანეთ საპნით და წყლის დიდი რაოდენობით;

კულტურა	მავნებელი	ხარჯვის ნორმა (100ლ წყალზე განზავება)	მოცდენის პერიოდი
მსხალი	მსხლის ქეცი	2კგ +2კგ კირი 1კგ +1კგ კირი	21 დღე
	მსხლის ჟანგა	1კგ +1კგ კირი	21 დღე
ვაშლი	ვაშლის ქეცი	2კგ +2კგ კირი 1კგ +1კგ კირი	21 დღე
გარგარი	ბაქტერიული კიბო	3კგ +3კგ კირი 1კგ +1კგ კირი	21 დღე
	გარგარის ჟანგა	2კგ +2კგ კირი 1კგ +1კგ კირი	

ქლიავი	ქლიავის ფოთლის სიხუჭუჭე	2კგ +2კგ კირი	21 დღე
ალუბალი	ალუბლის ფოთლის ლაქიანობა	1კგ +1კგ კირი 0,6კგ +0,6კგ კირი	21 დღე
ატამი	ატმის ფოთლის სიხუჭუჭე	2კგ +2კგ კირი	21 დღე
	ატმის ჟანგა	3კგ +3კგ კირი	
იაპონური ზღმარტლი	ქეცი	1,5კგ +1,5კგ კირი	21 დღე
ნუში	ნუშის ქეცი	3კგ +3კგ კირი 1კგ +1კგ კირი	21 დღე
თხილი	თხილის სიდამპლე	1კგ +1კგ კირი (%0,3 შავი საღებავი უნდა დაემატოს როგორც მიმწებებელი)	21 დღე
კომბოსტო	ჭრაქი	1კგ +1კგ კირი	21 დღე
ციტრუსი	ნაყოფების ლპობა	2000 გრ ტან გოსტაში +2000 გრ კირი 1კგ +1კგ კირი	21 დღე
	ფოთლის ლაქიანობა	1კგ +1კგ კირი 1,5კგ +1,5კგ კირი	
ზეთისხილი	ლაქიანობა	1,5კგ +1,5კგ კირი 1კგ +1კგ კირი	21 დღე
	ზეთისხილის სიდამპლე	1კგ +1კგ კირი(საგაზაფხულო წამლობა)	
ვაზი	ჭრაქი (მილდიუ)	0,5კგ +0,5კგ კირიი 1კგ +1კგ კირი 1,5კგ +1,5კგ კირი	21 დღე
	ლაქიანობა	4კგ +4კგ კირი (ზამთრის წამლობა)	
მიწის თხილი	ფოთლის ლაქიანობა	1კგ +1კგ კირი	21 დღე
ხეხილის ბუჩქები	ლაქიანობა	2კგ+100 ლ წყალი გამოიყენება ხეების ქვედა ნაწილზე, 10 ლ წყალი მ 2-ზე.	21 დღე
	ფესვის კიბო	5კგ ზაფხულში გამოიყენება ფესვის არეზე	
თამბაქო	სიდამპლეები	0,6კგ +0,6კგ კირი	21 დღე

750 გ/კ
C14H15N3

ციპრო პლუსი



მოქმედი ნივთიერება:
ციპროდინილი 750 გ/კ

პრეპარატული ფორმა: წყალში ხსნადი გრანულები

შეფუთვა: 0.25 კგ

მწარმოებელი: parijat industries, ინდოეთი



ციპრო პლუსი სისტემური მოქმედების ფუნგიციდია, რომელიც გამოიყენება კურკოვანი კულტურების (ატამი, გარგარი, ქლიავი, ბალი, ალუბალი), თესლოვანი კულტურების (ვაშლი, მსხალი), ვაზის, კარტოფილის, პომიდვრის (ღია გრუნტი) ფართო სპექტრის დაავადებებისგან დასაცავად, როგორიცაა: ნაცრისფერი სიდამპლე, ჭრაქი, ნაცარი,

პრეპარატის მოქმედების მექანიზმი:

ციპრო პლუსი მაღალეფექტური ფუნგიციდია, რომელსაც ახასიათებს უნიკალური მექანიზმი ჭრაქისა და მონოლიოზის წინააღმდეგ. პრეპარატი საიმედოდ მოქმედებს დაბალ ტემპერატურაზე და აქვს ტრანსლამინარული (სისტემური) მოქმედება. მოსავლის აღებამდე ბოლო შესხურება საგრძნობლად აუმჯობესებს ნაყოფის შენახვის დროს.

პრეპარატის გამოყენების უპირატესობები:

- პრეპარატი დაავადებათა ფართო სპექტრს უმკლავდება;
- აქვს მკვეთად გამოხატული სისტემური
- მოქმედება;
- ეფექტურია კულტურათა ფართო სპექტრისთვის;
- არ ახასიათებს ფიტოტოქსიკურობა;
- არ იწვევს რეზისტენტობას (შეჩვევას);

პრეპარატის გამოყენების რეკომენდაციები:

- მოერიდეთ კანთან, თვალებთან და ტანსაცმელთან კონტაქტს. ზოგიერთ ადამიანს შეიძლება განუვითარდეს ალერგიული რეაქცია კანთან კონტაქტის შემთხვევაში;
- გამოიყენეთ ინდივიდუალური დამცავი აღჭურვილობა. პროდუქტის შეხურების დროს გამოიყენეთ სამოსი, რომელიც დაფარავს სრულად თქვენს სხეულს (რეზინის ფეხსაცმელი და ხელთათმანები);
- არ დააბინძუროთ წყალი მოწყობილობის ნარეცხი ნარჩენებით;

კულტურა	მავნებელი	პრეპარატის ხარჯვის ნორმა (ლ/ჰა,კგ/ჰა)	გამოყენების ხერხი, დრო,გამოყენების თავისებურება	ლოდინის პერიოდი(გამოყენების ჯერადობა)
კურკოვნები (ატამი, გარგარი, ქლიავი, ბალი, ალუბალი)	კლასტეროსპორიოზი (coryneum beyerinckii), კოკომიკოზი (blumeriella jaapii), (Blumeriella hiemalis), (Coccomyces hiemalis), ნაცარი, მონილიოზი, ატმის ფოთლის სიხუჭუჭე.	0,15-0.3	გამოიყენება ვეგეტაციის პერიოდში, დაავადების პირველი ნიშნების გამოჩენისთანავე, ინტერვალი 7-10 დღე.	28(4)
თესლოვნები (ვაშლი, მსხალი)	ქეცი (monilia cinereaBonord), ალტერნარიოზი (Alternaria alternate), მონილიოზი (moniliamali), ნაცარი.	0,2-0,3	შესხურება „მწვანე კონუსის-ყვავილობის დამთავრება“ ფაზაში. 7-10 დღის ინტერვალით.	28(4)
ვაზი	ნაცრისფერი სიდამპლე, ჭრაქი, ნაცარი.	0.5-0.7		28(4)
კარტოფილი	ფიტოფტოროზი, მაკროსპორიოზი, ალტერნარიოზი.	1.2-2	შესხურება ვეგეტაციის პერიოდში 7-10 დღიანი ინტერვალით	20(2)
პომიდორი (ღია გრუნტი)	ფიტოფტოროზი, ალტერნარიოზი.	1.2-2		15(2)

ციმაქსი

80 გ/კგ
C7H10N4O3

ციმაქსი



მოქმედი ნივთიერება:
მანკოცები 640 გ/კგ + ციმოქსანილი 80 გ/კგ

პრეპარატული ფორმა: სველებადი ფხვნილი

შეფუთვა: 1 კგ, 5 კგ

მწარმოებელი: Agro Life Science Corporation, ინდოეთი

ციმაქსი კონტაქტურ-სისტემური მოქმედების კომბინირებული ფუნგიციდია, ვაზის, ბოსტნეული კულტურების, კარტოფილისა და სხვა ტექნიკური კულტურების ჭრაქოვანი დაავადებებისგან დასაცავად. პრეპარატი გამოიყენება დაავადებათა ფართო სპექტრის წინააღმდეგ, როგორიცაა: ვაზის ჭრაქი, ლაქიანობა, კარტოფილის შავი ქეცი და სხვა.

პრეპარატის მოქმედების მექანიზმი:

პრეპარატში შემავალი უნიკალური მოქმედი ნივთიერებების კომბინაცია უზრუნველყოფს მცენარის ეფექტურ დაცვას. პრეპარატი მაღალეფექტურია რთულ კლიმატურ პირობებშიც. მანკოცები უზრუნველყოფს ფოთლის ზედაპირზე დამცავი ბარიერის წარმოქმნას, რომელიც საშუალებას არ აძლევს პათოგენს, რომ შეაღწიოს მცენარის ქსოვილში.

პრეპარატის გამოყენების უპირატესობები:

- ციმაქსი უმაღლესი ხარისხის კომბინირებული პრეპარატია;
- მაღალეფექტურად მოქმედებს კულტურათა ფართო სპექტრის დაავადებების წინააღმდეგ;
- ციმაქსი იჭრება ფოთლებში ბაგეების გზით, გადაადგილდება წვენთან ერთად, რაც ეფექტურად ახდენს სხვადასხვა დაავადების ლოკალიზებას;
- მედეგია ნალექების მიმართ და ეფექტურობას არ კარგავს რთულ კლიმაურ პირობებში;
- პრეპარატის კომბინირება შესაძლებელია სხვადასხვა ინსექტიციდებთან და ფუნგიციდებთან;
- არ ახასიათებს ფიტოტოქსიკურობა;

პრეპარატის გამოყენების რეკომენდაციები:

- სისტემური ბუნების მიუხედავად, პრეპარატის გამოყენება უმჯობესია პროფილაქტიკური მიზნით;
- ცალკეული კულტურებისთვის საჭირო დოზების შესარჩევად ყურადღებით გაეცანით პრეპარატის ტარაზე დატანილ ინსტრუქციას;
- სანამ დაავადების სიმპტომები ვიზუალურად ხილული გახდება პრეპარატი გაცილებით ეფექტურად მოქმედებს. რეზისტენტობის თავიდან ასაცილებლად დაიცავით ხარჯვის ნორმები;

კულტურა	დაავადება	ხარჯვის ნორმა (კგ/ჰა)	ლოდინის პერიოდი (გამოყენების ჯერადობა)
ვაზი	ჭრაქი (მილდიუ) *(Plasmopara viticola)*,შავი სიდამპლე *(Guignardia bidwellii Vialet Rav.)*,ფომოფსისი *(Phomopsis viticola)*	2-2.5	20(4)
კარტოფილი	ფიტოფტორა *(Phytophthora infestans)*,ალტერნარიოზი *(Alternaria solani ELL.et Mart.)*	2-2.5	20(3)
პომიდორი (ღია და დახურული გრუნტი)	ფიტოფტოროზი *(Phytophthora infestans)* ალტერნარიოზი *(Alternaria solani)*	2-2.5	10(4) 3(4)
კიტრი (ღია და დახურული გრუნტი)	პერენოსპიროზი *(Pseudoperonospora cubensis)*ასკოქიტოზი *(Ascochyta lycopersici (Plower) Brun.)*	2-2.5	20(3) 8(3)
ხახვი, ნიორი	პერენოსპოროზი *(Perenospora destructor)*	2-2.5	20(3)
საზამთრო	საზამთროს ჭრაქი *(Mildew)*	2-2.5	-(3-4)





ვერბიციდი



ბენტაგონი

480 გ/ლ
C10H12N2O3S

ბენტაგონი



მოქმედი ნივთიერება:
ბენტაზონი 480 გ/ლ

პრეპარატული ფორმა: წყალხსნარი

შეფუთვა: 1 ლ

მწარმოებელი: SHANDONG BINNONG TECHNOLOGY Co., Ltd., ჩინეთი

ბენტაგონი არის მაღალეფექტური მოქმედების, სელექციური ჰერბიციდი ორლებნიანი სარეველების წინააღმდეგ (მათ შორის 2.4 D ამინის მარილის მიმართ გამძლეების მიმართაც). ეფექტურია საშემოდგომო ხორბლის, ქერის, შვრიის, იონჯის, სიმინდის, ბარდის, სოიოს, ლობიოს ნათესებში კულტურის აღმოცენების შემდეგ გამოსაყენებლად.

პრეპარატის მოქმედების მექანიზმი:

ბენტაზონი შეიწოვება როგორც ფოთლების, ასევე მცენარეების ფესვთა სისტემიდან. შეწოვის შემდეგ, აქტიური ნივთიერება მოძრაობს მცენარის გავლით უჯრედშორის სივრცეებში და მცენარის ნაწილებში. მოქმედების სიძლიერე და მიმართულება დამოკიდებულია შეწოვის ხარისხზე, გამოყენების ადგილზე, მცენარის ტიპზე, განვითარების სტადიაზე და გარემო პირობებზე. აქტიური ნივთიერება მოძრაობს უპირატესად აკროპეტალურად (დაბლიდან მაღლა). მცენარის ზრდისთვის ხელსაყრელი ამინდი, ტემპერატურა და ტენდაგროვება იწვევს აქტიური ნივთიერების შეწოვას და აუმჯობესებს მის მოქმედებას.

პრეპარატის გამოყენების უპირატესობები:

- პრეპარატი უზრუნველყოფს მოსავლის დაცვას დამუშავების მომენტიდან სარეველების ახალი „ტალღის“ გაჩენამდე;
- გამოირჩევა მაღალი სელექციურობით;
- არავითარი შეზღუდვა თესლბრუნვაში;
- პესტიციდს გააჩნია გამოყენების დიდი დიაპაზონი;
- აქვს მაღალი ეკონომიური ეფექტი;

პრეპარატის გამოყენების რეკომენდაციები:

- დამუშავება უნდა განხორციელდეს მცენარის ზრდისთვის ხელსაყრელ ამინდში;
- შესხურება უნდა ჩატარდეს სარეველების აღმოცენების შემდეგ, მაგრამ არაუგვიანეს იმ ფაზისა, სანამ კულტურა გადაფარავს სარეველას და შეუძლებელი გახდება სამუშაო ნაზავის დატანა;
- მაქსიმალური ეფექტი მიიღწევა მაშინ, როდესაც სარეველების ღერო და ფოთოლი დასველდება სამუშაო ხსნარით;

კულტურა	სარეველა	ხარჯვის ნორმა ლ/ჰა	ლოდინის პერიოდი (გამოყენების ჯერად.)
საგაზაფხულო და საშემოდგომო თავთავიანები	ერთწლიანი ორლებნიანი, მათ შორის 2-4 დ-ს მიმართ გამძლე	2-4	-(1)
სიმინდი	ერთწლიანი ორლებნიანი, მათ შორის 2-4 დ-ს მიმართ გამძლე	2.4-4.6	-(1)
სოია	ერთწლიანი ორლებნიანი(ბირკა)	1.5-3	-(1)
სათესლე ბარდა	ერთწლიანი ორლებნიანი (გვირილა)	3-4	-(1)
სამყურა სათესლე ნათესები	-	2-3	-(1)
იონჯა(ვეგეტაციის პირველი წელი)	-	2	-(1)
სამკურნალო მცენარეები	-	2-2.5	-(1)
ბაღის პიტნა	-	2-2.5	-(1)

330 გ/ლ
C13H19N3O4

დრაგო



მოქმედი ნივთიერება:
პენდიმეტალინი 330 გ / ლ

პრეპარატული ფორმა: ემულსია კონცენტრატი

შეფუთვა: 1 ლ , 5 ლ, 10 ლ.

მწარმოებელი: Shandong Binnong Technology Co.Ltd, ჩინეთი

დრაგო ნიადაგური, მაღალეფექტური ჰერბიციდია, რომელიც გამოიყენება ერთწლიანი ორლებნიანი და მარცვლოვანი სარეველების ფართო სპექტრის გასანადგურებლად. იგი ყველაზე ეფექტურია სარეველას აღმოცენებამდე და აღმოცენების ადრეულ სტადიებში გამოყენების შემთხვევაში.

პრეპარატის მოქმედების მექანიზმი:

პრეპარატი ხასიათდება ფოთლოვანი (ფოტოსინთეზური ინჰიბირების) და ნიადაგური მექანიზმით (ნიადაგის ზედაპირს გადაეკვრება აპკის სახით და ხელს უშლის სარეველების ამოსვლას). ჰერბიციდი შეიწოვება სარეველების ფესვებითა და ყლორტებით, ამიტომ გარანტირებულია მაღალი ეფექტურობა და ხანგრძლივი მოქმედება. პრეპარატი მოქმედებს სარეველების ფესვთა სისტემაზე, იწვევს ფესვის წვერების სიმსივნურ გადაგვარებას, აფერხებს უჯრედის მიტოზს, აფერხებს ცილების სინთეზს. ტოქსიკური მოქმედების სიმპტომები ჩნდება სარეველების თესლის გაღივების და ჩითილების აღმოცენების შემდეგ. მეორადი ფესვები არ ვითარდება, ყლორტების ზრდა ჩერდება, რის შემდეგაც სარეველა კვდება.

პრეპარატის გამოყენების უპირატესობები:

- ბალახებისა და ფართოფოთლოვანი სარეველების ფართო სპექტრის კონტროლი;
- მდგრადია ნალექის მიმართ;
- ნიადაგში ნარჩენი რაოდენობა მთლიანად იშლება ვეგეტაციის პერიოდში;
- გამოიყენება მრავალ კულტურაში;
- აკონტროლებს თითქმის ყველა წლიურ სარეველას;
- პენდიმეტალინი, სხვა დინიტროანილინებისგან განსხვავებით, ვეგეტაციის ბოლოს თითქმის მთლიანად იშლება ნიადაგში, რის შედეგადაც მას არ აქვს ფიტოტოქსიკური ეფექტი მომდევნო კულტურებზე;

პრეპარატის გამოყენების რეკომენდაციები:

- თუ ნიადაგს აქვს ჰუმუსის მაღალი შემცველობა და ამინდი ცხელია, ხოლო ნალექის ალბათობა არსებობს, მაშინ აუცილებელია პრეპარატის მაქსიმალური დოზის გამოყენება;
- დილით, მშრალ, ამინდში მცენარეების დამუშავება გაზრდის პრეპარატის ეფექტურობას;
- პრეპარატის გამოყენებამდე ჯერ ნიადაგი უნდა მომზადდეს კარგად, რადგან ნიადაგის მექანიკური შემადგენლობა (ნიადაგის არასაკმარისი ტენიანობა), გავლენას ახდენს პრეპარატის მოხმარებაზე;
- აუცილებელია პრეპარატის გამოყენება მოსავლის ზრდამდე;
- პესტიციდი, ნიადაგში შეჰყავთ არა მარტო თესვის დროს, არამედ თესვის წინ და მის შემდეგაც;
- აკონტროლებს თითქმის ყველა ტიპის წლიურ სარეველას;

კულტურა	სარეველა	პრეპარატის ხარჯვის ნორმა (ლ/ჰა)	გამოყენების მეთოდი და პერიოდი
სოიო	ერთწლიანი მარცვლოვანი და ორლებნიანი სარეველები	3-4	ნიადაგის შესხურება კულტურის აღმოცენებამდე/ნიადაგის შესხურება კულტურის აღმოცენების პერიოდში
სტაფილო			
თამბაქო		3-4	ნიადაგის შესხურება დათესვის შემდეგ ან კულტურის აღმოცენებამდე
სიმინდი		3-4	ნიადაგის შესხურება დათესვამდე
მზესუმზირა		3-4	ნიადაგის შესხურება ნათესის აღმოცენებამდე
პომიდორი		3-4	ნიადაგის შესხურება ჩითილების გადარგვამდე
კომბოსტო		-	ნიადაგის შესხურება ჩითილების გადარგვამდე
ხახვი, ნიორი		2.5 - 4.5	ნიადაგის შესხურება კულტურის ამოსვლამდე და აღმოცენების ადრეული „ღივის“ ფაზაში

ქინძი, ცერეცო	ერთწლიანი მარცვლოვანი და ორლებნიანი სარეველები	5 - 7.5	ნიადაგის შესხურება გაზაფხულზე კულტურის აღმოცენებამდე
კარტოფილი	ერთწლიანი მარცვლოვანი და ორლებნიანი სარეველები	4.0-5.0	-
საშემოდგომო ხორბალი	ერთწლიანი მარცვლოვანი და ორლებნიანი სარეველები	5.0	ნიადაგის შესხურება აღმოცენებამდე 2-3 დღით



KORUMA

500 გ/ლ

C10H13Cl2NO3

ვიდ ქილერი



მოქმედი ნივთიერება:
2.4 D დიმეთილამინის მარილი 500 გ / ლ

პრეპარატული ფორმა: წყალხსნადი კონცენტრატი

შეფუთვა: 1 ლ, 5 ლ

მწარმოებელი: Koruma Klor Alkali Sanay ve Ticaret A.S, თურქეთი

მაღალეფექტური სისტემური მოქმედების ჰერბიციდი გამოიყენება თავთავიანი კულტურების და სიმინდის ნათესებში ორლებნიანი სარეველების წინააღმდეგ.

პრეპარატის მოქმედების მექანიზმი:

2,4D დიმეთილამინის მარილი არღვევს ქსილემისა და ფლოემის უჯრედების განვითარებასა და ზრდას, რაც იწვევს ფოთლების და ღეროების ფორმის შეცვლას და წარმოქმნას. მას ასევე შეუძლია შეაჩეროს ქლოროფილის და პლასტიდების წარმოქმნა, რაც საბოლოოდ იწვევს ფოტოსინთეზის ინჰიბირებას. კულტურულ მცენარეში შეჭრიდან 10-15 დღეში ის მთლიანად იშლება და მოსავლის აღებამდე ნარჩენი არ რჩება პროდუქტში.

პრეპარატის გამოყენების უპირატესობები:

- დაბალი ხარჯვის ნორმა და მაღალი ეფექტურობა;
- სწრაფი მოქმედების უნარი;
- პრეპარატი ასევე გამოიყენება საძოვრებისა და თივის მინდვრებში შხამიანი და მავნე მცენარეების წინააღმდეგ;
- სწრაფად იშლება ნიადაგში;
- მდგრადია არასასურველი ამინდის პირობებშიც;
- დამცავი მოქმედება ნარჩუნდება 25-30 დღის განმავლობაში;



პრეპარატის გამოყენების რეკომენდაციები:

- თავსებადია ინსექტიციდებთან, სხვა ჰერბიციდებთან, ფუნგიციდებთან, ზრდის რეგულატორებთან და სასუქებთან;
- წამლობისას პრეპარატი არ უნდა შეეხოს მგრძნობიარე კულტურებს როგორიცაა: ვაზი, ხეხილი, მზესუმზირა, ბოსტნეული და სხვა;
- ამინდობრივი პირობებიდან გამომდინარე, სარეველების ზრდა დამუშავებიდან ორ-სამ საათში ჩერდება, სარეველების სრული სიკვდილი ხდება 10-15, ან მეტი დღის შემდეგ;
- თავთავიან კულტურებში გამოიყენება გაზაფხულზე, ბარტყობის ფაზიდან აღებამდე;
- შესხურება ხდება ნიადაგის ზედა, ან საჰაერო შემაფრქვევლებით;
- დამუშავებულ ფართობში შესვლის ვადა: მექანიზებული სამუშაოებისთვის-4 დღე, ხელით სამუშაოებისთვის-15 დღე;
- სიმინდის შესხურება 3-6 ფოთლის ფაზაში. უფრო გვიან შესხურება რეკომენდებული არ არის;
- პრეპარატი არ გამოიყენება ყინვის პერიოდში;
- ნუ დაამუშავებთ ახალგაზრდა, დასუსტებულ მცენარეს;

კულტურა	სარეველა	პრეპარატის ხარჯვის ნორმა (ლ/ჰა)	სამუშაო ხსნარის ხარჯვის ნორმა (ლ/ჰა)
საშემოდგომო და საგაზაფხულო ხორბალი, ქერი, შვრია, ჭვავი	მაღალმგრძნობიარე სარეველები: მინდვრის მდოგვი, რაფსის ნაგერალა, ბოლოკერა, ნაცარქათამა, ქუთქუთა, წიწმატურა, ნარი, ჯიჯილაყა, რძიანა, ტყისურა, თათაბო, წიწმატელა, გონგოლა ფუჩფუჩა, ძაღლყურძენა, ამბროზია, ღორის ბირკა, ბირკა, ცერცეველა	1-1.5	200-400
სიმინდი	**საკმაოდ მგრძნობიარე:** ხვართქლა, ყაყაჩო, სპერგულა, ვარდისფერი ღიჭა, ყვითელი ღიჭა, მზესუმზირა, დანდური, მატიტელა, შვრია, საპონელა. **ნაკლებად მგრძნობიარეა:** ირაგა, დედოფლისთითა, ყანის ია, ჟუნჟრუკო, ბეგიაური, ბებრისკონა, წითელი ჭინჭრის დედა, კესანე, კვირილა, გვირილა, თავცეცხლა, ლუმა, ბაია. **არ მოქმედებს:** შიშველი შვრია, თივაქასრა, საგველა, მელაკუდა, მხოხავი ჟანგა, შვრიუკა.	1-1.5	200-400

200 გ/ლ

C5H15N2O4P

ვისტა



მოქმედი ნივთიერება:
გლუფოსინატ ამონიუმი 200 გ / ლ

პრეპარატული ფორმა: წყალში ხსნადი კონცენტრატი

შეფუთვა: 1ლ

მწარმოებელი: Lier Chemical Co. Ltd, ჩინეთი

გლუფოსინატ ამონიუმი არის ფოსფონური მჟავის კონტაქტური ჰერბიციდი, რომელიც გამოიყენება მცენარეების დესიკაციისათვის, ბალახების და ფართოფოთლოვანი სარეველების არასელექტიური კონტროლისათვის.

პრეპარატის მოქმედების მექანიზმი:

გლუფოსინატ ამონიუმი მოძრაობს მხოლოდ დამუშავებული ფოთლების შიგნით (შეითვისება მხოლოდ მცენარის მწვანე ნაწილებით, არ შეიწოვება ნიადაგიდან ფესვებით). როდესაც ის შედის მცენარეში, ნაერთი იშლება, ამიტომ უჯრედებში მხოლოდ თავისუფალი მჟავა გლუფოსინატი იწყებს მოქმედებას. პესტიციდი ბლოკავს ფერმენტ გლუტამინ სინთეტაზას, რაც იწვევს მცენარეთა უჯრედებში ამიაკის შემცველობის ზრდას და საბოლოოდ დგება მცენარის უჯრედის სიკვდილი.

პრეპარატის გამოყენების უპირატესობები:

- ეფექტურია ძნელად აღმოსაფხვრელი წლიური და მრავალწლიანი ბალახებისა და ორწახნაგოვანი სარეველების წინააღმდეგ;
- უსაფრთხოა კულტივირებული მცენარეებისთვის;
- მაღალი ტემპერატურა, მაღალი ტენიანობა და მაღალი სინათლის ინტენსივობა აძლიერებს ამონიუმის გლუფოსინატის შეწოვას და მნიშვნელოვნად აძლიერებს მის აქტივობას;

პრეპარატის გამოყენების უპირატესობები:

- ოპტიმალური შედეგის მისაღებად გამოიყენეთ მაშინ, როდესაც სარეველას აქვს მინიმუმ 2 ფოთოლი და არის ზრდის აქტიურ ფაზაში;
- პრეპარატი გამოიყენება მცენარეთა დაცვის სხვა საშუალებებთან და მიკროსასუქებთან. თითოეულ შემთხვევაში რეკომენდებულია ჩატარდეს თავსებადობის ტესტი;
- პრეპარატის გამოყენება რეკომენდებულია დილით, ან საღამოს საათებში;
- შესაწამლად გამოიყენეთ სპეციალური აღჭურვილობა: რესპირატორი სპეცტანსაცმელი, რეზინის ხელთათმანი, სათვალე და სამუშაო აპარატურა;
- აუცილებელია სამუშაო ხსნარი მომზადდეს უშუალოდ გამოყენების წინ;

კულტურა	სარეველა	პრეპარატის ხარჯვის ნორმა (ლ/ჰა)	გამოყენების დრო, ხერხი და პერიოდი
კარტოფილი	ერთწლიანი და მრავალწლიანი ბალახი, ფართოფოთლოვანი სარეველა	3	სარეველების გაჩენამდე, სარეველების ზრდის აქტიურ ფაზაში.
ხეხილი	ერთწლიანი და მრავალწლიანი ბალახი, ფართოფოთლოვანი სარეველა	3-5	სარეველას ზრდის აქტიურ ფაზაში ერთხელ.
არასასოფლო დანიშნულების მიწები	ერთწლიანი და მრავალწლიანი ბალახი, ფართოფოთლოვანი სარეველა	3-5	გამოიყენეთ 2-ჯერ
ვენახი	ერთწლიანი და მრავალწლიანი ბალახი, ფართოფოთლოვანი სარეველა	3-5	გამოიყენეთ 2-ჯერ
მზესუმზირა	ერთწლიანი და მრავალწლიანი ბალახი, ფართოფოთლოვანი სარეველა	3	გამოიყენეთ 2-ჯერ
სოიო	ერთწლიანი და მრავალწლიანი ბალახი, ფართოფოთლოვანი სარეველა	3	გამოიყენეთ 2-ჯერ
თხილი	ერთწლიანი და მრავალწლიანი ბალახი, ფართოფოთლოვანი სარეველა	3-5	გამოიყენეთ 2-ჯერ

200 გ/ლ

C19H17ClN2O4

იაგუარი



მოქმედი ნივთიერება:
კვიზალაოპ-პ-ეთილი 200 გ / ლ

პრეპარატული ფორმა: ემულსია კონცენტრატი

შეფუთვა: 1 ლ

მწარმოებელი: Shandong Binnong Technology Co. Ltd, ჩინეთი

იაგუარი აღმოცენების შემდგომი მარცვლოვანი სარეველების წინააღმდეგ მოქმედი სუპერსელექციური ჰერბიციდია. იგი წარმატებით აფერხებს ერთწლიანი და მრავალწლიანი მარცვლოვანი სარეველების ზრდისა და განვითარების პროცესს.

პრეპარატის მოქმედების მექანიზმი:

ნივთიერება სწრაფად შეიწოვება და ადვილად გადადის მცენარეში, გროვდება მრავალწლოვანი ბალახის სარეველების კვანძებსა და მიწისქვეშა რიზომებში, სადაც მთლიანად ანადგურებს რიზომების მერისტემატურ ქსოვილებს. გარდა იმისა, რომ აქტიურია ადგილობრივი გამოყენებისას, ეფექტურია მრავალწლიანი მცენარეების რიზომების მეორადი ზრდის წინააღმდეგ საბრძოლველად. სარეველების განადგურება ხდება 7-10 დღის შემდეგ.

პრეპარატის გამოყენების უპირატესობები:

- გამოიყენება კულტურების ფართო სპექტრისთვის;
- ახასიათებს დაბალი ხარჯვის ნორმა;
- მისი გამოყენება უსაფრთხოა თესლბრუნვაში;
- მისი გამოყენება უარყოფითად არ მოქმედებს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე;
- არ ახასიათებს ფიტოტოქსიკურობა;
- მედეგია ატმოსფერული ნალექებისადმი (ადვილად არ ჩამოირეცხება);
- პრეპარატის ჰერბიციდული მოქმედება ეფექტურად გრძელდება უამინდობის პირობებშიც;

პრეპარატის გამოყენების რეკომენდაციები:

- შესაწამლად გამოიყენეთ სპეციალური აღჭურვილობა: რესპირატორი სპეცტანსაცმელი, რეზინის ხელთათმანი, სათვალე და სამუშაო აპარატურა;
- აუცილებელია სამუშაო ხსნარი მომზადდეს უშუალოდ გამოყენების წინ;

კულტურა	გასანადგურებელი ობიექტი	გამოყენების პერიოდი	ხარჯვის ნორმა ლ/ჰა
კარტოფილი, ხახვი, სტაფილო, კომბოსტო, პამიდორი, შაქრის ჭარხალი, მზესუმზირა	ერთწლიანი მარცვლოვანი *(ბურჩხა, მინდვრის სორგო, ძურწა, თივაქასრა, მელაკუდა, სეტარია, ერთწლიანი თოვაქასრა, ცოცხა ბალახი, მწყერფეხა, შვრიელა, ჭვარძლა)*	ნათესების შესხურება სარეველების 2-4 ფოთლის ფაზიდან, მიუხედავად კულტურის განვითარების ფაზისა	0.75-1
კარტოფილი, ხახვი, სტაფილო, კომბოსტო, პამიდორი, შაქრის ჭარხალი, მზესუმზირა	მრავალწლიანი მარცვლოვანი	შესხურება ვეგეტირებულ სარეველებზე 10-15 სმ სიმაღლისას	1-1.2
ვაზი	მრავალწლიანი მარცვლოვანი *(ჭანგა მხოხავი)*	მიმართული შესხურება ვეგეტირებულ სარეველებზე გაზაფხულზე კულტურის დაცვით	1-1.2



MIUCHEM

757 გ/კგ

C3H11N2O5P

კლინერ ექსტრა



მოქმედი ნივთიერება: გლიფოსატის ამონიუმის მარილი 757 გ / კგ, გლიფოსატის მჟავაზე გადაანგარიშებით 680 გ / კგ

პრეპარატული ფორმა: წყალში დისპერსირებადი გრანულები

შეფუთვა: 0.25 კგ, 0.5 კგ, 1 კგ

მწარმოებელი: Miuchem company limited, ჩინეთი

ტოტალური მოქმედების მაღალეფექტური ჰერბიციდი, კლინერ ექსტრა გამოიყენება ბალახეული სარეველების, ხე-ბუჩქოვანი მცენარეების, ერთწლიანი, მრავალწლიანი და მერქნიან-ბუჩქოვანი არასასურველი მცენარეების გასანადგურებლად. კლინერ ექსტრათი დამუშავებული სარეველა აღარ იზრდება.

პრეპარატის მოქმედების მექანიზმი:

პესტიციდი აღწევს მცენარის ფოთლის ზედაპირიდან, ღეროსა და მცენარის ნაწილებში. ფოთლის ზედაპირზე მოხვედრის შემდეგ პრეპარატი აღწევს ქსოვილის შიგნით და შემდგომ გადადის მის ყლორტებსა და ფოთლის აქტიური ზრდის ადგილებში (მარცვლეულის კვანძებში, ფესვების, ფოთლებისა და რიზომების ზრდის წერტილებში). პრეპარატი მცენარეში იჭრება 2-3 საათის განმავლობაში, ვიზუალური სიმპტომი ვლინდება 2-3 დღეში, ხოლო 1-1.5 კვირაში, კლიმატური პირობებისა და სარეველების ფიზიოლოგიური მდგომარეობის მიხედვით, მთლიანად ხმება სარეველა. თავთავიანი სარეველა გაცილებით მგრძნობიარეა ფართოფოთლოვნებთან შედარებით. პრეპარატის გამოყენებისას სარეველა ჯერ იღებს მწვანე ფერს, შემდეგ ყვითლდება, დეფორმირდება და შრება, რის შემდეგაც ხდება მცენარის სასიცოცხლო პროცესის ბლოკირება და საბოლოო განადგურება.

პრეპარატის გამოყენების უპირატესობები:

- პრეპარატი კარგად ერგება კულტურის დაცვის პროგრამებს;
- კლინერ ექსტრათი დამუშავებული მინდვრები არ განიცდიან ეროზიას და აქვთ მაღალი ტენიანობა;
- მაღალეფექტურია სხვადასხვა კულტურებში მოსავლის აღების წინ დესიკაციისთვის;
- ნიადაგში მოხვედრის შემდეგ, ნიადაგის მიკროორგანიზმების დახმარებით, პრეპარატი სწრაფად იშლება ბუნებრივ კომპონენტებად;
- შესანიშნავი მოქმედება სარეველების ფართო სპექტრის წინააღმდეგ;
- საშუალებას იძლევა ავიცილოთ საწვავის ხარჯი ნიადაგის მექანიზებული დამუშავებისათვის;
- კლინერ ექსტრა საშუალებას იძლევა გავასუფთავოთ სარეველებისგან: სარკინიგზო მაგისტრალები, ელექტროგადამცემი ხაზები, ავტოსაგზაო მაგისტრალები, სასაწყობე მეურნეობები და სხვა;

პრეპარატის გამოყენების უპირატესობები:

- საუკეთესო ეფექტი მიიღწევა, როდესაც სარეველები აქტიური ვეგეტაციის ფაზაში არიან (მრავალწლიანი მარცვლოვნები -მინიმუმ 4-5 ფოთლის და 10-20 სმ სიმაღლისა).მრავალწლიანი ფართოფოთლოვნები განსაკუთრებით მგრძნობიარენი არიან ყვავილობის წინ და ყვავილობის ფაზაში;
- შესხურება სასურველია ჩატარდეს უნალექო პირობებში, წვიმამდე მინიმუმ 4 საათით ადრე;
- თუ საჭიროა ნიადაგის დამუშავება, მიზანშეწონილია ამის გაკეთება მინიმუმ 2 კვირის შემდეგ, რადგან მიუხედავად იმისა, რომ სარეველას მიწისზედა ნაწილი მალე კვდება, ფესვთა სისტემას ამისთვის უფრო მეტი დრო სჭირდება (ფესვთა სისტემის სიკვდილიანობა დამოკიდებულია ნიადაგის ტემპერატურასა და ტენიანობაზე);
- შესხურება რეკომენდებულია ჩატარდეს სარეველების ზრდის პერიოდში;
- მაქსიმალური ეფექტურობის მისაღებად აუცილებელია მცენარის მიწისზედა ნაწილები თანაბრად დაიფაროს პრეპარატის შესხურებისას (სარეველა უნდა იყოს ზრდის ფაზაში);
- მოერიდეთ ხსნარის შემთხვევით კონტაქტს სხვა კულტურებთან;
- შესაწამლად გამოიყენეთ სპეციალური აღჭურვილობა: რესპირატორი, სპეცტანსაცმელი, რეზინის ხელთათმანი, სათვალე და სამუშაო აპარატურა;
- აუცილებელია სამუშაო ხსნარი მომზადდეს უშუალოდ გამოყენების წინ;

კულტურა	გასანადგურებელი ობიექტი	გამოყენების პერიოდი	ხარჯვის ნორმა ლ/ჰა
ხეხილი, ვაზი, ციტრუსი, თხილი	ერთწლოვანი მარცვლოვნები და ორლებნიანები.	შესხურება ვეგეტირებულ სარეველბზე გაზაფხულზე და ზაფხულში(კულტურის დაცვით).	2-4
ხეხილი, ვაზი, ციტრუსი, თხილი	მრავალწლიანი მარცვლოვნები და ორლებნიანები.	შესხურება ვეგეტირებულ სარეველბზე გაზაფხულზე და ზაფხულში(კულტურის დაცვით).	4-6
მარცვლოვნები	მრავალწლიანი ერთლიანი მარცვლოვნები და ორლებნიანები.	ნათესების შესხურება მოსავლის აღებამდე ორი კვირით ადრე(მარვცლის ტენიანობის არაუმეტეს 30%-ისას) მარცვლის შესაშრობად და ნაწილობრივ სარეველების დასათრგუნად.	2-4

მინდვრები სადაც დაითესება სიმინდი, ხორბალი, რაფსი	ერთწლოვანი ორლებნიანი და მარცვლოვანი სარეველები.	ვეგეტირებულ სარეველებზე შესხურება მოსავლის აღების შემდეგ.	2-4
ქალაქის (სოფლის) ობიექტები: სკვერები, პარკები, რკინიგზის ზონები, საწარმოო დაწესებულებები და სხვა ობიექტები).	არასარურველი ბალახოვანი და ბუჩქოვან მერქნიანი მცენარეულობა.	ვეგეტაციის ადრეულ პერიოდში.	4-6





კლინერი

480 გ/ლ
C6H17N2O5P

კლინერი



მოქმედი ნივთიერება: გლიფოსატ-იზოპროპილამინის მარილი 480 გ / ლ, გლიფოსატის მჟავაზე გადაანგარიშებით 360 გ / ლ

პრეპარატული ფორმა: წყალხსნარი

შეფუთვა: 1 ლ, 5 ლ, 10 ლ, 20 ლ

მწარმოებელი: Zhejiang Xinan Chemical Industrial Group Co.Ltd, ჩინეთი

ტოტალური მოქმედების მაღალეფექტური ჰერბიციდი გამოიყენება ბალახეული სარეველების, ხე-ბუჩქოვანი მცენარეების და სხვა არასასურველი მცენარეების გასანადგურებლად.

პრეპარატის მოქმედების მექანიზმი:

კლინერს გააჩნია სწრაფი მოქმედების მექანიზმი. მისი შემადგენელი ნივთიერება გლიფოსატ-იზოპროპილამინის მარილის ფორმულირებებში, ხსნადობის გასაუმჯობესებლად, გლიფოსატი გარდაიქმნება იზოპროპილამინის ფორმად. იზოპროპილამინის მარილი, როგორც აქტიური ნივთიერება, შეიცავს გლიფოსატზე დაფუძნებული პრეპარატების უმეტესობას. კლინერი დიფუზიურად იჭრება მცენარის ქსოვილებში ფოთლის ბაგეებიდან და გადანაწილდება მთელ სისტემაში, მათ შორის ფესურებშიც. გარეგანი ნიშნები შეინიშნება გამოყენებიდან 1 კვირაში, სრული განადგურება ხდება 2-3 კვირაში, ამინდობრივი პირობებიდან გამომდინარე. საუკეთესო ეფექტი მიიღწევა გასანადგურებელი მცენარეების აქტიური ზრდის ფაზაში, თბილი ამინდისა და ნიადაგის საკმარისი ტენიანობის დროს.

პრეპარატის გამოყენების უპირატესობები:

- ეფექტურად თრგუნავს არასასურველი ბალახოვანი და ხებუჩქოვანი მცენარეულობის სრულ სპექტრს;
- ანადგურებს ხეების და ბუჩქების როგორც მიწისზედა, ისე მიწისქვეშა ნაწილებს;
- მისი გამოყენება შესაძლებელია ნებისმიერ ტემპერატურაზე (დამუშავების დროს სარეველების სიცოცხლისუნარიანობის გათვალისწინებით);
- არ ახდენს უარყოფით გავლენას გარემოზე;
- სწრაფად იშლება ნიადაგში;
- სრულად იხსნება წყალში;
- საგრძნობლად ამცირებს შრომით და დროით დანახარჯებს არასასურველი მცენარეებისგან ტერიტორიების გაწმენდისას;

პრეპარატის გამოყენების რეკომენდაციები:

- დამუშავებიდან რამდენიმე დღეში შესაძლებელია ნებისმიერი კულტურის დათესვა (დარგვა);
- დამუშავების პერიოდში, სარეველების ზრდის აქტივობისა და ამინდის პირობების მიხედვით, ჰერბიციდული მოქმედების გამოვლენა (მცენარის ფოთლების თანდათანობითი ჭკნობა, გაყვითლება, განადგურება) შეინიშნება 10, ან მეტი დღის შემდეგ;
- წამლის ეფექტურობა მცირდება ყინვის პერიოდში გამოყენებისას;
- არ არის რეკომენდებული ჰერბიციდის გამოყენება მცენარეებზე ძლიერი ნამის დროს, რაც ასევე ამცირებს მკურნალობის ეფექტურობას;
- შესაწამლად გამოიყენეთ სპეციალური აღჭურვილობა: რესპირატორი, სპეცტანსაცმელი, რეზინის ხელთათმანი, სათვალე და შესაწამლი აპარატურა;
- აუცილებელია სამუშაო ხსნარი მომზადდეს უშუალოდ გამოყენების წინ;

კულტურა	გასანადგურებელი ობიექტი	გამოყენების პერიოდი	ხარჯვის ნორმა ლ/ჰა
ვაზი, ხეხილი	ერთწლიანი მარცვლოვანი და ორლებნიანი სარეველები. მრავალწლიანი მარცვლ-ოვანი და ორლებნიანი სარეველები.	შესხურება ვეგეტირებულ სარეველბზე გაზაფხულზე ან ზაფხულში კულტურის დაცვით. სამუშაო ხსნარი 200-300ლ/ჰა.	3 4
მინდვრები განკუთვნილი საგაზაფხულო ნათესებისთვის	მრავალწლიანი მარცვლ-ოვანი და ორლებნიანი სარეველები.	შესხურება სასურველია, შემოდგომით მოსავლის,აღების შემდგომ სამუშაო ხსნარი 200-300 ლ/ჰა.	4
სარკინიგზო მაგისტრალები, სამრეწველო ობიექტები	არასასურველი ბალახოვანი და ბუჩქოვანი მცენარეულობა.	პირდაპირი შესხურება აქტიურ-ვეგეტირებად გასანადგურებელ ობიექტებზე, სამოქალაო მცენარეულობის სამუშაო ხსნარი 200-300ლ/ჰა.	4-6



700 გ/კგ
C8H14N4OS

კურმუზინი



მოქმედი ნივთიერება:
მეტრიბუზინი 700 გ / კგ

პრეპარატული ფორმა: წყალში დისპერსირებადი გრანულები

შეფუთვა: 0.5კგ

მწარმოებელი: Korma Klor Alkali Sanay ve Ticaret A.S, თურქეთი

თანამედროვე სისტემური მოქმედების ჰერბიციდი კარტოფილის, პომიდორის, სოიასა და იონჯის ნათესებში, ერთწლიანი ორლებნიანი და მარცვლოვანი სარეველების წინააღმდეგ. პრეპარატი მაღალეფექტურია ისეთ ორლებნიან სარეველებზე, როგორიცაა: ჯიჯილაყა, შავთარა, თავცეცხლა, გვირილა და სხვა.

პრეპარატის მოქმედების მექანიზმი:

ჰერბიციდი მოქმედებს:1. ფოთლოვანი (ფოტოსინთეზური ინჰიბირების) მექანიზმით
2. ნიადაგური მექანიზმით (ნიადაგის ზედაპირს გადაეკვრება აპკის სახით და ხელს უშლის სარეველების ამოსვლას). აქტიური ნივთიერება, რომელიც აღწევს მცენარეებში, აქტიურად აფერხებს უჯრედების ზრდას და გაყოფას, არღვევს მათ ცილოვან და ლიპიდურ მეტაბოლიზმს, რაც იწვევს სარეველების განადგურებას.

პრეპარატის გამოყენების უპირატესობები:

- ეფექტურია ყველაზე მნიშვნელოვანი ფართოფოთლოვანი და მარცვლოვანი სარეველების წინააღმდეგ;
- შესაძლებელია გამოყენება ნათესებისა და სარეველების გაღივებამდე და შემდეგ;
- აქვს დაბალი ხარჯვის ნორმა და მაღალი ეფექტურობა;
- უზრუნველყოფს კულტურების დაცვას მოსავლის აღებამდე;
- ადვილად და სწრაფად იშლება ნიადაგში;
- მაღალეფექტური და გრძელვადიანი დამცავი ეფექტი აქვს;
- ანადგურებს ვეგეტატიურ სარეველებს და მათ ყლორტებს;

პრეპარატის გამოყენების უპირატესობები:

- რეკომენდებული ხარჯვის ნორმებით გამოყენებისას, პრეპარატი უვნებელია კულტურებისთვის;
- პრეპარატის ეფექტურობა დამოკიდებულია ნიადაგის თვისებებზე და დამუშავების დროზე;
- პრეპარატის ეფექტურობისათვის უმნიშვნელოვანესია ნიადაგის ტენიანობა და მომზადების ხარისხი;
- დაუშვებელია პრეპარატის გამოყენების შემდეგ ნიადაგის დამუშავება;

კულტურა	გამოყენების მეთოდი	ნიადაგის ტიპი	გამოყენების ჯერადობა
კარტოფილი	კარტოფილის აღმოცენებამდე	მსუბუქი საშუალო მძიმე	0.5-0.75 0.75-1 1-1.5
კარტოფილი	ნაწილობრივი: 1 აღმოცენებამდე 2 კარტოფილის 5 სმ სიმაღლისას	მსუბუქი საშუალო მძიმე	0.5-1 0.3
იონჯა	მეორე წლის მცენარის გამოზრდამდე, სათესი ნაკვეთები	მსუბუქი საშუალო მძიმე	1.4
იონჯა	ნათესების წამლობა კულტურის 10-15 სმ სიმარლისას	მსუბუქი საშუალო მძიმე	1.4
პომიდორი	ნათესების წამლობა კულტურის 2-4 ფოთლის ფაზაში	მსუბუქი საშუალო მძიმე	0.7-1.0
სოიო	სოიოს აღმოცენებამდე	მსუბუქი საშუალო მძიმე	0.5-0.75 0.75-1.2 0.75-1.4

MIUCHEM COMPANY LIMITED

69 გლ

C18H16ClNO5

მედსი



მოქმედი ნივთიერება: ფენოქსაპროპ-პ-ეთილი 69 გლ+ მეფენპირ-დიეთილი 75 გლ

პრეპარატული ფორმა: წყლიან ზეთოვანი ემულსია

შეფუთვა: 1 ლ

მწარმოებელი: Miuchem Company Limited, ჩინეთი

მედსი გამოიყენება საგაზაფხულო და საშემოდგომო ხორბალში, ჭვავსა და ქერში. პრეპარატი მარტივად უმკლავდება სარეველების ისეთ სახეობებს, როგორიცაა: შვრიუკა, საგველა ჩვეულებრივი, მდელოს მელაკუდა, ძურწა, მწყერფეხა სახეობები და სხვა.

პრეპარატის მოქმედების მექანიზმი:

მედსი (ფენოქსაპროპ-პ-ეთილი 69 გლ+ მეფენპირ-დიეთილი 75 გლ) წარმოადგენს ცხიმოვანი მჟავების სინთეზის ინჰიბიტორს, აცეტილ CoA კარბოქსილაზას (ACCase) ინჰიბირებით და არის უფრო უსაფრთხო, შერჩევითი ჰერბიციდი კონტაქტურ-სისტემური მოქმედებით. მედსი გამოიყენება კარტოფილის, პარკოსების, სოიოს მარცვლების, ბოსტნეულის, მიწისთხილის, სელის, ზეთოვანი რაფსისა და ბამბის ერთწლოვანი და მრავალწლოვანი სარეველების აღმოცენების შემდგომი კონტროლისთვის.

პრეპარატის გამოყენების უპირატესობები:

- პრეპარატს ახასიათებს მაღალეფექტური ჰერბიციდული მოქმედება;
- შესაძლებელია გამოიყენოთ კულტურათა ფართო სპექტრისთვის;
- მედსი უმკლავდება სარეველების მრავალფეროვან სახეობებს;
- არ ახასიათებს ფიტოტოქსიკურობა;
- არ იწვევს რეზისტენტობას (შეჩვევას);

პრეპარატის გამოყენების რეკომენდაციები:

- დამუშავებულ ადგილებში შესვლა შესაძლებელია 4 საათის შემდგომ;
- პროდუქტის შერევა შესაძლებელია ფართოფოთლოვან ჰერბიციდებთან;
- შეინახეთ შინაური ცხოველებისა და საკვები პროდუქტებისგან მოშორებით;

კულტურა	მოქმედების სპექტრი	დამუშავების ხერხი, დრო, შეზღუდვა	ჯერადობა	ხარჯვის ნორმა ლ/ჰა
საგაზაფხულო და საშემოდგომო ხორბალი, ჭვავი, ტრიტიკალე, ქერი	შვრიუკა, სახეობები*(Avenna spp.)*, საგველა ჩვეულებრივი *(Apera spica -venti)*, მდელოს მელაკუდა *(Alopecurus myosuroides)*, თივაქასრა *(Poa annua)*, ძურწა სახეობები *(Setaria spp.)*, ბურჩხა*(Echinocloa crusgalli)*, ფეტვი სახეობები*(Panicum spp)*, წყერფეხა სახეობები*(Digitaria sanguinalis)*, სიმინდი, აღმონაცენი(Zea).	ნათესების შესხურება სარეველას ვეგეტაციის პერიოდში, დაწყებული მე-2 ფოთლის ფაზიდან ბარტყობის დამთავრებამდე.	1	0.8-1,2ლ/ჰა



75% ვგ
C15H18N6O6S

მენსურონ ექსტრა



მოქმედი ნივთიერება: ნიკოსულფურონი 75 % ვგ

პრეპარატული ფორმა: წყალში დისპერსირებადი გრანულები

შეფუთვა: 0.25კგ

მწარმოებელი: Shandong Binnong Technology Co. Ltd, ჩინეთი

მენსურონ ექსტრა გამოიყენება სიმინდში გავრცელებული ერთწლიანი (მარცვლოვანი, ორლებნიანი) და მრავალწლიანი სარეველების წინააღმდეგ.

პრეპარატის მოქმედების მექანიზმი:

პრეპარატი შთაინთქმება სარეველების ფოთლების, ღეროს და ფესვთა სისტემის მიერ და აჩერებს არასასურველ მცენარეთა ზრდა-განვითარებას. თვალსაჩინო შედეგი გამოვლინდება შესხურებიდან 2-3 დღის შემდეგ, ხოლო სარეველები სრულად ნადგურდება 14-20 დღეში. ნიკოსულფურონი შეიწოვება სარეველების ფოთლის ზედაპირიდან, გადაადგილდება მცენარეში, სწრაფად იშლება და იწვევს სიკვდილიანობას, ასევე სპობს მხოხავი ჭაგას ფესვთა სისტემას.

პრეპარატის გამოყენების უპირატესობები:

- გაუმჯობესებული მოქმედება ერთწლიან, მრავალწლიან და ორლებნიან სარეველებზე;
- ზეთოვანი დისპერსია საშუალებას იძლევა პრეპარატი გამოვიყენოთ ამინდობრივი პირობების ცვალებადობისგან დამოუკიდებლად, რადგან გაზრდილია მიმწებებლობის უნარი;
- პრეპარატი თანაბრად ნაწილდება და იჭრება მცენარეში;
- უზრუნველყოფს ნათესების გასუფთავებას სარეველებისგან მოსავლის აღებამდე;

პრეპარატის გამოყენების რეკომენდაციები:

- პრეპარატი გამოიყენება მცენარეთა დაცვის სხვა საშუალებებთან, თუმცა თითოეულ შემთხვევაში რეკომენდებულია ჩატარდეს თავსებადობის ტესტი;
- პრეპარატის გამოყენება რეკომენდებულია დილით, ან საღამოს საათებში;
- შესაწამლად გამოიყენეთ სპეციალური აღჭურვილობა: რესპირატორი, სპეცტანსაცმელი, რეზინის ხელთათმანი, სათვალე და სამუშაო აპარატურა;
- აუცილებელია სამუშაო ხსნარი მომზადდეს უშუალოდ გამოყენების წინ;

კულტურა/ დასამუშავებელი ობიექტი	მავნებელი	გამოყენების ხერხი, დრო, თავისებურება	პრეპარატის ხარჯვის ნორმა (ლ/ჰა, კგ/ჰა, ლ/ტ, კგ/ტ)	ლოდინის პერიოდი (გამოყენების ჯერადობა)	დამუშავებულ ფართობზე ხელით (მექანიზებული) სამუშაოების დაწყების დრო
სიმინდი (მარცვალი) სასილოსე	მრავალწლოვანი მარცვლოვანი (შალაფა, მხოხავი ჭანგა), ერთწლიანი მარცვლოვანი და ორლებნიანი	შესხურება კულტურის 3-6 ფოთლის ფაზაში და სარეველა მცენარის განვითარების ადრეულ ფაზაში (2-6 ფოთოლი ერთწლიანებში და 20-30 სმ სიმაღლე მრავალწლიან-ებში)	0.08 -0.1	- (1)	7(3)

40 გ/ლ
C15H18N6O6S

მენსურონი



მოქმედი ნივთიერება: ნიკოსულფურონი 40 გ / ლ

პრეპარატული ფორმა: ზეთოვანი დისპერსირებული სითხე

შეფუთვა: 5 ლ, 1 ლ

მწარმოებელი: Shandong Binnong Technology Co. Ltd, ჩინეთი

მენსურონი არის სისტემური ჰერბიციდი ერთწლიანი და მრავალწლიანი მარცვლოვანი და ფართოფოთლიანი სარეველების წინააღმდეგ საბრძოლველად სიმინდის ნათესებში.

პრეპარატის მოქმედების მექანიზმი:

პრეპარატის მოქმედი ნივთიერება ძირითადად შეიწოვება ფოთლებიდან და გადაადგილდება სარეველების ზრდის წერტილებისაკენ. ჰერბიციდი აჩერებს უჯრედების დაყოფას ფესვებისა და ნაზარდების ზრდის წერტილებში, რის შედეგადაც მგრძნობიარე სარეველების ზრდა ჩერდება. დამუშავებული თესლი რამდენიმე საათის განმავლობაში იზრდება და ახლად განვითარებულ ფოთლებზე თანდათანობით აჩენს შეფერილობას. ამას მოჰყვება ფოთლების ნეკროზის გაშრობა და მცენარეთა სიკვდილი. ვიზუალური ეფექტი მკურნალობის დაწყებიდან 4-5 დღის განმავლობაში გამოჩნდება და მცენარე, ჩვეულებრივ, 20-25 დღის განმავლობაში კვდება.

პრეპარატის გამოყენების უპირატესობები:

- შესხურებიდან მალევე პარაზიტების ნაწილი წყვეტს არსებობას;
- სარეველების ღეროებში გაჩენისთანავე, მყისიერად აჩერებს ზრდის პროცესს;
- სარეველების ფესვთა სისტემის განადგურება უზრუნველყოფს მცენარის დაცვას მომავალ წელსაც;

პრეპარატის გამოყენების რეკომენდაციები:

- პრეპარატის მოქმედების ეფექტურობა იზრდება თბილი და ნესტიანი ამინდების დროს, ხოლო ცივი და მშრალი ამინდის პირობებში მისი მოქმედება ნელდება;
- არ გამოიყენოთ ეს პროდუქტი ტკბილ სიმინდზე, პოპკორნის ველებზე;
- არ გამოიყენით პესტიციდი ძლიერი ქარის დროს, ან წვიმამდე 1 საათით ადრე;
- არ გამოიყენოთ ეს პროდუქტი, როდესაც სიმინდის ველზე სხვა მცენარეები ირგვება;
- პრეპარატის გამოყენება არ არის რეკომენდებული ორგანოფოსფატის ინსექტიციდებთან შერევით, ან იქ სადაც ორნატები გამოიყენება გრანულა ორგანიზოფოსფეტურ ინსექტიციდებთან ერთად;

კულტურა	სარეველა	ხარჯვის ნორმა კგ/ჰა	გამოყენების დრო და პერიოდი
სიმინდი (სამარცვლე, სასილოსე)	მრავალწლიანი მარცვლოვანი (შალაფა, მხოხავი, ჟანგა) ერთწლიანი მარცვლოვანი და ორლებნიანი სარეველები	1-1.25	-1



600 გ/კგ
C14H15N5O6S

მეტსი



მოქმედი ნივთიერება:
მეტსულფურონ მეთილი 600 გ/კგ

პრეპარატული ფორმა: წყალში დისპერსირებადი გრანულები

შეფუთვა: 0.25კგ

მწარმოებელი: Parijat Industries, ინდოეთი

სისტემური მოქმედების მაღალეფექტური ჰერბიციდი გამოიყენება საშემოდგომო ხორბლისა და ქერის ნათესებში გავრცელებული ერთწლიანი და მრავალწლიანი ორლებნიანი სარეველების ფართო სპექტრის წინააღმდეგ.

პრეპარატის მოქმედების მექანიზმი:

ვაშლი მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში გავრცელებული თესლოვანი კულტურაა, რომელიც დაახლოებით ოთხი ათასი წლის წინაა კულტივირებული. ცნობილია ვაშლის 10 ათასზე მეტი ჯიში, მათგან საქართველოში 200-მდე ჯიში გვხვდება. განსაკუთრებით დიდი სამეურნეო მნიშვნელობა აქვს ვაშლის საადრეო მსხმოიარობით გამორჩეულ ჯიშებს. აღნიშნული იძლევა უხვ მოსავალს, კლიმატურ პირობების, დაავადებელ-მავნებლების მიმართ გამძლეობით და მაღალი გემოვნური თვისებებით გამოირჩევა. საქართველოში ვაშლი ფართოდაა გავრცელებული: კახეთში, ქართლში, მესხეთში, იმერეთში, რაჭა-ლეჩხუმში, გურიაში, აჭარაში და მეხილეობის ყველა ზონაში.

ნიადაგის მომზადება

ნიადაგის მომზადების პროცესი იწყება ვაშლის დარგვამდე რამდენიმე თვით ადრე. ნიადაგის ზედაპირის მოსწორების შემდეგ, იწყება მისი ღრმად დამუშავება 40–60სმ-ის სიღრმეზე. ვაშლის დარგვამდე რეკომენდებულია ჩატარდეს ნიადაგის ქიმიური ანალიზი და ამის შემდეგ მოხდეს საჭირო რაოდენობის მინერალური სასუქის შეტანა. სამუშაოთა სრული ციკლი ვაშლის დარგვამდე რამდენიმე თვით ადრე უნდა დასრულდეს.

ვაშლის ნერგების შერჩევა და დარგვა

სამრეწველო ვაშლის ბაღების გასაშენებლად, რეკომენდებულია დაირგას ერთწლიანი და ორწლიანი ნერგები. შერჩეული ნერგის ზომა უნდა იყოს 1.2–დან 1.8 მეტრამდე სიმაღლის, კარგად განვითარებული ფესვთა სისტემითა და სწორი ღეროებით. დატოტვილი ნერგის დარგვის შემთხვევაში უფრო ადრე იღებთ მოსავალს. ასეთი ტიპის ნერგის ფორმირებაც მარტივია.

ვაშლის დარგვამდე, უმჯობესია რამდენიმე დღით ადრე გამზადდეს 40-50სმ დიამეტრის და 30–40 სმ სიღრმის ორმოები. დარგვამდე ნერგი მზის სხივებისგან დაცულ ადგილას უნდა განათავსოთ. ფესვების გამოშრობის თავიდან ასაცილებლად დააფარეთ სველი ტილო. დარგვამდე კიდევ ერთხელ უნდა გადამოწმდეს ნერგები და დაზიანებული ფესვის ბოლოები ზომიერად უნდა დამოკლდეს. ფესვებს შორის სიცარიელის შესავსებად ფხვიერი მიწა უნდა მიეყაროს და ფეხით დაიტკეპნოს. დარგვის შემდეგ რეკომენდებულია სარის შედგმა და ნერგის მიბმა.

ნიადაგის მოვლა

ვაშლის კულტურის გაშენების შემდეგ მნიშვნელოვანია ნიადაგის სწორი მოვლა, რათა საფრთხე არ შეექმნას მცენარის განვითარებას. ვაშლის ბაღის მოვლისას მთავარია მისი დაცვა სარეველებისგან (რიგთაშორისებში გამოყენებული უნდა იქნას დაკოდრება).

დაცვითი ღონისძიებები

ვაშლს განსაკუთრებით აზიანებს ქეცი და ნაცარი, მავნებლებიდან-ბუგრები, ტკიპები, მენაღმიები, აღმოსავლური ნაყოფჭამიები და სხვა. აგროსპეციალისტების რეკომენდაციით გეგმიური დაცვითი ღონისძიებების ჩატარება კულტურის სწორი განვითარებისა და ხარისხიანი მოსავლის მისაღებად აუცილებელია.

მოსავლის აღება

ვაშლის კრეფა მიზანშეწონილია მშრალ ამინდში. წვიმის შემთხვევაში, უმჯობესია, კრეფის პროცესი გადაიდოს ნაყოფის გაშრობამდე. ვაშლის კრეფისას ნაყოფი ხელისგულში თავსდება, შემდეგ ნაყოფის ყუნწში ზევით და გვერდზე გადაწევის გზით ხდება ნაყოფის კრეფა. ამ დროს აუცილებელია ხილის ყუნწის შენარჩუნება. არ შეიძლება ნაყოფის პირდაპირ ჩამოგლეჯა. კრეფის პროცესისას ნაყოფი არ უნდა დაიჟეჟოს, რათა მისი შენახვა ხანგრძლივი პერიოდით გახდეს შესაძლებელი.

*Agrokavkaz.ge



ციტრუსი



კვირტების აღმოცენებამდე



მეჭეჭიანობა, მალსეკო, ანთრაქნოზი, ფიტოფტოროზი, ბაქტერიული ნეკროზი, ნაყოფების ლპობა, ციტრუსის ცრუფარიანა, ფრთათეთრა, თრიფსები

პროტექტი - 6კგ
საჰები - 1ლ
ოლეულუქი - 17ლ

კვირტების გაბერვა



მეჭეჭიანობა, მალსეკო, ანთრაქნოზი, ფიტოფტოროზი, ფომოფსისი, ციტრუსის ცრუფარიანა, ფრთათეთრა, თრიფსები, ალტერნარიოზი

პროტექტი - 3კგ
სპარტაკუსი - 0.5კგ
მალათიონი - 1ლ

აყვავილება / ყვავილის გაშლა



ქეცი, ალტერნარიოზი, ნეკროზი

სტაგერ მ-45 - 2კგ
ალფა ლაიფი - 0.5ლ

ნაყოფის გამოტანა



ბუგრები, თრიფსები, ალტერნარიოზი, ფოთლოვანი კვება

მედალ-გოლდი-0.25ლ

ნაყოფის განვითარება



ქეცი, ალტერნარიოზი, ფოთლოვანი კვება, ყავისფერი ლაქიანობა, მწვანე ობი, ლურჯი ობი, ციტრუსის ფრთათეთრა

პრივატი - 0.25გ
მონბანდი MKP (0-52-34) - 4კგ
ინდაზოლი - 1ლ
ბაიტი - 0.5ლ

ნაყოფის ფერის ცვლილება



ფოთლოვანი კვება, ციტრუსოვანთა ფრთათეთრა, ნარინჯისფერი ჩაის ბუგრი, ქეცი, ალტერნარიოზი, ნეკროზი

მონბანდი NOP (13.5-0-46) - 4კგ
სტაგერ მ-45 - 2.5კგ
ჰირო - 0.15კგ

ნაყოფი მწიფეა და მზადაა მოსაკრეფად



მეჭეჭიანობა, მალსეკო. ანთრაქნოზი, ფიტოფტოროზი, წითელი ტკიპა, ვერცხლისფერი ტკიპა

ბორდოტანი-10კგ
ეიბისი სუპერ-0.5ლ



#ჩვენი ფერმერს

ციტრუსი მარადმწვანე მცენარეთა, ტეგანისებრთა ოჯახს განეკუთვნება. ციტრუსოვან გვარში 39 სახეობა და სახესხვაობაა. იგი მოჰყავთ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში. სამრეწველო წარმოების მხრივ, ციტრუსოვანი კულტურებიდან პირველ ადგილს იკავებს ფორთოხალი, შემდეგ გრეიფრუტი, მანდარინი, ლიმონი და სხვა. ციტრუსის ნაყოფი გამოირჩევა სასიამოვნო გემოთი, ასევე აქვს სამკურნალო და დიეტური ეფექტი. ციტრუსის ნაყოფს იყენებენ ნედლად, გადამუშავებული სახით (წვენი, მურაბა, ცუკატი) და კულინარიაში. რაც შეეხება კანს, მისგან ამზადებენ ეთეროვან ზეთებს, რომელსაც იყენებენ პარფიუმერიაში და კვების მრეწველობაში. ციტრუსოვანი კულტურის სამშობლოდ მოიაზრება ინდოეთი, ჩინეთი და ინდოჩინეთი. აღნიშნული კულტურა ევროპაში ცნობილი იყო XIII საუკუნეზე ადრე, ხოლო საქართველოში ციტრუსოვან კულტურას ვხვდებით XII საუკუნიდან. საქართველოში გაშენებული ციტრუსოვანი კულტურების 90%-ზე მეტი დასავლეთ საქართველოშია გავრცელებული, სადაც ღია გრუნტის პირობებში მოჰყავთ მანდარინი, ფორთოხალი, გრეიფრუტი და სხვა.

ნიადაგის შერჩევა

ციტრუსოვანი კულტურის გაშენებამდე, სწორი ნიადაგის შესარჩევად, რამდენიმე კომპონენტია გასათვალისწინებელი (რელიეფი, ადგილმდებარეობა, სიმაღლე, ზღვიდან დაშორება). ასევე სწორად უნდა განვსაზღვროთ ზამთრის პირობების მიმართ კულტურების გამძლეობისა და შეგუების შესაძლებლობები. ციტრუსოვანი კულტურებისთვის საჭიროა ნეშომპალა-კარბოტანული, ყომრალი ყვითელმიწა, სუსტი გაეწრებული და ალუვიური ნიადაგები.

ციტრუსის გაშენებამდე

ციტრუსის ბაღის გასაშენებლად, ნიადაგი უნდა მოვამზადოთ ერთი, ან ორი წლით ადრე. ნაკვეთის შერჩევის შემდეგ, ნიადაგი უნდა განთავისუფლდეს ბუჩქებისაგან, მათი ფესვები უნდა ამოიძირკვოს და ნაკვეთის ზედაპირი მოსწორდეს. ნიადაგის მომზადებისას, მასში უნდა შევიტანოთ ფოსფოროვანი სასუქი. ამის შემდეგ უკვე შეიძლება დაითესოს წინამორბედი კულტურები (სიდერატები,მარცვლოვნები).

ნიადაგის დამუშავება და განოყიერება

ციტრუსის გაშენების პირველ ორ წელიწადს, სავეგეტაციო პერიოდში, ნიადაგი მუშავდება 3–4 ჯერ და იმულჩება მცენარეული მასით. რიგთაშორის დარჩენილ ზოლებში ითესება ზაფხულის და ზამთრის სიდერატები. ნაყოფიერებიდან გამომდინარე, თუ მჟავიანობა იზრდება, საჭიროა მოკირიანება. ასევე, ნიადაგის მიკროორგანიზმებით გასამდიდრებლად, სასურველია გამოიყენოთ მინერალური სასუქები. ნებისმიერი კულტურისთვის მნიშვნელოვანია მორწყვა. ზოგიერთ რეგიონში, განსაკუთრებით ზაფხულის პერიოდში, ნიადაგი განიცდის წყლის დეფიციტს, ამიტომ ციტრუსოვანი კულტურის მორწყვა რეკომენდებულია დაწვიმებით, წვეთური და გამაგრილებელი სისტემით.

მოსავლის აღება

მანდარინი უნდა მოკრიფოთ მაშინ, როდესაც კანის 2/3 დამახასიათებელ ყვითელ ფერს მიიღებს. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ჯიშებისა და რეგიონების მიხედვით, კრეფის ვადები იცვლება. განსხვავებულია ფორთოხლის კრეფის პროცესი. ის უნდა მოიკრიფოს ნოემბრის ბოლოს და დეკემბერში. ლიმონის კრეფა, მიუხედავად კანის შეფერილობისა, დასაშვებია მაშინ, როდესაც ის მიაღწევს სტანდარტულ სიმსხოს (50მმ) და წვნიანი გახდება.
ნაყოფის კრეფა უნდა დაიწყოთ მშრალ ამინდში, შესაბამისი ნაყოფმჭრელი მაკრატლით. რაც მთავარია, ნაყოფი ფრთხილად უნდა მოთავსდეს ყუთებში, რათა არ დაზიანდეს და დაიბეჟოს.

*Agrokavkaz.ge

თხილი



ტოტები მამრობითი ყვავილებითა და სავეგეტაციო კვირტებით



მოზამთრე მავნებლები (აზიური ფაროსანა, თხილის ცხვირგრძელა, თხილის კვირტის ტკიპა)

ოლეულუქი-17ლ

მამრობითი ყვავილების ნაკრები მთავარ ღერძზე, ე.წ. მჭადაზე



ცისფერი წამლობა მოზამთრე დაავადებების და მავნებლების წინააღმდეგ

ბორდოტანი-20-25კგ
ეიბისი სუპერ-0.4ლ

კვირტის ვეგეტაცია



სოკოვანი დაავადებები, კვირტის ტკიპა

პროტექტი-2-2.5კგ
საჰები-1.5ლ

რეპროდუქციული კვირტები, ურთიერთშეზრდილი მდედრობითი ბუტკოიანი თანაყვავილედით



ნაცარი, ბუგრები, მავნებელთა კომპლექსი

ინდოფილი-2.5კგ
კლიპი-0.3კგ

თხილის ჩანასახი, განვითარებადი ნაყოფების ერთობლიობით



ნაცარი,სიდამპლეები, ფაროსანა, მავნებელთა კომპლექსი

პენტოსი - 0.35ლ
სპარტაკუსი - 0.25კგ
მონბანდი MAP (12-61-0) - 2-4კგ
ჰირო - 0.25კგ

ნაყოფი- თხილი სიმწიფეში შესვლა



ანთრაქნოზი, სიდამპლეები, მავნებელთა კომპლექსი

პროტექტი - 2.5კგ
მუსტანგი - 0.35მლ
პრივატი - 0.25გ
მონბანდი MKP (0-52-34) - 2-4კგ
ბაიტი - 0.5ლ

ნაყოფი-თხილი



ნაცარი, სიდამპლე, ტკიპები, მავნებელთა კომპლექსი

პროპკონაზოლი - 0.35ლ
სპარტაკუსი - 0.25კგ
ლოკ-5 - 0.5ლ

ახალგაზრდა ნასკვზე გასწვრივი ჭრილის განვითარება



ბაქტერიოზი, ნაცარი, ტკიპები,მავნებელთა კომპლექსი

ინდაზოლი - 1ლ
პენტოსი - 0.35ლ
ულტრატოქსი - 0.2ლ

შემოდგომით, ფოთოლცვენამდე მამრობითი თანაყვავილედის გამოსვლა



ცისფერი წამლობა მოზამთრე დაავადებების წინააღმდეგ

პროტექტი - 5-6კგ ან
ბორდოტანი - 20-25კგ





#რჩევა ფერმერს

საქართველოში გავრცელებული სასოფლო-სამეურნეო კულტურებიდან თხილი ერთ-ერთი ძირითადი საექსპორტო პროდუქტია. კაკლოვან კულტურებს შორის თხილს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. თხილის გული მდიდარია ცხიმებით (60-70%), ცილებით (15-16%), მაკრო და მიკროელემენტებით.

ნიადაგის შერჩევა

თხილი ფოთოლმცვენი მცენარეა. მასზე მნიშვნელოვნად მოქმედებს ჰაერის ტემპერატურა და ნალექი, რადგან მოსავლიანობა დამოკიდებულია ჰაერის ტენიანობაზე. დასავლეთ საქართველოში შეხვდებით სუბტროპიკულ და მაღალი ტენიანობის მქონე კლიმატს, რაც ხელს უწყობს თხილის კულტურის განვითარებას. თხილის კულტურა გავრცელებულია აჭარაში, გურიაში, კოლხეთის დაბლობზე, შიდა ქართლსა და კახეთში. აქედან უხვი ატმოსფერული ნალექით გამოირჩევა აჭარა-გურიის მხარე. აღნიშნულ პირობებში მცენარის ყვავილობა უფრო მარტივად მიმდინარეობს. თხილი კარგად ხარობს როგორც მჟავე, ისე ნეიტრალურ და ტუტე ნიადაგებზე. თუ შესაძლებლობა არსებობს თხილის ბაღის გასაშენებლად უნდა გამოიყოს ვაკე, ან მცირე დაქანების ფერდობები.

თხილის ბაღის გაშენება

ვაკე და მცირე დაქანების ფერდობებზე ნიადაგის დამუშავება 40სმ სიღრმეზე ხდება. ამ დროს უნდა შევიტანოთ ფოსფორი და კალიუმი. 15-200-ზე მეტი დაქანების ფერდობებზე მცენარის დასარგავ ადგილებში უნდა ამოვიღოთ 0.8 მ დიამეტრის და 0.4 მ-ის სიღრმის ორმოები, რომელშიც შეიტანება სასუქები და მომზადდება დასარგავად.

კულტურის ვეგეტაციის პერიოდში ნიადაგში უნდა შევიტანოთ ორგანულ-მინერალური სასუქი. შემოდგომაზე უნდა მოხდეს თხილის გასხვლა და რეკომენდებულია, გასხვლის შემდეგ, საგულდაგულოდ გასუფთავდეს ნიადაგი.

დაცვითი ღონისძიებები

თხილის უხვი და ხარისხიანი მოსავლის მისაღებად, რამდენიმე წამლობაა ჩასატარებელი: პირველი წამლობა უნდა ჩატარდეს თებერვლის თვეში, მეორე წამლობა მარტის ბოლოს, მესამე წამლობა აპრილის ბოლოს, მეოთხე წამლობა ტარდება ივნისი-ივლისის თვეში, ხოლო მეხუთე წამლობა უკვე დამოკიდებულია იმაზე, საჭიროებს, თუ არა ამას კულტურა (კონკრეტული მავნებელ-დაავადებების წინააღმდეგ ეფექტური პრეპარატების შესარჩევად ისარგებლეთ თხილის დაცვის სქემით და გაიარეთ აგრო კონსულტაცია).

მოსავლის აღება

თხილის ნაყოფი, დასავლეთ საქართველოში, ივნის-ივლისში იწყებს ტექნიკურ სიმწიფეს. თხილის საკრეფად მზიანი და მშრალი ამინდი უნდა შევარჩიოთ. თხილი მოკრეფიდან 1-2 დღეში უნდა გაირჩეს და გაიფინოს, თხელ ფენად, გასაშრობად. მოსავლის აღების შემდგომ, ტერიტორია უნდა დამუშავდეს სპილენძნარევი პრეპარატებით.

*Agrokavkaz.ge



პომიდორი



აღმოცენების ფაზა (ჩითილების სარგავ კონტეინერში)



ფესვის ყელის სიდამპლე,
პერენოსპოროზი (ჭრაქი)

პრევექსი - 250გ

3-4 ფოთლის ფაზა (ჩითილების სარგავ კონტეინერში)



ფესვის ყელის სიდამპლე /
გამოკვება, პერენოსპოროზი,
ნაცარი, ლაქიანობა

ინდაზოლი - 0.25ლ
ბორდოტანი - 0.25კგ

ნამდვილი ფოთლების ჩამოყალიბება (ღია გრუნტში გატანის ფაზა)



ნამდვილი ფოთლების
ჩამოყალიბება (ღია გრუნტში
გატანის ფაზა)

დიამოფოსკა NPK (10-26-26) - 300კგ
იაგუარი - 1.5ლ
კურმუზინი - 0.5გ
ინდოფილი - 2.5კგ
მედალ-გოლდი - 0.25ლ

ბუტონიზაცია



ფიტოფტოროზი, ალტერნარიოზი / კოლოფის ჭია / კვება

ალფა ლაიფი - 0.5ლ
ციმაქსი - 2კგ

ყვავილობა



ფიტოფტოროზი, ალტერნარიოზი / კოლოფის ჭია / კვება

აკბატი - 2.5კგ ან
პლანეტა - 2.5კგ
აცეტამიპრიდი - 0.25კგ
ჰირო - 0.3კგ

ნაყოფის ფორმირება



ფიტოფტოროზი,
ალტერნარიოზი /კოლოფის ჭია

მეტკოპერი - 2.5კგ
ჩელან სოლი (10-5-35) - 5კგ
ულტრატოქსი - 0.2ლ
კლიპი - 0.5კგ

ნაყოფის მომწიფება



ფიტოფტოროზი / ალტერნარიოზი

პროტექტი - 3კგ ან
ბორდოტანი - 8კგ



#რჩევა ფერმერს

პომიდორი ერთწლოვანი მცენარეა, რომელიც ძაღლყურძენასებრთა ოჯახს მიეკუთვნება. პომიდვრის სამშობლოა სამხრეთ ამერიკა. მისი ე.წ გაკულტურება დაიწყეს მექსიკაში, სადაც სახელი „ტომატი“ შეურჩიეს. საქართველოში პომიდვრის კულტურის გავრცლება XVIII საუკუნის II ნახევრიდან ვრცელდება. მცენარის გვარი სამი სახეობისგან შედგება: Lycopersicon peruvianum, Lycopersicon hirsutum და ჩვეულებრივი პომიდორი (Lycopersicon esculentum), რომელშიც გაერთიანებულია 2 ათასმდე ჯიში და ფორმა.

პომიდვრის ნაყოფი

პომიდვრის ნაყოფი მაღალი კვებითი ღირებულებით გამოირჩევა. ფორმის მიხედვით გვხვდება: მოცხარისებრი, ალუბლისებრი, მსხლისებრი, ქლიავისებრი, სფეროსებრი, ბრტყელი და ოვალური. ჩამოთვლილთაგან მეტად გავრცელებულია მრგვალი და სფეროსებრი ფორმის ნაყოფიანი ჯიშები. რაც შეეხება ფერს, ის შეიძლება იყოს: წითელი, ყვითელი და მოთეთრო (ფერის მიხედვით ყველაზე გავრცელებულია წითელნაყოფიანი ჯიშები). აღნიშნული კულტურის ჯიშები, ასევე იყოფა ზომების მიხედვით: წვრილნაყოფიანი, საშუალო და მსხვილნაყოფიანი. თესლის მიხედვით შეხვდებით: მრავალთესლიანსა და მცირეთესლიანს. პომიდვრის გემური თვისებები დამოკიდებულია კანის სისქეზე (რაც უფრო თხელია კანი, ნაყოფი მეტად გემრიელია).

ასევე მნიშვნელოვანია, გადარგვამდე, მისი შეწამვლა ბორდოს, ან სპილენძის შემცველი პრეპარატებით. საჭიროა კულტურა დარგვისთანავე მოირწყას. იმ შემთხვევაში, თუ კულტურა პირდაპირ ღია გრუნტში დაითესება, მისი ნერგები უფრო გამძლე ხდება ვირუსებისა და დაავადებების მიმართ, თუმცა ასეთი ნათესები უფრო ნაკლებ მოსავალს იძლევა. პომიდვრის მოვლის პროცესში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა სარეველებისგან მისი დაცვაა, ამიტომ მნიშვნელოვანია ფერმერმა დროულად ისარგებლოს კულტურის დაცვის სქემებით და გეგმიური ღონისძიებები აწარმოოს. როდესაც მცენარე კარგად განვითარდება, ის უნდა გამოიკვებოს აზოტოვანი სასუქებით.

ნიადაგის დამუშავება

ნიადაგის დამუშავება უნდა დაიწყოს შემოდგომაზე, ან ზამთრის პირას. წინამორბედი კულტურების აღებისა და ნაკვეთის კარგად გასუფთავების შემდეგ, ტარდება აოშვა 4–6 სმ -ის სიღრმეზე. იმ შემთხვევაში, თუ ნაკვეთზე დიდი რაოდენობით სარეველები იყო გავრცელებული, მაშინ სიღრმე უნდა გაიზარდოს 10–12 სმ- მდე. მზრალად მოხვნა აღმოსავლეთ საქართველოში უნდა ჩატარდეს 25–30 სმ სიღრმეზე, ხოლო დასავლეთ საქართველოში 20 სმ-ის სიღრმეზე.
პომიდორი უნდა გაისხლას და საყრდენზე აიკრას დროულად, რათა ნაყოფი დროულად დამწიფდეს და დაცული იყოს ლპობისგან. ასევე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია მორწყვა. პირველი მორწყვა უნდა ჩატარდეს ჩითილის დარგვისთანავე. მეორე მორწყვა ტარდება დარგვიდან რამდენიმე (2–3) დღეში. შემდეგი მორწყვა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად საჭიროებს ამას ნიადაგი.

მოსავლის აღება

თუ აღებული მოსავალი შორეული ბაზრისთვის მზადდება, მოკრეფა უნდა დაიწყოს მწიფობის ადრეულ ფაზაში. ადგილობრივი ბაზრისთვის მოსავალი უნდა ავიღოთ სიმწიფის მესამე-მეოთხე ფაზაში. მოსავალს იღებენ სპეციალური კომბაინებით. პომიდვრის ხელით კრეფა ივნისის თვიდან ნოემბრამდე გრძელდება. დასუფთავებულ ნაყოფს შესაბამის ყუთებში ათავსებენ და სარეალიზაციოდ გზავნიან.

*Agrokavkaz.ge

კარტოფილი



დამუშავების ფაზა



სათესლე მასალის დამუშავება მავნებლებისა და სოკოვანი დაავადებების წინააღმდეგ

ბი პრიდი - 1ლ

ჰერბიციდების გამოყენების ფაზა



ნიადაგური მოქმედების ჰერბიციდის გამოყენება სარეველების წინააღმდეგ კულტურის აღმოცენებამდე (ნიადაგის სიმძიმის

კურმუზინი - 1-2გ

ადრეული ვეგეტაციის ფაზა



სარეველების საწინააღმდეგო ჰერბიციდების გამოყენება კულტურის 10-15 სმ სიმაღლის ეტაპზე

კურმუზინი - 0.5გ
იაგუარი - 0.4-0.5ლ
საჰები - 2ლ

რიგთაშორისი ვეგეტაციის ფაზა



მახრისა და მავთულა ჭიების წინააღმდეგ ინსექტიციდით დამუშავებული მასალის შეტანა ნიადაგში ჩაკეთების გზით

საჰები - 1.5ლ

ბუტონიზაციის ფაზა



ფიტოფტოროზი, ალტერნარიოზი, კოლორადოს ხოჭოს წინააღმდეგ ბრძოლა და ფოთლოვანი გამოკვების ოპერაცია

სტარ 20 - 0.1კგ
მონბანდი MAP (12-61-0) - 3კგ
ციმაქსი - 2.5კგ

ყვავილობის ფაზა



ფიტოფტოროზი, ალტერნარიოზი, კოლორადოს ხოჭოს წინააღმდეგ ბრძოლა და ფოთლოვანი გამოკვების ოპერაცია

პლანეტა - 2.5კგ
პროტექტი - 2.5კგ
ჰირო - 0.15კგ
მონბანდი MKP (0-52-34) - 3კგ

ტუბერების ფორმირების აქტიური ფაზა



ფიტოფტოროზი, ალტერნარიოზი, კოლორადოს ხოჭოს წინააღმდეგ ბრძოლა და ფოთლოვანი გამოკვების ოპერაცია

მონბანდი NOP (13.5-0-46) - 3კგ
ულტრატოქსი - 0.2ლ
აკბატი - 2კგ



#რჩევა ფერმერს

კარტოფილი ძაღლყურძენასებრთა ოჯახის,ორლებნიანი, ტუბერიანი (ბოლქვებიანი) მცენარეა. ის ფართოდაა გავრცელებული ზომიერჰავიან ქვეყნებში. კარტოფილის კულტურა შემოიტანეს სამხრეთ ამერიკელმა ინდიელებმა, ხოლო ევროპაში ესპანელებისგან, 1565 წლიდან გავრცელდა. საქართველოში კარტოფილის კულტურა 1820-იან წლებში გაჩნდა. ამ დროისთვის კარტოფილის სათესი ფართობი 28 ათას ჰა-ს აღემატებოდა. საქართველოს ტერიტორიაზე კარტოფილს თესავენ ახალქალაქის, ახალციხის, წალკის, დმანისის, თეთრიწყაროს, ხულოს, შუახევის მუნიციპალიტეტებში. ასევე მოჰყავთ მთიან რეგიონებში (ნინოწმინდა, სვანეთი, რაჭა და ა.შ), სადაც ნათესები ზღვის დონიდან 2200–2300 მ-მდე აღწევს. 1970-იან წლებში ფართოდ გავრცელდა საადრეო კარტოფილის მოყვანა (უმთავრესად ბოლნისის რაიონში).

ნიადაგის დამუშავება

იქედან გამომდინარე, რომ კარტოფილს ახასიათებს სუსტი სიმძლავრის ფესვთა სისტემა, ნიადაგის დამუშავებას დიდი ყურადღება ენიჭება. არასწორმა მიდგომებმა შესაძლოა მოსავლის განადგურებამდეც მიგვიყვანოს. კარტოფილის კულტურის ზრდა-განვითარებისთვის ნიადაგი უნდა იყოს კარგად გაფხვიერებული და ტენიანი. კარტოფილის ფესვთა სისტემის გაძლიერებას, სწორმა დამუშავებამ ხელი უნდა შეუწყოს, რაც ნიადაგში წყლის გაწოვასა და ჰაერის ცირკულაციას განაპირობებს.

კარტოფილის თესვა

კარტოფილის კულტურის თესვა მოითხოვს მზრალად ხვნას და თესვის წინ ფართობის დამუშავებას. მზრალად ხვნა შეიძლება ზაფხულში და შემოდგომაზე. ამ პერიოდში ნიადაგი უნდა აიჩეჩოს, მოიხვნას და დაიფარცხოს. საქართველოს რეგიონებში, სადაც ეს კულტურა განვითარებულია, მზრალად ხვნა უმჯობესია ჩატარდეს ივლისის ბოლოდან და დასრულდეს არაუგვიანეს სექტემბერისა. ნაადრევი ხვნა ხელს უშლის სარეველების გაჩენას. თესვის წინ ნიადაგის ღრმად გაფხვიერება აუცილებელია.

მოვლა-მოყვანის ღონისძიებები

კარტოფილის კულტურის მოვლა-მოყვანისათვის ჩასატარებელი ღონისძიებების დროული დაწყება (ნიადაგის სასუქებით განოყიერება კონკრეტულ ვადებში) ხელს უწყობს ხარისხიანი მოსავლის მიღებას. ორგანული სასუქის (ნაკელი) დიდი რაოდენობით გამოყენებამ კარტოფილში შესაძლოა გამოიწვიოს ნიტრატების დაგროვება. რაც შეეხება მორწყვას, პირველი მორწყვა უნდა ჩატარდეს ფოთლების განვითარების პროცესში, მეორე-კოკრობის წინ, მესამე-ყვავილობის დროს, მეოთხე და მეხუთე-საჭიროებიდან გამომდინარე. მორწყვა უნდა ჩატარდეს კვლებში (მთიან ზონაში ნიადაგის ტენისა და ამინდიდან გამომდინარე, 2-3-ჯერ, ხოლო დაბლობ ზონაში 4–5-ჯერ).

მოსავლის აღება

კარტოფილის მოსავლის აღება დამოკიდებულია პირველ რიგში ჯიშზე, მეტეოროლოგიურ და სხვა პირობებზე. მოსავლის აღება შესაძლებელია მთხრელი გუთნით. გუთნით დამუშავების შემდეგ, მოსავალი ხელით უნდა აიღოთ. აღებული მოსავალი უნდა გადახარისხდეს და გაიწმინდოს. იმ შემთხვევაში, თუ კარტოფილს არ გაიტანთ სარეალიზაციოდ, ის უნდა დააწყოთ გროვებად და ზემოდან გადააფაროთ ნამჯა, ან დააყაროთ მიწა. დასაწყობებისა და ტრანსპორტირებისას ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ კულტურა არ დაზიანდეს (არ დაიბეჟოს). მოსავლის მოსათავსებლად (შესანახად) შეარჩიეთ მშრალი, ბნელი და კარგად ვენტილირებადი ადგილი.

*Agrokavkaz.ge

ხახვი



კულტურის დათესვამდე



პირველი გამოკვება ფოჩის განვითარების ფაზაში, მეორე გამოკვება ბოლქვის ფორმირების დასაწყისში. მოხვნის წინ ტოტალური მოქმედების ჰერბიციდის შეტანა.

აზოტოვან-ფოსფორ კ ალიუმიანი სასუქი - 100კგ

ნიადაგის შესხურება კულტურის ამოსვლამდე



ერთწლიანი მარცვლოვანი და ორლებნიანი სარეველები

დრაგო - 4-5ლ

კულტურის 3 ნამდვილი ფოთლის ფაზა



ერთწლიანი ორლებნიანი სარეველები, ერთწლიანი და მრავალწლიანი მარცვლოვანი სარეველები, ხახვის ბუზი, ხახვის ჩრჩილი, პერონოსპოროზი

იაგუარი - 0.5ლ
მედალ-გოლდი - 0.25ლ
პაროქსიფენი - 0.2ლ
ციმაქსი - 2.5კგ

ბოლქვების ფორმირების დასაწყისი



პერენოსპოროზი, ბუგრები, თრიფსები, ფოთლოვანი კვება

პლანეტა - 2.5კგ
სტარ 20 - 0.1კგ
მონბანდი MAP (12-61-0) - 3-6კგ

ბოლქვების აქტიური ზრდის ფაზა



ერთწლიანი ორლებნიანი სარეველები, ერთწლიანი და მრავალწლიანი მარცვლოვანი სარეველები, ხახვის ბუზი, ხახვის ჩრჩილი, ფოთლოვანი კვება,

იაგუარი - 0.4ლ
მონბანდი MKP (0-52-34) - 2-6კგ
საჰები - 1ლ
პაროქსიფენი - 0.3ლ

ბოლქვების სრულად ჩამოყალიბება



პერენოსპოროზი, ბაქტერიული დაავადებები, ნაცრისფერი სიდამპლე, ყელის ლაქიანობა, მეწამული ლაქიანობა, ფოთლოვანი კვება, ბუგრები,

პროტექტი - 2.5კგ
ინდაზოლი - 1ლ
ჰირო - 0.15კგ

მწვანე მასის ჩაწოლა



პერენოსპოროზი, ბაქტერიული დაავადებები, ხახვის ბუზი, ხახვის ჩრჩილი, ფოთლოვანი კვება, ერთწლიანი ორლებნიანი სარეველები, ერთწლიანი და მრავალწლიანი მარცვლოვანი სარეველები

პროტექტი - 2.5კგ
ინდაზოლი - 1ლ
ჰირო - 0.15კგ



#რჩევა ფერმერს

ხახვი ორწლიან მცენარეთა გვარს მიეკუთვნება. ხახვის რამდენიმე სახეობა არსებობს, რომლებიც ჩვეულებრივ იზრდება ჩრდილოეთ ნახევარსფეროში. ხახვის სამშობლოდ ითვლება სამხრეთ-დასავლეთ აზია. ამ კულტურის სხვადასხვა სახეობები იზრდება მინდვრებზე, სტეპებში, ტყეებში.

ნიადაგის შერჩევა

ხახვის ზრდა-განვითარების ოპტიმალური ტემპერატურაა 15–25° C. რაც შეეხება ნიადაგის ტენიანობას, ხახვი კარგად იზრდება 60-70% ტენიანობის პირობებში. ნიადაგში დაბალი ტენიანობის დროს მცენარე სუსტად ვითარდება, ადრე ასრულებს ზრდას, რაც ნაკლებ მოსავლიანობის მიზეზი ხდება. ხახვის მოსაყვანად ხელსაყრელია ალუვიური, საკვები ნივთიერებებით და ტენით მდიდარი ნიადაგები. დაჭაობებული და მჟავა ნიადაგები ამ კულტურის მოსაყვანად გამოუსადეგარია.

ხახვის თესვა

ხახვის კულტურა მაღალი ინტენსივობის სინათლეს მოითხოვს თესვის პროცესში, რათა არ მოხდეს ნათესებში სარეველების გავრცელება, ბოლქვის წარმოქმნის შესუსტება და მცენარის შეფერხებული განვითარება. თესვამდე ნიადაგი კარგად უნდა გასუფთავდეს სარეველებისგან, რათა ძლიერმა დასარეველიანებამ ხელი არ შეუშალოს მცენარის მიერ საკვები ელემენტების ათვისებას. ხახვი ითესება სხვადასხვა სიფართის ზოლებში მწკრივებად, მათი რაოდენობა განსხვავებულია, რადგან ეს დამოკიდებულია არსებულ მანქანა-დანადგარებზე.

დაცვითი ღონისძიებები

ხახვის თესვა ერთისა და იმავე ნაკვეთზე დაუშვებელია, რადგან ის ძლიერად ზიანდება დაავადებებისგან. განმეორებით, იგივე ნაკვეთზე ხახვის თესვა რეკომენდებულია 2–3 წლის შემდეგ. ხახვი, გარდა ნივრისა, სხვა კულტურებისთვის კარგი წინამორბედია. ეს განპირობებულია იმით, რომ ამ კულტურებს ერთი ტიპის მავნებელ-დაავადებები აზიანებს. ხახვის ფესვთა სისტემა ნიადაგის ზედა ნაწილშია განლაგებული, ამიტომ არ საჭიროებს სასუქის ღრმად შეტანას. მისი ფესვთა სისტემა მგრძნობიარეა, ამიტომ სასუქებით გამოკვებისას რეკომენდებულია მცირე დოზების გამოყენება.

მოსავლის აღება

ხახვის მოსავალი უნდა აიღოთ მშრალ ამინდში, დასაწყობებამდე რეკომენდებულია ნაკვეთში გაფენა, რათა კარგად გამოშრობა მოასწროს. ყუთებში გადატანისას უნდა გასუფთავდეს ზედმეტი ფოჩებისგან, რის შემდეგაც უნდა განათავსოთ განკუთვნილ საწყობებში. ჯიშების და რეგიონების გათვალისწინებით, მოსავლის აღება ხდება 15-ივლისიდან 15-სექტემბრამდე.

*Agrokavkaz.ge

კიტრი



ნიადაგის მოსამზადებელი ღონისძიებები კულტურის დათესვიდან 2 დღით ადრე,



ჭრაქი, ფესვისა და ღეროს ყელის სიდამპლეები, მავთულა ჭიები, ღრაჯები, მახრა, საკვები ელემენტების მიწოდება ნიადაგში ჩაკეთების გზით

ინდაზოლი - 0.2ლ
საჰები - 0.2ლ

ჩითილების შემოსვლიდან 10 დღეში - კულტურის 2 ფოთლის ფაზაში



ჭრაქი, ფესვისა და ღეროს ყელის სიდამპლეები, ფესვგარეშე გამოკვება, ნაცარი

პროპკონაზოლი - 0.07ლ
ინდაზოლი - 0.1ლ

3-4 ფოთლის ფაზაში



პერენოსპოროზი, ჭრაქი, ფესვისა და ღეროს ყელის სიდამპლეები, ტკიპები, ყლორტის ბუზი, თრიფსები, ბუგრები, ფრთათეთრა, ფესვგარეშე გამოკვება

ინდოფილი - 0.35კგ
ინდაზოლი - 0.2ლ
მალათიონი - 0.8ლ

7-8 მოზრდილი ფოთლის ფაზა



ჭრაქი-პერენოსპოროზი, ანთრაქნოზი, ბაქტერიოზი, ფრთათეთრა, ბუგრები, თრიფსები

პროტექტი - 0.5კგ
ალფა ლაიფი - 0.1ლ
ციმაქსი - 0.5კგ

ყვავილობა



ჭრაქი-პერენოსპოროზი, ფესვგარეშე გამოკვება, ბაღჩის ბუგრი, ფრთათეთრა, ნაცარი

პლანეტა - 0.5კგ
მონბანდი NOP (13.5-0-46) - 0.5კგ
სტარ 20 - 0.03კგ
პენტოსი - 0.07ლ

შესხურება ვეგეტაციის პერიოდში, ნაყოფების გამონასკვამდე



ჭრაქი, პერენოსპოროზი, ფესვგარეშე გამოკვება, ბაღჩის ბუგრი, ფრთათეთრათრიფსები

მონბანდი MKP (0-52-34) - 0.5კგ
ჰირო - 0.03კგ

ნაყოფის სრულად ფორმირების ფაზა



ჭრაქი, ანთრაქნოზი, ბაქტერიოზი, ფოთლის მენაღმე ჩრჩილი, ბაღჩის ბუგრი, ფრთათეთრა

მეტკოპერი - 0.5კგ
კლიპი - 0.04კგ

შესხურება მოსავლის აღების შემდეგ



ჭრაქი-პერენოსპოროზი, ფესვგარეშე გამოკვება, ჩვეულებრივი აბლაბუდიანი ტკიპა, ნაცარი, ფესვისა და ღეროს ყელის სიდამპლეები, ბუგრები, ფრთათეთრა, თრიფსები, ანთრაქნოზი, ბაქტერიოზი, ტკიპები, ყლორტის ბუზი.თრიფსები

აკბატი - 500კგ
მონბანდი NOP (13.5-0-46) - 500კგ
მუსტანგი - 100მლ
სტაგერ მ-45 - 500კგ
ბორდოტანი - 1კგ
ეიბისი სუპერ - ლ
მალათიონი - ლ
პრევექსი - 250გ



#ჩიტვა ფერმერს

კიტრი ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა, გოგრისებრთა ოჯახიდან. მისი სამშობლოა ინდოეთი, ინდოჩინეთი და სამხრეთ ჩინეთის ტროპიკული რაიონები. კიტრი სითბოსა და ტენის მოყვარული მცენარეა. კიტრის მრავალი ჯიში არსებობს, მათ შორისაა ჰიბრიდული ჯიშებიც, რომლებიც დაავადებების მიმართ გამძლეობით და მაღალი მოსავლიანობით ხასიათდება.

ნიადაგის დამუშავება

კიტრი სითბოს მოყვარული მცენარეა, ამიტომ მნიშვნელოვანია ნიადაგი იყოს განათებული და საკვები ნივთიერებებით მდიდარი (საუკეთესოდ იზრდება ჰაერის 25-30°C და ნიადაგის 20-25°C ტემპერატურის პირობებში). წინამორბედი კულტურების აღების შემდეგ, კიტრისთვის ნიადაგი მზადდება შემოდგომაზე, ან ადრე გაზაფხულზე.

კიტრის თესვა

კიტრის ხარისხიანი და უხვი მოსავლის მისაღებად, თესვის პროცესში გასათვალისწინებელია რამდენიმე პირობა. კიტრი მოჰყავთ ღია და დახურულ გრუნტში. თესვა ხდება თესლით, ან წინასწარ გამოყვანილი ჩითილებით. რეკომენდებულია, თესვა მოხდეს დახარისხებული თესლით. თესლი უნდა დაითესოს გამთბარ ნიადაგში. ნიადაგის პროცესში არ უნდა შეეპაროს ყინვა. კიტრის თესვის ვადებია აპრილის მეორე ნახევარი, შუა მაისამდე.

კიტრის მოვლა-მოყვანა

კიტრისთვის მნიშვნელოვანია მორწყვა, მაგრამ კიტრის მოსავლიანობასა და ხარისხზე როგორც წყლის ნაკლებობა, ასევე მისი სიჭარბეც უარყოფითად მოქმედებს. წყლის ნაკლებობის შემთხვევაში ნაყოფი უხეშდება და უფრო მწარე ხდება. წყლის დიდი რაოდენობის შემთხვევაში კი ნაყოფი უფრო წყლიანდება, მასში კლებულობს მარილების, შაქრების რაოდენობა და სხვა. კიტრისთვის საჭიროა ფხვიერი და სარეველებისგან განთავისუფლებული ნიადაგი. კიტრის მავნებლებია: ფრთათეთრა, თრიფსები და ტკიპები, ხოლო დაავადებები: ჭრაქი, ნაცარი, ანთრაქნოზი, ბაქტერიოზი, ფუზარიოზი და სხვა.

მოსავლის აღება

იმისათვის, რომ მივიღოთ მაღალი მოსავალი, რეკომენდებულია ნაყოფის ხშირი და წმინდა კრეფა. მოსავალი იკრიფება კვირაში 2-3 ჯერ, დილის საათებში. მოსავლის აღებისას გასათვალისწინებელია მისი მოწყვეტის პროცესიც, რადგან ნაყოფი არ უნდა მოვგლიჯოთ. მცენარეები უნდა გავათავისუფლოთ გაფუჭებული/დაავადებული ნაყოფებისგან. რაც შეეხება მოკრეფილი ნაყოფს, უნდა შევინახოთ მაგარ ყუთებში და სასურველია მოხდეს მისი დროული რეალიზაცია.

*Agrokavkaz.ge

კომბოსტო



კულტურის გადარგვისას,რიგთაშორის კულტივაციის წინ



მახრისა და მავთულა ჭიების წინააღმდეგ ინსექტიციდით დამუშავებული მასალის შეტანა ნიადაგში ჩაკეთების გზით

საჰები - 1.5ლ

2 ფოთლის ფაზაში



ფესვისა და ღეროს სიდამპლეები, ფოთლოვანი კვება

ინდაზოლი - 1ლ

3 ფოთლის ფაზაში



კომბოსტოს ჭრაქი, ბაქტერიოზი, ალტერნარიოზი, კომბოსტოს ხვატარი, ფრთათეთრა, ჩრჩილი, ერთწლიანი და მრავალწლიანი მარცვლოვანი სარეველების წინააღმდეგ

პროტექტი - 2.5კგ
იაგუარი - 0.5ლ
საჰები - 1.2ლ
ციმაქსი - 2კგ

თავის გახსნის წინ



ბაქტერიოზი, ალტერნარიოზი, ფოთლოვანი კვება, ფრთათეთრა, ბუგრები, ხვატარი, ჩრჩილი

მეტკოპერი - 2.5კგ
მედალ-გოლდი - 0.25ლ

ნაყოფის ფორმირება



ბაქტერიოზი, ალტერნარიოზი, ჭრაქი, მენაღმე რჩრილი, ხვატარი, ბუგრები, ფრთათეთრა, ფოთლოვანი კვება

მონბანდი MKP (0-52-34) - 2-6კგ
კლიპი - 0.25კგ



#რჩევა ფერმერს

კომბოსტოს მოყვანა ჩვენს წელთაღრიცხვამდე ბევრად ადრე დაიწყო. კულტურის გვარში 100-ზე მეტი სახეობაა. მის სამშობლოდ ჩინეთი და ხმელთაშუაზღვისპირეთი ითვლება. კომბოსტოს ველური ფორმები გავრცელებულია ევრაზიაში. კულტურული სახეობებია: მიწამხალა, რაფსი, თალგამი, შალგი და სხვა. ბოსტნისა და საკვები კომბოსტოს ჯგუფში შედის ბოსტნის კომბოსტო, ჩინური კომბოსტო და ა.შ.

ნიადაგის შერჩევა

კომბოსტო ისეთ ქვეყნებში მოჰყავთ, სადაც ზომიერად გრილი ჰავაა. საქართველოს თითქმის ყველა რეგიონი ამ კულტურის მოსაყვანად გამოსადეგია. საადრეო კომბოსტო მზვარე, შემაღლებულ ნაკვეთებზე მოჰყავთ. კულტურა კარგად იზრდება თიხნარ და ქვიშიან ნიადაგებზე, საგვიანო კომბოსტოსთვის საშუალო თიხნარი ნიადაგები გამოიყენება. კულტურის მოსაყვანად არ გამოდგება მძიმე თიხნარი, ქვიშნარი და მჟავე ნიადაგები. რაც შეეხება ფართობის დამუშავებას, უნდა დაიწყოს შემოდგომით, ხოლო გაზაფხულზე შევიდეს 6–8 კგ-მდე გადამწვარი ნაკელი, ასევე, დაახლოებით 100–200 გ ხის ნაცარი. ნიადაგი იბარება 15–20 სმ-ის სიღრმეზე.

კომბოსტოს თესვა

კომბოსტოს თესენ როგორც ღია, ასევე დახურულ გრუნტში. საადრეო ჩითილის ჯიშებისა და ჰიბრიდები 45–60 დღეზე უნდა გადაირგას. საშუალო, საადრეო და საგვიანო ჯიშები-35–40 დღეზე. ღია გრუნტში კომბოსტო უნდა ჩაითესოს მწკრივად 2–3 სმ-ის სიღრმეზე, მწკრივეს შორის დაშორება უნდა იყოს 70 სმ.

კომბოსტოს მოვლა-მოყვანა

კომბოსტო სიცხეს ვერ უძლებს. თესლის გაღივების მინიმალური ტემპერატურაა + 2-3 C, ოპტიმალური ტემპერატურაა +18-20 C. კომბოსტოს ზრდა - განვითარებისათვის ოპტიმალური ტემპერატურაა 15-20 C. მნიშვნელოვანია კულტურის გამოკვება ზრდის პროცესში, დაახლოებით 2–3 ჯერადობით, თუმცა დეტალური რეკომენდაციებისთვის აუცილებელია გაიაროთ აგრო კონსულტაცია.

მოსავლის აღება

ღია გრუნტში დროულად დარგული კომბოსტო სრულად მწიფდება ივნისის ბოლოს, ივლისის დასაწყისში. ამ პერიოდის განმავლობაში, ადრეული სიმწიფის ჯიშები უკვე სრულად არის ჩამოყალიბებული, მზად არის შეგროვებისა და გამოყენებისთვის. ადრეული მწიფე ჯიშები დიდხანს არ ინახება. მისი შენახვის მაქსიმალური ვადაა მოკრეფიდან არაუმეტეს 30 დღე. რაც შეეხება საგვიანო და საადრეო ჯიშებს, მოსავლის აღება იწყება შემოდგომაზე. ასეთი ჯიშების შენახვა შედარებით ხანგრძლივი დროითაა შესაძლებელი. კომბოსტო უნდა მოიკრიფოს მშრალ, სუფთა ამინდში.

✓კომბოსტო მოკრიფეთ მშრალ, გრილ ამინდში. თუ მოსავლის აღების დროს წვიმს, მაშინ კარგად გაამშრალეთ კომბოსტოს თავები და ისე დაასაწყობეთ;

✓ცხელ ამინდში კომბოსტოს კრეფა არ არის რეკომენდებული, რადგან მაღალ ტემპერატურაზე ბოსტნეული გაცილებით მალე ფუჭდება;

✓მოსავალი არ მოჭრათ დანით, ან ნიჩბით, მისი თავები მიწიდან ამოიღეთ ხელით. ასეთი მიდგომით შენარჩუნდება ყუნწის მთლიანობა და გაიზრდება ბოსტნეულის შენახვის ვადა, რადგან მცირე დაზიანებამაც შეიძლება გამოიწვოს მცენარის ლპობა და ობის გაჩენა;

✓მოკრეფის შემდეგ მოსავალი კარგად უნდა გასუფთავდეს ზედმეტი ნარჩენებისაგან. დაზიანებული ბოსტნეულის შენახვა არ არის რეკომენდებული;

მოსავლის შესანახი საწყობი უნდა იყოს კარგად ვენტილირებადი და დაცული მზის სხივებისგან. შესანახად იდეალური ტემპერატურაა 1-2 C. ტენიანობა არ უნდა აღემატებოდეს 85%-ს. ხანგრძლივი ვადით დასაწყობებისას რეგულარულად შეამოწმეთ მოსავალი, მოაცილეთ გაყვითლებული, გაშავებული, ან გამხმარი ფურცლები.

*Agrokavkaz.ge

საზამთრო



აღმონაცენის წარმოქმნა



მახრისა და მავთულა ჭიების წინააღმდეგ ინსექტიციდით დამუშავებული მასალის შეტანა ნიადაგში ჩაკეთების გზით

საჰები - 1.5ლ

აღმონაცენის განვითარება



ჭრაქი, წერაგი, ფოთლოვანი კვება

ციმაქსი - 2კგ

აყვავილება



ჭრაქი, წერაგი, ერთწლიანი და მრავალწლიანი მარცვლოვანი სარეველები

პლანეტა - 2.5კგ
იაგუარი - 0.5ლ

ნაყოფის წარმოქმნა



ფოთლოვანი კვება, ბუგრები, თრიფსები, ჭრაქი, წერაგი

მონბანდი MKP (0-52-34) - 3კგ
მედალ-გოლდი - 0.3ლ

ნაყოფის ზრდა



ჭრაქი, წერაგი, ბუგრები, თრიფსები

აკბატი - 2კგ
ულტრატოქსი - 0.2ლ
ბი პრიდი - 0.3ლ

სრული სიმწიფე



ჭრაქი, წერაგი, ბუგრები, თრიფსები

მეტკოპერი - 2კგ



#ჩაი

ფერმერს

საზამთრო, ერთი ან მრავალწლოვანი მცენარეა, გოგროვანთა ოჯახიდან. მისი სამშობლოა აფრიკა. ნაყოფი გოგრულაა, სფეროსებრი, ოვალური, ან ცილინდრული ფორმის, შეფერილობა თეთრიდან მუქ მწვანემდე. საზამთროს სამი სახეობაა ცნობილი: ველური, სასუფრე და საკვები. საზამთრო ყველაზე მეტად გავრცელებულია ჩინეთში, ირანში, ეგვიპტეში და ა.შ. საქართველოში საზამთროს ჯიშებს უკვე XII საუკუნიდან შეხვდებით. დღესდღეობით, კულტურა გავრცელებულია კახეთში, ქვემო ქართლში, იმერეთსა და აფხაზეთში.

ნიადაგის შერჩევა და დამუშავება

საზამთროს მოსაყვანად ღრმა და ფხვიერი ნიადაგია საჭირო. კულტურის დათესვამდე ნაკვეთი მზრალად უნდა მოიხვნას, ღრმად დამუშავდეს, გაზაფხულზე დაიფარცხოს და თესვის წინ კულტივაცია ჩატარდეს. საზამთროს ნაკვეთზე შესატანად სასუქებიდან ყველაზე ეფექტურია აზოტ-ფოსფორ-კალიუმიანი სასუქების შეტანა.

საზამთროს თესვა

კულტურის თესვა უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც ნიადაგში ტემპერატურა მიაღწევს 12-14°C. ნიადაგის და ჯიშების მიხედვით განსხვავდება თესვის პროცესიც, თუმცა ძირითადად საზამთრო ითესება 4–6 სმ, ან 6–8 სმ სიღრმეზე. მშრალ და ფხვიერ ნიადაგებში შედარებით ღრმა თესვაა საჭირო, ხოლო ტენიან და მძიმე ნიადაგებში უფრო ზედაპირული. თუ ნიადაგი გამომშრალია, ამისათვის საჭიროა წინასწარი მორწყვა და თესლის დალბობა. დიდ ფართობებზე, ურწყავ ადგილებში, საზამთროს თესვის პროცესი ტრაქტორის სათესი მანქანებით მიმდინარეობს.

საზამთროს მოვლა

თესვის შემდეგ, კულტურის აღმოცენება მე-10–12 დღეს იწყება (განსაკუთრებით ხელსაყრელ პირობებში მე-6–7 დღეს). როგორც კი თესლი დაიწყებს აღმოცენებას, ბუდნების გარშემო უნდა გაფხვიერდეს ნიადაგი (ნიადაგის დამუშავება 12–15 სმ სიღრმეზე უნდა დაიწყოს). ღრმა გაფხვიერება ხელს უწყობს ფესვების გაშლას განზე, საკვები ნივთიერებებისა და წყლის უკეთ შეწოვას. იმ შემთხვევაში, თუ ჩატარებული სამუშაოების შემდეგ ნიადაგი ისევ გამკვრივდა და სარეველები გაჩნდა ხელახალი ღრმა გაფხვიერებაა საჭირო.

მწკრივთაშორისი დამუშავება და გაფხვიერება-კულტივაცია მანამ უნდა აწარმოოთ, სანამ მცენარე გაიბადრება, გაიშლება და დამატებითი ფესვები გაჩნდება, რადგან შემდგომში ბარდის გადაწევა სხვადასხვა მხარეს მცენარისთვის საზიანო შეიძლება აღმოჩნდეს.

ნიადაგის მორწყვა

საზამთოს კულტურის მორწყვის ნორმა დამოკიდებულია ამინდზე, ნიადაგის თვისებებსა და გამოშრობის ხარისხზე. მსუბუქი ნიადაგები გვალვისას ხშირად და მცირე ნორმებით ირწყვება, თუმცა გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ნიადაგის ხშირი მორწყვა რეკომენდებული არ არის. საბოლოოდ მორწყვა უნდა შეწყდეს მაშინ, როდესაც ნაყოფი დაასრულებს ზრდას და შევა სიმწიფის ფაზაში. ამ პერიოდში ტენის გადაჭარბებული რაოდენობა შაქრიანობის შემცირებას იწვევს.

მოსავლის აღება

მოსავლის აღებამდე მნიშვნელოვანია აღების ზუსტი დროის განსაზღვრა, რადგან პროდუქტის ხარისხი როგორც ადრეულ, ისე დაგვიანებულ აღებაზეა დამოკიდებული. საზამთრო უნდა იყოს ბზინვარე და მკვეთრად გამოხატული ვარაყით.

*Agrokavkaz.ge

სიმინდი



კულტურის აღმოცენებამდე



ერთწლიანი მარცვლოვანი და ორლებნიანი სარეველები

დრაგო - 4.00ლ

კულტურის 3-6 ფოთლის ფაზა



ერთწლიანი ორლებნიანი და მარცვლოვანი სარეველების წინააღმდეგ, ფოთლოვანი კვება

მენსურონი - 1.2-1.8ლ ან
მენსურონ ექსტრა - 0.1-0.15გ
ეფიქსი - 0.15ლ

8-10 ფოთლის ფაზა



სიმინდის ფარვანა, ამერიკული თეთრი პეპელა, აზიური ფაროსანა, ფოთლოვანი კვება

მონბანდი MAP (12-61-0) - 2-6კგ
მედალ-გოლდი - 0.25ლ

მოსავლის დაბინავება ფუმიგაციის - პერიოდი



ცხვირგძელა, ბეღლის თაგვი,
რწყილი, ჩრჩილი, ჩირის მატლი

ემჯიფოსი - 3კგ
ალფა ლაიფი - 0.3ლ





#სიმინდი ფერმერს

სიმინდი ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, რომელიც მიეკუთვნება მარცვლოვანთა ოჯახს. მარცვლის აგებულების მიხედვით, სიმინდი შეიძლება დავყოთ ცხრა ჯგუფად: ბუშტარა სიმინდი, რბილი სიმინდი, კბილა სიმინდი, ნახევარკბილა სიმინდი, კაჟა სიმინდი, ტკბილი სიმინდი, კილიანი სიმინდი. სიმინდის სამშობლოდ მოიაზრება ცენტრალური და სამხრეთ ამერიკა. სიმინდის კულტურა საქართველოში XVII საუკუნეში გავრცელდა. ის ხორბლის შემდგომ მეორე ადგილს იკავებს.

სიმინდის მოვლა-მოყვანის რეკომენდაციები

სიმინდი მაღალპროდუქტიული, მრავალმხრივად გამოყენებადი მცენარეა. სიმინდის დათესვა ხდება სამარცვლედ, სასილოსედ, მწვანე საკვებად, ამავე დროს შეიძლება დაითესოს, როგორც ცალკე ისე ლობიოს, სოიას, გოგრისა და სხვა კულტურებთან ერთად. სიმინდი ასევე გამოიყენება თესლბრუნვაში (რომელიც ითესება საშემოდგომო თავთავიანი კულტურების აღების შემდეგ).
სიმინდის როგორც მონოკულტურული კულტურის მოყვანა შესაძლებელია. გასათვალისწინებელია ერთი ფაქტორი-აუცილებელია თავთავიანი კულტურების აღების შემდეგ ნიადაგი ჯერ კარგად აიჩეჩოს და მომზადდეს საშემოდგომო თესვისათვის, შემდეგ მოიხნას 22–30 სმ სიღრმეზე.

სიმინდის დათესვამდე

სიმინდის დათესვამდე, ნიადაგში წინასწარ უნდა შეიტანოთ ორგანული და ფოსფორ-კალიუმიანი მინერალური სასუქები, ხოლო აზოტიანი სასუქის ნაწილი უნდა შევიდეს მომდევნო გაზაფხულზე, თესვისწინა დამუშავების დროს. რაც შეეხება დანარჩენ ნაწილს, ის უნდა გამოიყენოთ მცენარის საკვებად. სიმინდის მარცვალი გამოირჩევა მაღალი კვებითი ღირებულებით. მდიდარია, როგორც ნახშირწყლებით,

ასევე ცილებითა და ცხიმებით. სიმინდისგან შესაძლებელია მივიღოთ სხვადასხვა სახის პროდუქტი, როგორიცაა სახამებელი, ზეთი, ბურღულის რამდენიმე სახეობა, ძმრის, შაქრის, მარმელადისა და სხვა წარმოების საწყისი მასალა.

ნიადაგის შერჩევა

საქართველოს ტერიტორია მდიდარია სხვადასხვა სახის ნიადაგით (ყვითელმიწა ეწერი, წითელმიწა, ალუვიური, ნაშომპალა, კარბონატული, ყომრალი, ყავისფერი, რუხი ყავისფერი, შავმიწისებრი, ბარის ანუ ჩვეულებრივი შავმიწები, ბიცი და ბიცნარი, ბიცობი, მთა-მდელოს კორდიანი). დათესვამდე ყველა სახის ნიადაგი საჭიროებს დამუშავებას. იმისათვის, რომ აღმოსავლეთ საქართველოში სიმინდი მოვიყვანოთ, საჭიროა მისი დათესვა მზრალზე არა უგვიანეს 1 დეკემბრამდე, ხოლო დათესვა მთიან ზონაში უნდა მოხდეს 15 ნოემბრამდე. ბიცობიანი ნიადაგის გასაუმჯობესებლად, აღმოსავლეთ საქართველოს (მარნეული, სიღნაღი, გურჯაანი, გარდაბანი, საგარეჯო) რაიონებში 7-8 წელიწადში ერთხელ, მზრალად ხვნის წინ , ნიადაგში საჭიროა 7-14 ტონა/ჰა გაცრილი გაჯის შეტანა. შეტანის შემდეგ ხნული კვლავ გადაიხვნება, მაგრამ მანამდე ნიადაგში უნდა შევიდეს 4-5 ცენტნერი ფოსფორიანი სასუქი. ამის შემდეგ შესაძლებელია კვლავ სხვადასხვა კულტურების მორიგეობით დათესვა. სარეველების აღმონაცენის მოსპობის და ნიადაგის ტენიანობის შესანარჩუნებლად, საჭიროა მზრალის დაფარცხვა.

ნიადაგის განოყიერება

სიმინდის გასანოყიერებლად ორგანული და მინერალური სასუქები გამოიყენება. ამ პროცესში საჭიროა დოზების სწორი შერჩევა, რადგან ნიადაგში შესატანი სასუქების დოზები განსხვავებულია რაიონების მიხედვით. ფოსფორ-კალიუმიანი სასუქები როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში ნიადაგში ხვნის წინ შეაქვთ.

სიმინდის თესვა და მოსავლის აღება

მნიშვნელოვანია, რომ მხოლოდ დარაიონებული ჯიშები და ჰიბრიდები დაითესოს. თესლი ჯიშური სიწმინდით პირველი კატეგორიის, ხოლო თესვითი ღირსებით პირველი კლასის უნდა იყოს. რეკომენდებულია სათესლე მასალის შენახვა მშრალ, კარგად განიავებად საცავში. თესვა სამხრეთ ფერდობებზე იწყება, შემდეგ ვაკე ითესება და ბოლოს ჩრდილოეთის ფერდობები. თესვის პერიოდი: 5 აპრილი-20 მაისი (ზონების მიხედვით).სამარცვლე სიმინდის აღება სრული სიმწიფის ფაზაშია შესაძლებელი. მოსავლის აღება იმ ნაკვეთებიდან იწყება, სადაც საშემოდგომო თავთავიანი კულტურების თესვაა გათვალისწინებული. კომბაინით სიმინდის აღებისას ნედლი ჩალის დასილოსებაა შესაძლებელი.

*საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ი.ლომოურის მიწათმოქმედების ინსტიტუტი.
შემდგენლები: ზაურ ჯულუხიძე, დავით ბედოშვილი, ტოშია თავაძე, ქეთევან ნიაური, ნუნუ ჟვანია.

თავთავიანი კულტურები



სათესლე მასალის დამუშავება სოკოვანი დაავადებებისა და მავნებლების წინააღმდეგ



მტვრიანა, მაგარი გუდაფშუტა, სეპტორიოზი, ჰელმინთოსპორიოზული და ფუზარიოზული ფესვის სიდამპლეები, თოვლის ობი, ნაცარი, თესლის ობი

ტებუჯი - 0.4კგ ან
რუბინი - 1.5კგ
ჰირო - 0.5კგ
საჰები - 1ლ

მღრღნელების საწინააღმდეგო ღონისძიება შემოდგომიდან გაზაფხულამდე



თაგვების საწინააღმდეგო (1 ჰექტარზე თაგვების სოროების მიხედვით)

თუთიის ფოსფიდი - 2-4კგ ან
ბრომადიოლონი - 1ლ

კულტურის 2-4 ფოთლის ფაზა



ერთწლიანი და მრავალწლიანი ორლებნიანი მარცვლოვნები - შვრიულა, მწვანეძურწა, მხოხავი ჭანგა, თეთრინარი, წიწმატურა, მინდვრის ღიჭა. ერთწლიანი და მრავალწლიანი სარეველები - ხოვერა, ნაცარქათამა, თეთრი ნარი

მეტსი - 0.012კგ
ფოისონი - 0.2ლ
ინდაზოლი - 0.8ლ
მედალ-გოლდი - 0.25ლ

მოსავლის დაბინავება - ფუმიგაციის პროცესი



ცხვირგძელა, ბეღლის თაგვი,
რწყილი, ჩრჩილი, ჩირის მატლი

ემჯიფოსი - 1-2კგ



#რჩევა ფერმერს

ხორბალი მარცვლოვანთა ოჯახის, ერთ-ერთი უძველესი და უმნიშვნელოვანესი კულტურაა. ის აერთიანებს 27 ველურად მზარდ და კულტურულ სახეობას. ხორბალი ყველა კონტინენტზეა გავრცელებული. საქართველოში გვხვდება საშემოდგომო, საგაზაფხულო და ნახევრად საშემოდგომო ფორმები.

ნიადაგის შერჩევა

ხორბლის დათესვამდე ნიადაგი უნდა დამუშავდეს 15–20 დღით ადრე. იმ შემთხვევაში, თუ დამუშავებულ ნიადაგში გაჩნდა სარეველა, საჭიროა კულტივაცია-დაფარცხვითი სამუშაოების ჩატარება. საადრეო წინამორბედის მოსავლის აღების შემთხვევაშიც, 25–27 სმ-ის სიღრმეზე უნდა მოიხნას ნიადაგი. საშემოდგომო ხორბალი ითესება ორი, ან სამი წლის სარგებლობის კორდზე. ასეთი კორდის ნიადაგი გამკვრივებულია და თუ მას არ შევურჩიეთ მოხვნის ოპტიმალური ვადა, ხნული უხარისხო, ბელტიანი გამოდის, ბალახნარის მიწისზედა ნარჩენები და ფესვთა სისტემის დიდი ნაწილი ნიადაგის ზედაპირზე რჩება, არ ხდება მისი მინერალიზაცია, ნიადაგის გამდიდრება ჰუმუსით და კორდი კარგავს თავის დანიშნულებას, ამიტომ სარწყავ და ტენით უზრუნველყოფის პირობებში, კორდი უნდა მოიხნას აგვისტოში, ხოლო ურწყავ და გვალვიან პირობებში-ბალახნარის პირველი გათიბვისთანავე.
ხნულის თესვისწინა დამუშავება ტარდება, საჭიროებიდან გამომდინარე, თათებიანი კულტივატორით, მძიმე დისკებიანი ფარცხით, ან ფრეზით. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც რომ, ნასიმინდარი და ნამზესუმზირალი ხნულის კულტივატორით დამუშავება დაუშვებელია.

ხორბლის თესვა

საშემოდგომო ხორბალი, მცირე ზომის ნაკვეთებზე, ითესება მწკრივად და მობნევით. განხსვავდება მწკრივად თესვის სახეობები, ესენია: ჩვეულებრივ მწკრივად, ვიწრო მწკრივად და ჯვარედინად თესვა. ჩამოთვლილთაგან ყველაზე კარგია ვიწრო მწკრივად და ჯვარედინად თესვა. ვიწრო მწკრივად და ჯვარედინად თესვისას ყურადღება ექცევა ქარისმიერი ეროზიის ზონებს, როგორიცაა დედოფლისწყაროს უკანა მხარე, გარდაბნის, მარნეულის, თეთრიწყაროს, მცხეთის და საგარეჯოს რაიონები. საშემოდგომო ხორბლის თესლის რაოდენობა ჰექტარზე არ უნდა იყოს 4–5 მილიონზე ნაკლები. მკაცრი ზამთრის პირობებში, ასევე დასარევლიანებულ მინდვრებზე, სათეს ნორმას ზრდიან 6 მილიონამდე. დათესვის შემდეგ, ნათესები კარგად უნდა დაიტკეპნოს საგორავით. ეს სამუშაოები მნიშვნელოვანია ჩატარდეს განსაკუთრებით მშრალ, გვალვიან პირობებში და ქარისმიერი ეროზიის ზონებში.

ხორბლის მოვლა

საშემოდგომო ხორბლის მოვლა-მოყვანისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს კულტურის ვერტიკალური ფილტრაციით მორწყვა. ასეთი მორწყვის დროს წყალი ნაწილდება სარწყავი ფართობის ზედაპირზე მთლიან ფენად და ნიადაგშიც ვრცელდება ვერტიკალურად. უნდა ჩატარდეს სამი მორწყვა: თესვის შემდგომ სექტემბერ-ოქტომბერში, მეორე-პირველ სავეგეტაციო (აღერების ფაზა) აპრილი-მაისის პერიოდში და მესამე მორწყვა ტარდება სავეგეტაციო (დათავთავების ფაზაში) ივნისის თვეში. სავეგეტაციო მორწყვა იწყება მაშინ, როდესაც ნიადაგში ტენიანობა 80–70%-ზე დაბლა დაიწევს.

დაცვითი ღონისძიებები

არ უნდა დაგვავიწყდეს სარეველების და დაავადებების არსებობაც, რაც მნიშვნელოვან ზიანს აყენებს ხორბლის კულტურას. ხორბლის ნათესების დასაცავად აუცილებელია ფუნგიციდური მკურნალობა. ხორბლის გავრცელებული მავნებლებია: ბუგრები, ჭიჭინობელა, თრიფსი, რწყილი, რომელთა გამოჩენისთანავე ნათესები უნდა დამუშავდეს შესაბამისი ინსექტიციდებით.

მოსავლის აღება

საშემოდგომო ხორბლის მოსავლის აღება ხდება მარცვლის სანთლისებური სიმწიფის ბოლო ფაზაში. უფრო მოგვიანებით აღებას დანაკარგები შეიძლება ახლდეს თან. მოსავლის აღების პროცესში, მარცვლის ტენიანობა უნდა შეადგენდეს 16–17 %-ს, რათა კომბაინმა მოახერხოს მარცვლის გამოლეწვა და არ დავკარგოთ მოსავალი. მცენარის მოჭრის სიმაღლე, მშრალ ადგილებში, 15-20 სანტიმეტრს უნდა შეადგენდეს. გამოლეწილი მარცვალი გადაიტანეთ კალოზე (ღია ფარდულის ქვეშ), სადაც უნდა დაიწყოს მარცვლის გამოშრობა. მარცვლის ტენიანობა არ უნდა აღემატებოდეს 13–14%-ს. უკვე კარგად გამოშრობილი მარცვალი კარგად უნდა გაიწმინდოს და შესაბამისი ტექნიკით დახარისხდეს.

*Agrokavkaz.ge

შენიშვნები

აგრონომი
ცენარეთა დაცვის საშუალებები

შენიშვნები



შენიშვნები

აგრონომი
ცენარეთა დაცვის საშუალებები

აგრონომი

ᲛᲪᲔᲜᲐᲠᲔᲗᲐ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲔᲑᲘ

www.agronom.com.ge

info@agronomi.com.ge

+995 595 522 622

ბ.კვერნაძე N35

